ვეფხისტყაოსანი
სპორტი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
29 ივნისი ოთხშაბათი 2011
№ 150 (13447) ფასი 80 თეთრი

ნაპრალების ახალწვეულები

ევროპის ჩემპიონატის ბოლოსანგინის ბრონზეულები გიგლიოთიას

ალექს გარსიას ხელი:

3

სეზონი და სანაკრებ

EXCLUSIVE

კეთილი იყოს ამ კაცის ფეხი

ამერიკელი მარკიზი საფრანგეთიდან

კოკოშკოვი თვრამეტით იწყებს

12

უეფას ევროპის ლიგა 2011-2012
I საკვალიფიკაციო ეტაპი
ბორის პაიჭაძის სახელობის ერთვნული სტადიონი

დინამო
თბილისი

მილსამი
ორჰუი

30 ივნისი 2011
21:00

დაუბრუნდი დინამოს!

ბილეთის ფასი 3, 5 ლარი

PrivatBank

GMG

www.fcdinamo.ge

16

ვინ არის ფავორიტი?

უიმბლდონზე ქალთა შორის ნახევარფინალისტები გაირკვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცნობა ინტერნეტით

და პირველი რეალური შთაბეჭდილებები

გუშინ თბილისის „დინამოში“ პირველად ივარჯიშეს ესპანელმა ახალწვეულებმა. ორკარას დროს ალბერტ იაგუე ხიმენესი თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმა ალექს გარსიამ ცენტრალურ თავდამსხმელად ათამაშა, კარლეს კოტო კი - მარჯვენა ფლანგის შემტევად.

კოტო ვარჯიშზე დაშავდა, თუმცა იმედოვნებს, რომ სერიოზული არაფერია. მოლდოვურ „მილსამისთან“ პირველ შეხვედრას ის მაინც ვერ ჩაატარებს. სამაგიეროდ, როგორც გვითხრეს, თავდასხმაში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, განაცხადში ხიმენესი იქნება, თუ მისი დამატება მოესწრო.

ვარჯიშის შემდეგ ორივეს მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

კოტოს ტრავმა არ აშინებს

კარლეს კოტო ბოლოს თემურ ქეცბაიას ყოფილ კლუბ ფამაგუსტას "ანორთოსისში" თამაშობდა. ცხადია, უპირველესად მისი ჩამოსვლის მოტივი გვაინტერესებდა.

- თქვენი ბოლო კლუბი "ანორთოსისი" ჩემპიონთა ლიგის მონაწილეა, კვიპროსის ჩემპიონატი საქართველოსაზე ძლიერია და თბილისის "დინამოს" წინადადებას რა მოსაზრებით დათანხმდით?

- "ანორთოსისთან" კონტრაქტი დამიმთავრდა და ჩემი განვითარებისა და მომავლისთვის "დინამოში" თამაში უკეთესი იქნება. თანაც, მითხრეს, რომ გუნდში საინტერესო პროექტი დაიწყო და ამანაც მიმიზიდა.

- „ბარსელონას“, ალექს გარსიას გაზრდილი ხართ. მსოფლიო ფეხბურთის გალაქტიკიდან ჩამოსულს ქართულ ფეხბურთზე ბევრი არაფერი გეცოდინებათ.

- არ ვიცოდი, მაგრამ როდესაც კლუბი შენით ინტერესდება, ცხადია, შენც უნდა გაიგო, სად მიდიხარ. აღმოვაჩინე, რომ საკმაოდ ძველი და დიდი ტრადიციების კლუბში მოვდიოდი, რომელიც ადრე ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ამან ძალიან გამახარა.

- დღევანდელი ვარჯიშისას თანაგუნდელებზე როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?

- ჯერ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ბიჭები გავიცანი და მათზე კარგი შთაბეჭდილებაც დამრჩა.

- მოედანს მალე დაუბრუნდებით?

- ვფიქრობ, საშიში არაფერია და ერთ კვირაში გუნდის ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩავერთვები.

იაგუე: სტადიონი მშვენიერი გძონიათ

ალბერტ იაგუე ხიმენესი „ესპანიოლის“ გაზრდილია, მაგრამ თავდამსხმელი ჯერ სეგუნდა დივიზიონის კლუბებში გაანათხოვრეს, ბოლოს კი სეგუნდა B დივიზიონის „კულტურალ ლეონესაში“ თამაშობდა. ვიკიპედიას თუ ვენდობით, ფეხბურთელს კარიერა 2008 წელს აერია, როდესაც ტრავმა მიიღო.

ხიმენესი ამბობს, რომ ტრავმით გამონვეული პრობლემები წარსულს ჩაბარდა და გასულ სეზონში ფორმა აღიდგინა:

- 2008 წელს მეორე დივიზიონის „ეიბარში“ მიღებული ტრავმის გამო დრო გამიცდა, მაგრამ მერე ორი სეზონი „კულტურალ ლეონესაში“ ვთამაშობდი. მართალია, ბოლო სეზონი არც ისე შედეგიანი იყო ჩემთვის, ბევრი არ გამიტანია, მაგრამ მთავარია, რომ ფორმა აღვიდგინე.

- თბილისის „დინამოზე“ როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?

- იმედი მაქვს, გუნდს მალე შევეჩვევი. მართალია, გარემოს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, ვფიქრობ, პრობლემა არ შემექმნება.

ჩამოსვლამდე ინტერნეტში „დინამოს“ რამდენიმე თამაში ვნახე, ქალაქითაც დავინტერესდი და ჩემთვის მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ საკმაოდ საინტერესო გუნდსა და ლამაზ ქალაქში მოვდიოდი. იმედია, დრო მექნება და თბილისს დავათვალიერებ.

- ესპანური მოედნების შემდეგ თბილისის სტადიონის მოედანზე რას გვეტყვით?

- სხვათა შორის, მოედანიც მომეწონა და მთლიანად სტადიონიც. არ მეგონა, „დინამო“ ასეთ ლამაზ სტადიონზე თუ თამაშობდა. სამწუხარო იქნება, ტრიბუნები ბოლომდე თუ არ შეივსება.

გუშინ, ღამით კი თბილისში ყოფილი ვალენსიელი, მერე კი პრიმერადივიზიონის "ლევანტეში" მოთამაშე **ხისკო** ჩამოვიდა.

მერაბ მამულაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ცხელა, მაგრამ დავეძებთ?

ხისკო გზაშია, დინამო ტექნიკურად ვარჯიშობს

ეროვნულ სტადიონზე "დინამოს" გუშინდელმა ვარჯიშმა საათნახევარს გასტანა და, როგორც მოსალოდნელი იყო, **ალექს გარსიამ** დიდი ყურადღება დაუთმო ბურთით ვარჯიშს. ფეხბურთელებმა გახურებას რამდენიმე წუთი მოანდომეს, რის შემდეგაც სხვადასხვა ტექნიკური კომპონენტის დახვეწას შეუდგნენ.

თავდაპირველად ესპანელმა მწვრთნელმა დინამოელები ორ-ორად გაყო და მოკლე და გრძელ გადაცემებზე ავარჯიშა, რასაც კარში დარტყმები მოჰყვა. დარტყმებს ორ და სამსვლიანი კომბინაციები უსწრებდა, რაც საკმაოდ საინტერესო სანახავი იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ფეხბურთელთა უმეტესობა შედეგიანად ურტყამდა, თუმცა საკუთარ საქმეს მეკარეებიც რიგიანად ასრულებდნენ.

გარსია მთელი ვარჯიშის განმავლობაში აქტიური იყო და თარჯიმნის მეშვეობით ფეხბურთელებს გამუდმებით აძლევდა რჩევა-დარიგებებსა თუ შენიშვნებს. იგრძნობა, რომ მან მოთამაშეებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება შეძლო, ოღონდ, ისიც კარგად ჩანს, რომ გარსია მომთხოვნი და დისციპლინის მოყვარული მწვრთნელია.

ნვრთნის მეორე ნახევარი ორხმრივ თამაშს დაეთმო, თუმცა საინტერესო დეტალები აქაც იყო – ორად გაყოფილმა ფეხბურთელებმა ნახევარ მოედანზე ითამაშეს, საიდანაც ერთი მხარე შემტევი იყო, უმეკარეოდ და უკაროდ, მეორე კი თავს იცავდა. შემტევ-დამცველებში გარსია შემადგენლობას ხშირად ცვლიდა და ორივე როლის მორგება ყველა ფეხბურთელმა მოასწრო.

"დინამოს" ჯერ არ შეერთებია ყველაზე ცნობილი ახალწვეული **ხისკო**, სამაგიეროდ, მოედანზე იყო კიდევ ორი ესპანელი – **კოტო** და **აგუე**, რომლებიც თავიდან ინდივიდუალურად და მსუბუქად ვარჯიშობდნენ, მერე კი ახალ თანაგუნდელებს ორმხრივი თამაშისას გაუშინაურდნენ. რომელიმე მათგანის "მილსამისთან" თამაში გამორიცხული არ არის.

რაც შეეხება ხისკოს, იგი თბილისში ჯერ არ ჩამოსულა და ესპანელთა პრეზენტაცია ამიტომაც გადაიდო ხვალისთვის.

"დინამოში" ოპტიმისტური და საბრძოლო განწყობა იგრძნობა და იმედია, გარსიას ოფიციალური დებიუტი წარმატებული გამოდგება. უსიამოვნო მხოლოდ დიდი სიცხე იყო და თუ ასეთი ტემპერატურა ხვალ საღამოსთვისაც შენარჩუნდა, მაღალ ტემპში თამაში ორივე გუნდს გაუჭირდება.

ტრავმების გამო ვერ ივარჯიშეს **ლევან ხმალაძემ** და **შოთა კაშიამ**. ხმალაძე დისკვალიფიცირებულიცაა და ამის გამო "მილსამისთან" ორივე მატჩს გამოტოვებს, ამავე მიზეზით ხვალ **გიორგი კახელიშვილიც** ვერ ითამაშებს. ხმალაძეც და კახელიშვილიც შარშანდელ ევროპის ლიგაზე ავსტრიულ "შტურმთან" მატჩისას გააძევეს და ამიტომაც დაისაჯნენ.

მოლდოველები თბილისში დღეს ჩამოფრინდებიან. საღამოს 8-ის ნახევარზე ეროვნული სტადიონის საკონფერენციო დარბაზში მათი მთავარი მწვრთნელის პრესკონფერენცია გაიმართება, 8-ზე კი "მილსამი" "ბორის ბაიჭაძის" გაზონს მოსინჯავს. ალექს გარსიას პრესკონფერენცია 9-ის ნახევარზეა დაგეგმილი, "დინამოს" ვარჯიში კი - 9-ზე.

ლევან ჯანეზაშვილი

სოსო გრიშიკაშვილი

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა **lelo@palitra.ge**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოქვეყნითა და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

ალექს გარსია:

ვიცი, საღ ვარ და რისთვის: დინამოსგან ჭიჭულებს ელიან

EXCLUSIVE

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ამა წლის პირველ ივნისამდე თბილისის „დინამოში“ სხვადასხვა დროს ხუთი უცხოელი მწვრთნელი მუშაობდა: იოჰან ბოსკამპი (ჰოლანდია), ივო შუშაკი (ხორვატია), ანდრეი ჩერნიშოვი (რუსეთი), დუშან უჰრინი (ჩეხეთი), რაინერ ცობელი (გერმანია); და აი, რიგით მეექვსე უცხოელი მწვრთნელიც — საქართველოს ყველაზე ტიტულიან გუნდს უკვე ერთი თვეა 41 წლის ესპანელი ალექს გარსია მოძღვრავს! არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საქართველოში ჩამოსვლამდე გარსია თანამედროვე ფეხბურთის საუკეთესო კლუბში, „ბარსელონაში“ საქმიანობდა: 10 წლის განმავლობაში ამ კატალონიური გრანდის სხვადასხვა ასაკობრივ გუნდს ავარჯიშებდა; გარსიას ხელმძღვანელობით დღევანდელი „ბარსელონასა“ და, საერთოდ, თანამედროვე ფეხბურთის არაერთმა ვარსკვლავმა დაიწყო თამაში, უპირველეს ყოვლისა კი, ლეო მესიმ!..

2007-09 წლებში გარსია „ბარსელონას“ ერთ-ერთ ასაკობრივ გუნდს ავარჯიშებდა და ეს გუნდი ორჯერ გახადა ესპანეთის ჩემპიონი; ამას გარდა, „ტრიპლეტიც“ შეასრულა: „ბარსელონას“ მთავარი გუნდის მსგავსად ყველა ის ტურნირი მოიგო, სადაც მონაწილეობდა: კატალონიის ჩემპიონატი, ესპანეთის ჩემპიონატი, ესპანეთის თასი. და აი, ახალი სამუშაოც: პირველი ივნისიდან ალექს გარსია თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელია!

ახალი გუნდის, ახალ გარემოს გაცნობისათვის ერთი თვე არც ცოტაა და არც ბევრი; რაც მთავარია, ესპანელი მწვრთნელი ენერგიულად შეუდგა საქმეს და კარგადაც აქვს გაცნობიერებული, თუ რაოდენ საპასუხისმგებლო პოსტზე უნევს მუშაობა.

... ჯერ იყო დაახლოებით ხუთდღიანი აქაური ვარჯიშები, მერე კი სლოვენიურ-ავსტრიული შეკრება და იქ ჩატარებული სამი სპარინგ-მატჩი, სადაც მწვრთნელს ნათელი წარმოდგენა შეექმნებოდა თავისი ახალი გუნდის პლუს-მინუსებზე; სამწუხაროდ, რაიმე „ქირურგიული ჩარევისათვის“ დრო, ფაქტობრივად, აღარც რჩება - უკვე ხვალ „დინამო“ პირველ ოფიციალურ მატჩს ჩაატარებს ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით. მანამდე კი „დინამოს“ ესპანელმა მწვრთნელმა საქართველოში ამ ერთი თვის ყოფნისას პირველი ინტერვიუსათვისაც მოიცალა - გუშინ, ვიდრე გუნდი ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებდა, ალექს გარსია „ლელოს“ კითხვებს პასუხობდა. აქვე, მადლობა გვინდა გადავუხადოთ „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტ გიორგი ყოლბაიას, ვინც ამ ინტერვიუსას გვეხმარებოდა.

ალექს გარსია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

- საქართველოში ჩამოსვლამდე „ბარსელონას“ საკლუბო სტრუქტურაში რა თანამდებობაზე მუშაობდით?

- კლუბის ტექნიკურ დეპარტამენტში ვიყავი და იმ სელექციონერთა ჯგუფს ვხელმძღვანელობდი, იტალიის, ინგლისისა და ესპანეთის ჩემპიონატებს რომ კურირებდნენ.

- გულახდილად გვითხარით: ასეთი აწყობილი ქვეყნიდან და მსოფლიოს ნომერ პირველი კლუბიდან წამოსვლის გადაწყვეტილება ადვილად მიიღეთ?

- გულახდილად გიპასუხებთ: რა თქმა უნდა, საკუთარი საქმიანობით კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ ამასთან, დიდი სურვილიც მქონდა აქტიურ სამწვრთნელო კარიერას დავბრუნებოდი; როგორც კი თბილისის „დინამოს“ შემოთავაზება მივიღე, უარი არ მითქვამს...

- ვიდრე დინამოს“ ჩაიბარებდით, მანამდე მხოლოდ ასაკობრივ გუნდებთან მუშაობდით; არ გიფიქრიათ, თუ რამდენად გაგიადვილდებოდათ რომელიმე კლუბის მთავარი გუნდის გაძღოლა?

- ამ შემთხვევაში არანაირი დისკომფორტი არ მიგრძვნია. თანაც, „დინამო“ რომ ჩავიბარე, ფეხბურთელთა უმეტესობა ახალგაზრდული ასაკის დამხვდა... გეთანხმებით, სხვაობა როგორ არ არის, მაგრამ ჭაბუკებსაც და მათზე უფროსებსაც ხომ საერთო მიზანი აქვთ - მაღალ დონეზე თამაში!

- მერე, ამ მოკლე დროში როგორ ამჩნევთ, - თქვენს ახალ შეგირდებთა უმრავლესობას ამის სურვილი აქვს?

- ეს რომ არ დამენახა, მაშინ ჩემს მუშაობას აზრიც არ ექნებოდა: გულახდილად გეუბნებით, რომ ძალიან მონდომებულ ფეხბურთელებთან მიწევს ურთიერთობა და მერწმუნეთ, საქმისადმი მათი ასეთი მიდგომა ბევრი ნებისმიერი მწვრთნელისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

- პირველი შთაბეჭდილება როგორი იყო?

- უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი: აქაურ ვარჯიშებზეც და მერე შეკრებაზეც, ნელ-ნელა ვაუმჯობესებდით რგოლებს შორისაც კავშირს და, საერთოდ, თამაშის ხარისხს; ფაქტია, რომ დღიდან-დღემდე თითოეული ფეხბურთელი უფრო მეტს აზროვნებს და იმასაც ცდილობს, რომ მწვრთნელის იდეებს ალღო ადვილად აუღოს.

- სასიამოვნო მოულოდნელობად ახალ გუნდში რას მიიჩნევთ?

- უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთელების ტექნიკურ დონეს აღვნიშნავ...

- მაშინ, ბარემ, უსიამოვნო მოულოდნელობაზეც გკითხავთ...

- სამწუხაროდ, პირველ ოფიციალურ მატჩამდე ძალიან ცოტა დრო გვქონდა, რათა გარკვეული ხარვეზები აღმოგვეფხვრა; ყოველ შემთხვევაში, უცხოურ შეკრებაზე ჩატარებულმა მატჩებმა დაგვანახვა, რომ გოლის გატანა გვიჭირს, - არადა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ 90 წუთის განმავლობაში გუნდი უამრავ მომენტს ქმნის, მაგრამ რეალიზაციის ხარისხი აშკარად გაუმჯობესებას მოითხოვს.

- ბოლო ორი წლის განმავლობაში „დინამო“ უმეტესწილად 4-2-3-1 განლაგებით ასპარეზობდა; თქვენი მოსვლის შემდეგ კი გუნდის ტაქტიკური სქემა შეიცვალა და 4-3-3 გახდა.

- ამ ორ განლაგებაში დიდ სხვაობას ვერ ვხედავ - უბრალოდ, მოედნის ცენტრში ეგრეთ წოდებული სამკუთხედი გვექნება; ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ნახევარმცველებმა მაქსიმალურად აქტიურად მიიღონ მონაწილეობა გუნდის შეტევით ოპერაციებში.

- „დინამოს“ პრესატაშის, გიგა გვენცაძისგან ვიცით, რომ უცხოურ შეკრებაზე თქვენი ახალი გუნდის ფლანგის მცველებს ყოველ მატჩში ასევე მაქსიმალურად სთხოვდით შეტევებში აქტიურად ჩართვას.

- მოკლედ გიპასუხებთ: ჩვენი გუნდის სათამაშო კრედო ისეთი იქნება, რომ შეტევაშიც ყველამ მიიღოს მონაწილეობა და თავდაცვის დროსაც ასევე ყველას მაქსიმალური ყურადღება და კონცენტრაცია მოეთხოვება.

- სამივე სპარინგ-მატჩის შემადგენლობიდან გამომდინარე, გარკვეული დასკვნაც გამოვიტანეთ: მეკარისა და მცველთა ოთხეულში, ფაქტობრივად, ჩამოყალიბებული ჩანხართ, რასაც ვერ ვიტყვით შუახაზსა და თავდასხმაზე...

- თავის გამოჩენის შანსი ყველას მივეცი... იმაშიც გეთანხმებით, რომ სამივე მატჩში ნახევარდაცვისა და თავდასხმის ხაზში ხშირ როტაციას მიემართავდით. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დავრწმუნებულიყავი თითოეული ფეხბურთელის შესაძლებლობებში და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივიც უნდა ყოფილიყო ჩემგან ამ ორი რგოლის ხშირი ვარირებაც.

- სამივე თქვენი თანამემამულე, „დინამოს“ პოტენციურ ახალწვეულებად რომ უნდა მივიჩნიოთ, სწორედ შემტევი ყაიდის ფეხბურთელია. ანუ, კოტოს, აგუესა და ხისკოს დამატებით სწორედ შეტევის ხაზის გაძლიერებას გეგმავთ და, ბარემ, თითოეული მათგანიც დაგვიხასიათეთ.

- კოტო „ბარსელონას“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილია და, ფაქტობრივად, ჩემს ხელში გაიზარდა; ანუ, მისი შესაძლებლობები საკმაოდ კარგად ვიცი და მჯერა, რომ „დინამოს“ დიდად გამოადგება.

- კოტოზე გაგვიგია, რომ ამპლუით გარემარბია, მაგრამ კონკრეტულად რომელ ფლანგზე თამაშობს?

- ორივე ფლანგზე ერთნაირად წარმატებით შეუძლია ასპარეზობა, თუმცა, როცა „ბარსელონას“ ასაკობრივ გუნდში თამაშობდა, მარჯვენა გარემარბი გახლდათ.

- აგუეზეც მხოლოდ ის ვიცით, რომ ამპლუით თავდამსხმელია.

- „კლასიკური“ ტიპის ცენტრფორვარდი არ გეგონოთ, უფრო მოძრავი თავდამსხმელია, - სწრაფი და აგრესიული.

- კოტოსა და იაგუესაგან განსხვავებით, „დინამოს“ კიდევ ერთ პოტენციურ ესპანელ ახალწვეულს ხისკოს მართლაც შთამბეჭდავი კარიერა აქვს და პრიმერადივიზიონის ცნობილი ფეხბურთელის საქართველოში ჩამოსვლა, ცოტა არ იყოს, ბევრს არ სჯერა კიდეც...

- ვიცოდი, რომ ხისკოს უცხოეთში სურდა კარიერის გაგრძელება და როცა დავუკავშირდი, „დინამოს“ გეგმები გავაცანი, ამ კლუბის ისტორია მოვუყევი და, საერთოდ, სამომავლო პროექტებზეც ვესაუბრე, დასტური მივიღე.

- ალბათ, თქვენც გეცოდინებათ, რომ საქართველოს ჩემპიონატის 21-წლიან ისტორიაში ტოპ-ლიგების (ესპანეთის, ინგლისის, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის) მოქმედ ფეხბურთელთაგან აქ არავინ ჩამოსულა და პირველი ხისკო იქნება...

- მერე, ამით ხომ თბილისის „დინამოც“ იხეირებს და საერთოდ, საქართველოს ჩემპიონატიც! იმედი მაქვს, კოტო და იაგუეც ასევე სერიოზულად გააძლიერებენ „დინამოს“ და, რაც მთავარია, ამ ფეხბურთელების ჩამოსვლით ჩვენი გუნდის თამაშის სანახაობრივი მხარე ერთი-ორად გაიზრდება.

- სამი წელია „დინამო“ უტიტულოდ რჩება, ანუ, გარკვეულ ფსიქოლოგიურ წნეხს არ განიცდით?

- მე თუ გუნდი?

- პირადად, თქვენ...

- ისეთ კლუბში ვმუშაობდი, სადაც მხოლოდ და მხოლოდ მაქსიმალურ შედეგებზე ფიქრობენ; აქედან გამომდინარე, არანაირი წნეხის ქვეშ არ ვიმყოფები, - ვიცი, რომ „დინამოსგანაც“ მხოლოდ ტიტულებს ელიან, მაგრამ რახან დავთანხმდი აქ მუშაობას, ესე იგი, მზად ვიყავი, ეს გამოწვევა მიმეღო.

- ვიცი, რომ ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს ვერ მივიღებთ, მაგრამ მაინც გვაინტერესებს: როდის შეძლებს „დინამო“ ისეთი თამაშის ჩვენებას, თქვენ რომ გინდათ?

- ამაზე მართლაც მიჭირს პასუხის გაცემა, - გუნდი ნელ-ნელა ვითარდება, თანაც, შედეგიც ხომ საჭიროა?! აი, მაგალითად, ხუთშაბათს ევროპის ლიგაზე რომ ვიასპარეზებთ, მჯერა, რომ ბევრად უკეთესი თამაშის ხარისხი იქნება, ვიდრე - შეკრებაზე ვაჩვენებდით; სამი თვის მერე ასევე უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე - ახლა და ასე შემდეგ...

- დაბოლოს, თქვენ ყოფილ კლუბზეც: მაინც რა არის „ბარსელონას“ საფეხბურთო ფილოსოფიის საიდუმლო?

- ასე მოკლედ და მარტივად, ცოტა არ იყოს, ძნელია ზუსტი ფორმულირება, თუმცა შევეცდები თქვენი ინტერესი დავაკმაყოფილო. უპირველეს ყოვლისა, ეს არის იდეალური სტრუქტურა, სადაც თითოეული წევრი თავის საქმეს პროფესიულად ასრულებს; ვიმეორებ, ძნელია ამ ყველაფრის ახსნა, იმიტომ, რომ ეს ფილოსოფია დამყარებულია იდეოლოგიაზეც, სელექციაზეც, სიმშვიდეზეც და, რაღა თქმა უნდა, საფეხბურთო ასპექტებზეც. იქ ვერავის ნახავთ, რაიმე ლოკალური თუ გლობალური წარმატება თავში რომ აუვარდეს, - ამიტომაც ანიჭებენ უდიდეს მნიშვნელობას თითოეული ფეხბურთელის ხასიათსა თუ პირად ცხოვრებას. ამასობაში კი სკოლის აღსაზრდელთა შორის ლეო მესიც თუ გამოჩნდა...

გია ტუხაშვილი

● ტრანსფერი

ლაშა ჯაკობიას ალდგენითი სამუშაოები

ორი წლით ზაკარპატიეში

საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **ლაშა ჯაკობია** უკრაინის პირველი ლიგის უფგოროდის "ზაკარპატიეში" ჩაირიცხა.

რამდენიმე დღის წინ ხარკოვის "მეტალისტმა" უკრაინის ჩემპიონატში მოპოვებული მესამე ადგილი საზეიმოდ აღნიშნა. დაჯილდოებაზე, რომელიც ხარკოვის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა, მოულოდნელად გუნდის ყოფილი კაპიტანი ჯაკობიაც გამოჩნდა.

როგორც გაირკვა, ლაშა ხარკოველებმა მათი გუნდის ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის სტატუსით მიიწვიეს. ჯაკობიას სხვა მიზანიც ჰქონდა – ის უკრაინაში დაბრუნებას და კლუბებთან მოლაპარაკებას აპირებდა.

30 წლის ჯაკობია ბოლოს კიევის "არსენალში" თამაშობდა, თუმცა "მეტალისტის" მთავარ მწვრთნელ **მირონ მარკევიჩთან** კავშირს ინარჩუნებდა. ლაშამ "ლელოსთან" ინტერვიუში თქვა კიდეც, რომ მარკევიჩი დისკვალიფიკაციის შემდეგაც უკავშირდებოდა, მისი ამბებით ინტერესდებოდა და გუნდში დაბრუნებით აიმედებდა. საქმე ისაა, რომ "მეთოფეებთან" ლაშა განათხოვრებით თამაშობდა.

კარიერის მანძილზე ჯაკობიას მოურგია ლიეჟის „სტანდარდის", „ვიზეს", „ლიეჟის", „აალსტის", „მონსის", ბუქარესტის „რაპიდის", „თბილისის", თბილისის "დინამოს", ბერძნული „იანინას" და უკრაინული კლუბების მაისურები. 2009 წლის 26 სექტემბერს დოპინგტესტზე ჩავარდა. კიევის „არსენალისა" და ზაპოროჟიეს „მეტალურგის" მატჩის შემდეგ აკრძალული პრეპარატების მიღება დაუდასტურდა. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ ჩვენებური დაინდო და ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია აკმარა.

ბოლოს ლაშა ცხინვალის "სპარტაკში" თამაშობდა, მაგრამ ფორმა ვერ აღიდგინა. უკრაინაში მისი წასვლის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ვიშალიგის კიევის "ობოლონში" გააგრძელებდა კარიერას.

"ჯაკობია ჩაირიცხა არა კიევის "ობოლონში", არამედ პირველი ლიგის უფგოროდის "ზაკარპატიეში". მან ორი დღის წინ გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მანამდე კი ხარკოვში იყო და "მეტალისტმა" გადასცა პრიზი როგორც ბოლო წლებში გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს, რომელმაც კლუბის განვითარებასა და წინსვლაში თავისი წვლილი შეიტანა.

მას დაკავირდებიან და, ფორმას თუ აღიდგენს, მალე ისევ უკრაინის უმაღლესი ლიგის კლუბში იხილავთ. ამაში მე დარწმუნებული ვარ, რადგან ისეთი მონდომებით ვარჯიშობს და თამაში ისე სურს, როგორც ადრე არასდროს. ეს ამბავი იმიტომ მახარებს, რომ დისკვალიფიკაციის შემდეგ ლაშა ყველამ ჩამოწერა. არადა, მას კიდევ რამდენიმე წელი შეუძლია მაღალ დონეზე თამაში" – გვითხრა ჯაკობიას მენეჯერმა **სერგო ქუთათელაძემ**.

ჯაკობია მართლაც ყველამ ჩამოწერა, ისევე, როგორც 2003 წელს, როდესაც საქართველოში დაბრუნდა და ეროვნულ ჩემპიონატში თავი ვერაფრით გამოიჩინა. მაგრამ მას უჩვეულო უნარი აქვს – ფორმის სწრაფად აღდგენა შეუძლია. უკრაინაში გადასვლის შემდეგ ხომ კიევის „არსენალსა" და ხარკოვის „მეტალისტში" თამაშით სპეციალისტებს თავი მოაწონა, გახდა ხარკოვული კლუბის კაპიტანი და საქართველოს ნაკრებში 14 მატჩი სწორედ მას შემდეგ ჩაატარა.

შეგახსენებთ, რომ უფგოროდის "ზაკარპატიეში" თავის დროზე უთამაშიათ მეკარე **გია ჭანტურიას, კახა ალადაშვილსა** და **ოთარ მარცვალაძეს**.

მერაბ მამულაშვილი

ლაშა ჯაკობია

● ლეგიონერები

ქართველები საუკეთესოებში, მეგოლეებში, უხეშებში

ოთარ მარცვალაძე

„სპორტ-ექსპრესმა" რუსეთის პრემიერლიგის პირველი ეტაპის შედეგები შეაჯამა. გამორჩეულ ფეხბურთელთა შორის ქართველებიც მოხვდნენ.

ასე, მაგალითად: ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" პლეიმეიკერ **გოჩა ხოჯავას** გოლი „როსტოვის" კარში საუკეთესოებში მესამე ადგილზე დაასახელეს. ბომბარდირთა მარაქაშია „ვოლგას" ფორვარდი **ოთარ მარცვალაძე**, რომელიც 5 გოლით მე-6 ადგილზეა. 26 წლის თავდამსხმელის ერთი გოლი მცველის ავტოგოლად რომ არ ჩაეთვალათ, მე-4-მე-6 ადგილებზე იქნებოდა. ოთარი ისეთ ცნობილ თავდამსხმელებს უსწრებს, **კევინ კურანი** (გერმანიის ნაკრები, მოსკოვის „დინამო"), **ლასინა ტრაორე** (კოტ დივუარის ნაკრები, „ყუბანი"), **კეისუკე ჰონდა** (იაპონიის ნაკრები, ცსკა) და **კრისტიან ნაბოა** (ეკვადორის ნაკრები, „რუბინი) რომ არიან.

„სპორტ-ექსპრესი" წერს, რომ მარცვალაძის „კრასნოდარში" გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია და წინ ვერაფერი დაუდგება. ჩვენ კი უკვე გამცნეთ, რომ ოთარმა ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი რამდენიმე დღის წინ გააფორმა.

გია გრიგალავამ მებრძოლი და ხისტი ფეხბურთელის იმიჯი შეიქმნა – პირველ ეტაპზე მიღებული 5 ყვითელი ბარათით მე-6-მე-13 ადგილს შვიდ ფეხბურთელთან იყოფს. ყველაზე უხეში კი საქართველოში დაბადებული, რუსეთის მოქალაქე და „როსტოვის" ფეხბურთელი **ანრი ხაგუშია** – 9 ყვითელი.

„სოვეტსკი სპორტმა" საუკეთესოები საშუალო მაჩვენებლებით გამოავლინა. საუკეთესო მარჯვენა ცენტრალურ მცველებში „კრასნოდარის" კაპიტანი **ალეკო ამისულაშვილი** 3,42 ქულით მე-3 ადგილზეა. ის რეიტინგით მესამეა კლუბშიც.

ოთარ მარცვალაძე კი ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" საუკეთესო ფეხბურთელის სტატუსით დატოვებს – მისი რეიტინგი 3,38 ქულაა და უსწრებს **სანჯარ ტურსუნოვსა და გოგიტა გოგუას**, რომელთაც 3,33 ქულა აქვთ.

მერაბ მამულაშვილი

● ვიტ ჯორჯია

ნულები პირველ სპარინგში

"ვიტ ჯორჯიამ" ზაფხულის პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ვეტერინარებმა მცხეთაში საჩხერის "ჩიხურას" უმასპინძლეს და 0:0 ითამაშეს. მცირე უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა ანგარიშის გახსნა ვერ შეძლეს.

გუნდებმა ტაიმები ორი განსხვავებული შემადგენლობით ჩაატარეს.

"ვიტ ჯორჯიას" პირველ ტაიმში: **მიქაბერიძე - ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ღანიაშვილი - ვასაძე, გურამ გურეშიძე - კორიფაძე, ჯანელიძე, ზაქრაძე (20. ჯუღელი) - ჩიმაკაძე.**

"ვიტ ჯორჯიას" მეორე ტაიმში: **ძაძამია - ჭოჭუა, გოგიაშვილი, ხუმარაშვილი, ხუჭუა - მაისაშვილი - ვაშაკიძე, გიორგი გურეშიძე, ოთარიშვილი - სიხარულიძე, გაბრიჭიძე.**

"ჩიხურას" პირველ ტაიმში: **დოღაძე - ქორიძე, ბერიანიძე, ჭელიძე, სალარიძე - ბაკურაძე, ნოზაძე, მელქაძე - სილაგავა, კემუხტაშვილი, ნ. კვასხვაძე.**

"ჩიხურას" მეორე ტაიმში: **ჯინჭარაძე - ვაშაკიძე, დვალიშვილი, თვალავაძე, ჩიკვაიძე - ბროლაძე, ხანიშვილი, სანიკიძე, ფირცხალავა, ბურჯანიძე - დარბაიძე.**

ლევან ჯანეზაშვილი

● ბაია

ყველა მშვიდადაა

მართალია, ცნობილ იტალიურ კომპანია "ფერეროსთან" საკონტრაქტო ხელშეკრულება ჯერაც არ გაფორმებულა, მაგრამ "ბაიაში" დარწმუნებულები არიან, რომ ამ ფირმისგან დაფინანსებას აუცილებლად მიიღებენ და მომავალ სეზონს წელგამართულად ჩაატარებენ.

როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** გვითხრა, კონტრაქტის გაფორმებამდე მცირეოდენი დეტალების მოგვარებაღაა საჭირო და სანერვიულო არაფერია. მისივე ვარაუდით, "ფერეროსა" და "ბაიას" შორის თანამშრომლობა ამ კვირის ბოლომდე უნდა გაოფიციალურდეს.

მანამდე კი ზუგდიდელები ახალი სეზონისთვის გულმოდგინედ ემზადებიან. უკვე გაცნობეთ, რომ "ბაიაში" გადადის "სამტრედიას" ყოფილი ნახევარმცველი **გიორგი ცხადაია**, ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ კი ზუგდიდელებს ერევნის "ულისიდან" **ლევან აკობია** დაუბრუნდებათ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია გამოცდილი მეკარის, **გიორგი სომხიშვილის** დარჩენაც, რომელსაც კლუბის ფინანსური კრიზისის გამო წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი.

გაირკვა "ბაიას" უახლოესი ამხანაგური შეხვედრების გრაფიკიც. 2 ივლისს ქომეთიანის გუნდი ზუგდიდში ლანჩხუთის "გურიას" უმასპინძლებს, 4 ან 5 ივლისს ოზურგეთის "მერცხალს" მიიღებს, 9 ან 10 ივლისს კი აბაშაში მარტვილის "მერანს" გაეჯიბრება.

ლევან ჯანეზაშვილი

● U17

ტრადიციული პალანგა

მეტოქეებიც ვიცით

23-27 აგვისტოს ლიტვაში პალანგის საერთაშორისო ტურნირი გაიმართება, სადაც, ტრადიციულად, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებიც იასპარეზებს. შეგახსენებთ, ჩვენი 17-წლამდელები ბოლო წლებში პალანგაში სისტემატურად ჩადიან და წარმატებითაც თამაშობენ – შარშან **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა, შარშანწინ კი **გიორგი დევდარიანის** განვრთნილები ჩემპიონები გახდნენ.

წლეულს კი პალანგაში **ვასილ მაისურაძის** გუნდი გაემგზავრება. ქართველთა მეტოქეები უკვე ცნობილია – 23 აგვისტოს ლატვიას ეთამაშებიან, 24-ში — აზერბაიჯანს, 26-ში კი – ბელარუსს. მეორე ჯგუფში მასპინძელი ლიტვა, მოლდოვა, უკრაინა და ყაზახეთი მოხვდნენ.

ტურნირზე ნახევარფინალები არ გაიმართება და ჯგუფების გამარჯვებულები პირდაპირ ფინალში ითამაშებენ, მეორეადგილოსნები ერთმანეთს მესამე ადგილისთვის შეებრძოლებიან, მესამეადგილოსნები – მეხუთისთვის, ბოლოადგილოსნები კი — მეშვიდისთვის.

ლევან ჯანეზაშვილი

● ლეგიონერები

და დარჩა რაბი მარტო

უნგრეთის უმაღლესი ლიგის "დიორი ეტო" ქართველებისგან დაიცალა: გუშინ ცნობილი გახდა, რომ კლუბი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველმა **თემურ შარაშენიძემ** დატოვა და კარიერას თბილისის "დინამოში" გააგრძელებს.

შარაშენიძე, როემლიც "დიორიში" 2009 წლიდან ირიცხებოდა, უკვე "დინამოში" ვარჯიშობს.

უნგრელებმა "ლომბარდ პაპაში" იჯარით გაუშვეს მცველი **ლაშა თოთაძე** და ნახევარმცველი **გიორგი განუგრავა**.

ამგვარად, "დიორი ეტოში" ქართველებიდან მხოლოდ **რატი ალექსიძე** დარჩა.

მერაბ მამულაშვილი

რატი ალექსიძე (№10)

● საფეხბურთო სკოლების ლიცენზირება

ფეხბურთი ბავშვებით არსებობს!

ვინც ამას დაივიწყებს, იმას ფეხბურთი დაივიწყებს

გოლო დღეებში არაერთხელ ითქვა, რომ საფეხბურთო სკოლების ლიცენზირება მკაცრი კრიტერიუმებით ჩატარდება. ფეხბურთის ფედერაციისა და სპეციალისტების გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ საფეხბურთო სკოლებში კატასტროფული მდგომარეობაა და უმეტესობა ლიცენზირების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.



ამ საკითხზე ფეხბურთის ფედერაციის XX ყრილობაზეც ილაპარაკეს. ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** თქმით, დაისახა ამოცანა, რომ სკოლებმა საერთაშორისო სტანდარტები დააკმაყოფილონ. როგორი საქმეა, 144 სკოლა შეამოწმეს და მათგან ლიცენზიის მიღების შანსი მხოლოდ 19-ს აქვს, თანაც, მათი უმეტესობა თბილისში მუშაობს.

მოულოდნელად, უკეთესთა სიაში ვერ მოხვდა ქვემო ქართლის ვერც ერთი სკოლა, არადა, მარტო რუსთავის საფეხბურთო სკოლები ბოლო ათწლეულებში ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კერები იყვნენ და საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების ბევრი ფეხბურთელიც გაუზრდიათ.

ქვემო ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლაშა მინდელი** ამბობს, რომ ლიცენზირებული სკოლა მალე რუსთავშიც ამუშავდება.

"პარადოქსია, მაგრამ რუსთავსა და ქვემო ქართლში კეთილმოწყობილი საფეხბურთო სკოლები კომუნისტების დროსაც არ იყო. ჩვენთან გაზრდილი ყველა ცნობილი ფეხბურთელი რუსთავის "მეტალურგის" სათადარიგო სტადიონზე ვარჯიშობდა, რომელიც არასოდეს არანაირ სტანდარტს არ აკმაყოფილებდა.

ლოგიკურიც არის, რომ ჩვენს სკოლებს ლიცენზიის მიიღების შანსი არ აქვთ, მაგრამ ახლა კერძო ინვესტიციით რუსთავის სტადიონზე ორი მოედანი ეწყობა, ერთი სტანდარტული და ერთიც ოდნავ მცირე ზომისა. ეს იქნება საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო ინფრასტრუქტურის მქონე სკოლა, რომელიც ლიცენზიას აუცილებლად მიიღებს. იქ იქნება არა მხოლოდ საუკეთესო მოედნები, არამედ საშხაპეები, გასახდელები, კაფეები და ყველა ის პირობა, ბავშვებმა თავი კომფორტულად რომ იგრძნონ. სკოლას "რუსთავმეტალი" აშენებს.

მშენებლობა უკვე დაწყებულია და მისი დასრულების შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის სალიცენზიო კომიტეტის წარმომადგენლებს ვთხოვთ, ჩამოვიდნენ და შეამოწმონ. სხვათა შორის, ეს თავის დროზე საფეხბურთო სკოლის ტერიტორია იყო, ცნობილი რუსთაველი მწვრთნელი მურმან გოგოლაძე იქ სტადიონის აშენებას აპირებდა, მაგრამ დრო აირია და გეგმები ვერ განხორციელდა.

სამწუხაროდ, ჯერ სხვა ქალაქში ვერ მოვახერხეთ კერძო ინვესტიციის მოზიდვა. თუმცა იმედია, საფეხბურთო სკოლების კეთილმოწყობაში სახელმწიფო სტრუქტურები თავის წვლილს შეიტანენ, მაგალითად, ბოლნისში. თუ ასე ვერ მოხერხდა, მკაცრი მოთხოვნები ამოქმედდება და ულიცენზიო სკოლის გუნდი ფედერაციის ეგიდით გამართულ ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. არადა, ამის გამო ჩვენს რეგიონში არსებული პოტენციალის გამოუყენებლობა არაფრით არ შეიძლება — შესაძლოა, ბევრი ნიჭიერი ბავშვი დაიკარგოს. ასე რომ, ჩვენი მიზანი მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებაა" – გვითხრა მინდელმა.

ლიცენზირებულთა სიაში ვერ ამოვიკითხეთ საფეხბურთო სკოლა "საბურთალო", რომელმაც ბოლო წლებში საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებისთვის რამდენიმე ფეხბურთელი გაზარდა, რომლებიც **გიორგი დევდარიანის** ადრე 17-წლამდელთა, ახლა კი 19-წლმდელთა ნაკრების ბირთვს წარმოადგენენ.

როგორც გავიგეთ, ეს საკითხი დაზუსტებას საჭიროებს: ლიცენზირებისთვის ფედერაციის კომისია სკოლებს რომ ესტუმრა, მაშინ "საბურთალო" და "ოლიმპი" ამ უკანასკნელის სახელით იყვნენ გაერთიანებულნი, წლის დასაწყისში კი მათ კვლავ ცალ-ცალკე ამჯობინეს მუშაობა და ისე გამოვიდა, რომ ლიცენზიის მისაღებად "საბურთალოს" ხელახლა შემოწმებაა საჭირო. მას ცალკე სუბიექტად ახალ სალიცენზიო სეზონში შეამოწმებენ. სკოლის თავკაცები კი უახლოეს პერიოდში სტანდარტული სტადიონის აშენებას და ინფრასტრუქტურის განახლებას გეგმავენ.

მერაბ მამულაშვილი

● ფრანგული ამბები

დიდიე დროგბას კარიერის დასრულება ველოდრომზე სურს

ჭორ-მართალი გალთა ქვეყნიდან

"მარსელის" სპორტულმა დირექტორმა **ჟოზე ანიგომ** კატეგორიულად უარყო ხმები, თითქოს ვიცე-ჩემპიონები სხვა კლუბებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ **ანდრე ჟინიაკის** ტრანსფერთან დაკავშირებით. პიერ-ანდრე სამხრეთელებმა "ტულუზიდან" დიდი იმედებით იყიდეს და მასში 18 მილიონი ევრო გადაიხადეს, მაგრამ მან იმედები ყველას გაუცრუა. სეზონის განმავლობაში 31 თამაშში (21 ძირითადში) მის ანგარიშზე სულ რაღაც 8 გოლი და 4 საგოლე გადაცემა დაგროვდა. აღნიშნული ჭორი პირველად ერთ-ერთ ნაკლებად პოპულარულ საიტზე დაიწერა, თუმცა შემდგომ ის ყველამ აიტაცა. მიუხედავად სუსტი სეზონისა, **დიდიე დეშამმა** განაცხადა, რომ მას არ სჯერა, რომ შეიძლებოდა 25 წლის ფორვარდს ტალანტი ასე უცბად გაეფლანგა, შესაბამისად, ის აპირებს თავდამსხმელს მეორე შანსიც მისცეს. ამ აზრს იზიარებს ანიგოც. აი, რას აცხადებს ის: *"გეკითხებით, ვის შეეძლო კლუბის სახელით ანდრეს წასვლაზე ამბავი გაევრცელებინა? ეს არიან პრეზიდენტი ვენსან ლაბრუინი და მწვრთნელი დიდიე დეშამი და მე. არც ერთ ჩვენგანს ასეთი რამ არ უთქვამს. ჟინიაკი გუნდში დარჩება, რადგან წინ ახალი სეზონია, რომელიც გაარკვევს იმას, თუ რა შეუძლია მას. ახლა ყველაფერი მისსავე ხელშია, ადგეს და გვიჩვენოს, რომ სწორედ ის ფორვარდია, ვისი იმედიც შეიძლება გვქონდეს".*

"მარსელის" პრეზიდენტმა **ვენსან ლაბრუინმა** ჟინიაკზე არა, მაგრამ საკმაოდ მოულოდნელი განცხადება გააკეთა **დიდიე დროგბასთან** დაკავშირებით. მან დაადასტურა, რომ კლუბი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ივუარელი ფორვარდი "ველოდრომზე" დაბრუნოს, თუნდაც ამისთვის რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვა დასჭირდეს: *"ერთადერთი სერიოზული პრობლემაა: შევძლებთ კი 4 წლის განმავლობაში დიდიესთვის იმ ხელფასის გადახდას, რასაც ითხოვს. პასუხი დადებითია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ 11 დროგბას, ანუ 11 მაღალანაზღაურებად ფეხბურთელს ვერ შევინახავთ. დროგბას გადმობირებას მხოლოდ მაშინ მოვახერხებთ, თუ რამდენიმე ფეხბურთელს შევეღვევით".*

შეგახსენებთ, რომ აფრიკელმა ვარსკვლავმა კიდევ ერთხელ დაადასტურა სურვილი, კარიერის მიწურულს "მარსელს" დაუბრუნდეს და ბუცები ლურსმანზე სწორედ აქ დაკიდოს.

მექსიკის ნაკრების თავისუფალ აგენტად ქცეული მეკარე **გილერმე ოჩოა** გუშინ პარიზში უნდა ჩაფრენილიყო და "პარი სენ-ჟერმენთან" კონტრაქტი გაეფორმებინა. კონტრაქტით ფეხბურთელს ნელიწადში 1,5 მილიონ ევროს გადაუხდიან. აღნიშნული "ეკიპმა" უკვე გადაწყვეტილად გამოაცხადა. ჩვენ კი ნამდვილად არ გვაქვს უფლება ჩვენს ფრანგ კოლეგებს არ ვენდოთ. უკანასკნელი კლუბი, სადაც 25 წლის ოჩოა ასპარეზობდა, მექსიკური "ამერიკა" იყო. შეგახსენებთ იმასაც, რომ გილერმეს აგენტი ბოლო დღეებში მოლაპარაკებებს აწარმოებდა ლონდონურ "ფულჰემთან" და პირეოსულ "ოლიმპიაკოსთანაც".

"პარი სენ-ჟერმენთან" დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს მეორე გავლენიანი ფრანგული გამოცემა "პროვანსიც". ყატარელი ინვესტორების მოსვლის შემდეგ კლუბი არც ენერგიას ზოგავს და არც თანხას, რათა შემადგენლობა მაქსიმალურად გააძლიეროს. პარიზელებმა "არსენალს" მარჯვენა მცველის, 25 წლის **გაელ კლიშის** ტრანსფერზე ჩამოუგდეს სიტყვა და დაადასტურეს მზადყოფნა, ფეხბურთელში 15 მილიონი ევრო გადაიხადონ. საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელის გადაბირების სურვილი იქამდე "ბაიერნს" ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ შეთანხმება არ შედგა. თავის მხრივ გაელთან კონტრაქტის გახანგრძლივება **არსენ ვენგერსაც** სურს, რადგან კლიშის კონტრაქტი მომავალ წელს ეწურება.

ისევ და ისევ "პროვანსის" ინფორმაციით, საფრანგეთის ჩემპიონი "ლილი" ახლოსაა საფრანგეთის ნაკრების კანდიდატის, სენტეტიენელი 24 წლის **დიმიტრი პაიეს** შეძენასთან. "ძაღლებმა" "მწვანეებს" ("სენტ ეტიენის" მეტსახელია) 10 მილიონი ევრო შესთავაზეს. თავად დიმიტრი უკვე იმყოფებოდა "ლილის" ბაზაზე, სადაც პირადი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. კლუბებს კი პირობებზე მოსარიგებლად მხოლოდ დეტალებიღა დარჩათ. "სენტ ეტიენის" დამრიგებლის **კრისტოფ გალტიესთვის** პაიეს წასვლა სრულიად მოულოდნელი იყო, რადგან რამდენიმე დღის წინ სწორედ მწვრთნელის მეცადინეობით ჩაიშალა გარიგება "პარი სენ-ჟერმენთან". ყველაფერი იმდენად სწრაფად მოხდა, დრო ნერვიულობისთვისაც კი არ დამრჩაო, - განაცხადა სპეციალისტმა.

ამასობაში საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონების მწვრთნელი შეიძლება მეორე კვალიფიციურ ფეხბურთელსაც გამოეთხოვოს. შვეიცარიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველის **ჟელსონ ფერნანდესის** შეძენა კიევის "დინამომ" მოინდომა. ფეხბურთელმა ბოლო სეზონი იჯარით "კიევოში" გაატარა. "მერკატო365-ის" ცნობით, "დინამოს" გარდა ჟელსონის ყიდვა თურქულ "ბურსასპორს", შვეიცარიულ "სიონსა" და გერმანულ "კიოლნს" უნდათ. თავის მხრივ ფრანგებს კიეველთაგან **პაპე დიაკატეს** ყიდვა განუზრახავთ, შესაძლოა მხარეების გაცვლაზე შეთანხმდნენ.

"კანის" პრეზიდენტმა **ჟან-ფრანსუა ფორტენმა** დაადასტურა, რომ მისი გუნდის საუკეთესო ბომბარდირი (ლიგა 1-ის ბომბარდირთა შორის მეოთხე) 24 წლის **იუსეფ ელ არაბი** კარიერას იტალიაში გააგრძელებს: *"დიახ, ეს საქმე თითქმის გადაწყვეტილია. "ჯენოასთან" კონტაქტი კარგა ხანია გვაქვს და შეთანხმება პრაქტიკულად უკვე მიღწეულია,"* – განუცხადა მან "ეკიპს". იმ კლუბებს შორის, ვისაც მაროკოს ნაკრების თავდამსხმელის შეძენა სურდათ აქამდე ძირითადად რუსული კლუბების სახელდებოდნენ, მათ შორის მოსკოვის ცსკა, თუმცა მაროკოელმა რუსეთში კარიერის გაგრძელება ცივად იუარა.

ლევან ბიბილაშვილი

● ფუტსალი

თბილისი მასპინძელია

რაში დარწმუნდნენ კიდევ ერთხელ ჩვენი ფუტსალელები

გადაწყვეტილი ამბავია – თბილისი უეფას ფუტსალის თასის (ფუტსალის ჩემპიონთა ლიგა) ძირითად ეტაპს უმასპინძლებს. უეფაში განაცხადი საქართველოს ჩემპიონმა "იბერია სტარმა" მაისის ბოლოს შეიტანა.

23 ივნისს თბილისში უეფას ინსპექტორი, ფუტსალის შეჯიბრებათა მენეჯერი **ლორან მორელი** ჩამოვიდა, ინფრასტრუქტურას ადგილზე გაეცნო და შვეიცარიაში გაბრუნებულმა განაცხადა, რომ თბილისი ტურნირის მასპინძლობისთვის მზად არის.

"მორელი უეფაში ფუტსალს განაგებს და როდესაც ჩამოდიოდა, დარწმუნებული ვიყავით, რომ ტურნირის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად საფუძველი გვქონდა. მისმა ვიზიტმა ამაში დაგვარწმუნა. ის ესტუმრა თბილისის სპორტის სასახლეს და ჩვენ მიერ დასახელებულ სასტუმროებს. ვიცოდით, რომ კარგი ინფრასტრუქტურა შევთავაზეთ, მაგრამ მაინც ველოდით, რომ რაიმე სახის რეკომენდაციას მოგვცემდა. ამ დროს კი, ერთი შენიშვნაც კი არ ჰქონია და შვეიცარიაში მისი დაბრუნებიდან ორ დღეში უეფადან პასუხი მივიღეთ – განვიხილეთ საკითხი და გადავწყვიტეთ, რომ თბილისს უეფას ფუტსალის თასის ძირითადი ეტაპის მასპინძლობა შეუძლია. არადა, წინასწარ ვიცოდით, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას უეფა ორ კვირაში გვაცნობებდა.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მასპინძლობის თანაბარ პირობებში ძალიან ბევრს ნიშნავს პირადი ნაცნობობა და კეთილგანწყობა. მორელი არა მხოლოდ ინფრასტრუქტურით, ქართული მასპინძლობითაც აღტაცებული დარჩა.

სხვათა შორის, გამორიცხული არ არის, შემდეგი ელიტ რაუნდის მასპინძლობის უფლებისთვისაც ვიბრძოლოთ, რომელიც 2012 წლის აპრილში დაიგეგმა. რაც შეეხება ტურნირს, ის 24 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე უნდა გაიმართოს და მისი ოფიციალური მასპინძელი იქნება არა კლუბი, არამედ ფეხბურთის ფედერაცია." – გვითხრა ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრმა **გიორგი დარჯანიამ**.

6 ივლისს უეფას შტაბბინაში ფუტსალის თასის წილისყრა მოეწყობა. თავდაპირველად კენჭს საკვალიფიკაციო ეტაპზე მოთამაშე გუნდებს უყრიან. ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი "იბერია სტარი" შეჯიბრებაში პირდაპირ ძირითადი ეტაპიდან, სექტემბერში ჩაერთვება. 4-გუნდიანი ჯგუფიდან ელიტ-რაუნდში ორი საუკეთესო გავა.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არსენალი

ახალი მაისურით, მაგრამ ძველი კაპიტნით?

„ბარსელონა“ **სესკ ფაბრეგასს** გაფიცვისკენ მოუწოდებს. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული და ესპანეთის ჩემპიონი „მეთოფეთა“ 24 წლის კაპიტანს შემდეგი კვირიდან დაუმორჩილებლობას სთავაზობს, რათა ლონდონის გუნდი გონს მოეგოს, დაიჯეროს, რომ ესპანელს მათთან ყოფნა აღარ უნდა და ფასი დაუკლოს — ერთ კვირაში „არსენალი“ ახალი სეზონისთვის იწყებს მზადებას. მოგეხსენებათ, „ბარსელონამ“ ლონდონელებს 27 მილიონი ფუნტი (30 მილიონი ევრო) შესთავაზა, რაზეც მათ უარი თქვეს. ისინი კაპიტანს 40 მილიონ ფუნტად (44,7 მილიონი ევრო) აფასებენ და, მართალია, დააკლებენ, მაგრამ „ბარსას“ შეთავაზებულ ფასსა და ამ თანხას შორის მეტისმეტად დიდი განსხვავებაა.

ამრიგად, კატალონიელები ვარაუდობენ, რომ თუ ფაბრეგასი გაიფიცება, მძიმე სინამდვილის წინაშე დამდგარი „არსენალი“ იძულებული გახდება, ფეხბურთელი მათთვის სასურველ ფასში გაყიდოს — ბარსელონელები დაჟინებით იმეორებენ, რომ სესკი შარშანდელივით ველარ თამაშობს და წლეულს მისი რეალური ფასი სხვაა. ინგლისურმა პრესამ კი ფაბრეგასის ახლობლებისგან შეიტყო, რომ ის ჩრდილოლონდონელებს გაფიცვას ვერ აკადრებს.

ფეხბურთელისაც გასაგებია. იმ შემთხვევაში, თუ მისი ტრანსფერი ჩაიშლება და ლონდონში მოუწევს დარჩენა, გაფიცვა საქმეს მხოლოდ გაუფუჭებს. გარდა ამისა, არსებობს იმიჯიც: მართალია, ფაბრეგასს არასდროს დაუმალავს, რომ „ბარსელონაში“ უნდა გადასვლა, მაგრამ ამასთან, ყოველთვის იმეორებდა, რომ „არსენალი“ მისთვის განსაკუთრებული კლუბია. ლონდონელებიც, თითქოსდა, მკაფიოდ ამბობენ, რომ ფაბრეგასი მათი კლუბის თილისმაა და მას მხოლოდ დიდ ფულად თუ გაყიდიან.

ამ ზაფხულს „ბარსელონას“ იმდენი თანხა არ აქვს, რომ მისთვის სასურველ ყველა ფეხბურთელში დაუნანებლად გაიღოს. აი, მაგალითად, კატალონიელებს ძალიან უნდათ „უდინეზესგან“ 22 წლის ჩილელი **ალექსის სანჩესის** ყიდვა, მაგრამ მას მერე, რაც საქმეში „ფულის ტომარა“ „მანჩესტერ სიტი“ ჩაერია, მათი შანსები შემცირდა. „ბლაუგრანას“ თავკაც **პეპ გვარდიოლას** სესკის გადაბირება მეტისმეტად უნდა, პრეზიდენტ **სანდრო როსელს** კი სხვა მიდგომა აქვს — ჩვენი ბავშვთა სკოლის ძველი აღსაზრდელის გამო ფინანსურ ბალანსს არ დავარღვევო. „ბარსას“ ნახევარმცველი **სერხიო ბუსკეტსი**:

„ყოველ წელიწადს ერთი და იგივე მეორდება, თუმცა ამ ზაფხულში სესკი თითქოს უფრო მოგვიახლოვდა და იქნებ ბოლოს და ბოლოს ამ საქმეს საშველიც დაადგეს“.

„არსენალის“ თავკაცმა **არსენ ვენგერმა** კი გადაწყვიტა, ცუდი შედეგებით გულგატეხილ ფანებს წერილობით მოუხადოს ბოდიში და განუმარტოს რა ტრიალებს მათი კლუბის თავს. ეს ერთგვარი პასუხი გახლდათ საკუთრივ ფანების წერილზე, რომელთაც უპირველეს ყოვლისა აინტერესებდათ, რატომ არ ყიდულობენ „მეთოფეები“ ცნობილ, ძვირადღირებულ ფეხბურთელებს. ვენგერი თავის განმარტებაში ხალხს გულმოდგინედ უხსნის რა ნაკლოვანებები აქვს ფულის დაუნანებლად ფლანგვას, კლუბის ფინანსურ ფილოსოფიას და იმას თუ რატომ ვერ გახდა „არსენალი“ გასულ სეზონში ჩემპიონი. საინტერესოა, რომ ფრანგი მწვრთნელი წარუმატებლობის გამო პასუხისმგებლობას მთლიანად საკუთარ თავზე იღებს.

სამირ ნასრი ახალი ფორმით

თუმცა, ჯიბეზე ხელის გაკვრა ისეთი რამ არის, რაგინდ ფილოსოფიას მისდევდე, მაინც მოგიწევს. ასე მაგალითად, გუშინ მოგახსენეთ, რომ „მეთოფეებს“ „ვალენსიასგან“ **ხუან მატას** ყიდვა უნდათ. მატა 23 წლის ესპანელი ნახევარმცველია, რომელიც ახლახან 21-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონი გახდა. ჩრდილოლონდონელებმა „ვალენსიას“ მატას სანაცვლოდ 18 მილიონი ფუნტი (20,1 მილიონი ევრო) შესთავაზეს, პასუხად კი მიიღეს, რომ თუ მისი ყიდვა უნდათ, 23 მილიონი ფუნტის (25,7 მილიონი ევრო) გადახდა მოუწევთ. ცნობისთვის: „ვალენსიამ“ მატასთან ახალ, ოთხწლიან კონტრაქტს იანვარში მოაწერა ხელი.

„მატას კონტრაქტში რამდენიმე სპეციფიკური პუნქტია და თუ ეს პუნქტები არ ამოქმედდება, მისი სადმე გადასვლა გამორიცხულია“ — თქვა ფეხბურთელის მავანმა ახლობელმა, რომელიც, შესაძლოა, ასეთი განცხადებით ვაჭრობაში მონაწილეობს კიდეც. თავად მატამაც „ვალენსიაში“ დარჩენა ისურვა:

„მომდევნო სეზონში ტიტულების მოგება „ვალენსიასთან“ ერთად მინდა. 2015 წლამდე „ლამურებთან“ მაქვს კონტრაქტი და აქედან არსად ვაპირებ წასვლას“ — თქვა ფეხბურთელმა, რომელსაც, ვინ იცის, იმედი აქვს, რომ „არსენალი“ შეთავაზებას გაზრდის, რის გამოც, შეშფოთებული ვალენსიელები ხელფასს მოუმატებენ. გასულ ზაფხულში მატას ყიდვის სურვილი გამოთქვეს „რეალმა“, „ბარსელონამ“, „ჩელსიმ“ და „ლივერპულმა“.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც, თითქოსდა, „არსენალში“ გადადიოდა, 23 წლის **ქარიმ ბენზემა** გახლდათ. ბენზემა, მოგეხსენებათ, „რეალში“ თამაშობს. იყო ვარაუდი, რომ თუ მადრიდელები **სერხიო აგუეროსა** და **ნეიმარს** იყიდდნენ, კონკურენციით შეშინებული ფრანგი „ემირეი სთედიუმზე“ გაიქცეოდა, მაგრამ მან ვაჟკაცობა გადაწყვიტა და თქვა, რომ „რეალში“ ვინც გინდა მივიდეს, ის იქიდან ფეხსაც არ მოიცვლის.

„დაჟინებით ვიმეორებ, „რეალიდან“ წასვლა გულში არასდროს გამივლია. კონკურენტების რომ მეშინოდეს, ფეხბურთს სულ არ ვითამაშებდი“ — თქვა „ლიონის“ ყოფილმა ფეხბურთელმა.

ამასობაში კი „არსენალის“ დიზაინერებმა ახალი ფორმები შეკერეს. საოცარია, მაგრამ „მეთოფეთა“ ახალი, ოღონდ, რასაკვირველია, სტუმრად ჩასაცმელი ფორმა ლურჯია. უფრო სწორად, შავლურჯი. წლეულს „არსენალს“ დაარსებიდან 125 წელი უსრულდება და მაისურზე ეს რიცხვიც იქნება ამოქარგული.

ფორმის პრეზენტაციაზე „მეთოფეებმა“ რამდენიმე ფეხბურთელი მიიწვიეს, მათ შორის 24 წლის ფრანგი **სამირ ნასრიც**. ნასრიმ, სამოსი მოირგო და ფოტოსესიაშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ჟურნალისტებმა ერთხმად გაამახვილეს ყურადღება, რომ ნახევარმცველს დანა პირს არ უხსნიდა. ეს, ალბათ, გასაგებიც არის. ნასრის საქმე გაურკვეველია. მას „ემირეიტ სთედიუმზე“ ახალი კონტრაქტისთვის ხელი არ მოუწერია, მთხოვნელი კი იცოცხლეთ, ჰყავს — „მანჩესტერ იუნაიტედი“.

რაც შეეხება ფორმას, ინგლისელი ჟურნალისტები წერენ, რომ ის „მონაკოსას“ აგონებთ, დიზაინერები კი ამტკიცებენ, რომ დიაგონალური ფორმები ქვიშის საათის ასოციაციას იწვევს, ქვიშის საათი კი ისტორიული საგანი გახლავთ — 1886 წელს, როდესაც „მეთოფეთა“ კლუბი დაარსდა, ლონდონში, კერძოდ კი ვულვიჩის დაიალ სკვერზე, სამხედრო აღჭურვილობის ქარხანასთან სწორედ ქვიშის საათი იდგა.

● ლივერპული

?ადამიანი — ადამიანზე და ადამიანზე

„ლივერპულს“ ისე უნდა „ბლექპულიდან“ 25 წლის შოტლანდიელი ნახევარმცველის, **ჩარლი ადამის** გადაბირება, რომ მზად არის ჩემპიონშიპში გავარდნილ კლუბს ფულის გარდა თავისი აღზრდილი ყმაწვილებიდან ერთი-ორი შესთავაზოს. ადამის ხელში ჩაგდებას „წითლები“ იანვარშიც ცდილობდნენ, მაგრამ მაშინ ხელი მოეცარათ და ახლა, ხელახლა სცადეს „ბლექპულზე“ იერიშის მიტანა. კონტრაქტის თანახმად ადამს „ბლექპულთან“ ერთი წელიწადიღა აკავშირებს. ბუნებრივია, ყველას კარგად ესმის ეს რასაც ნიშნავს — გაისად ამ დროს შოტლანდიელს ხელფეხი გაეხსნება და სადაც მოეპრიანება იქ წავა, „ბლექპული“ კი მის სანაცვლოდ კაპიკს ვერ მიიღებს. შესაბამისად, ჩემპიონშიპის გუნდისთვის, კომერციული თვალსაზრისით, ფეხბურთელის ახლავე გაყიდვა გაცილებით მომგებიანი იქნება, მაგრამ კლუბის ჯიუტ თავმჯდომარეს, **კარლ ოისტონს** დაუჩემებია ვერანაირ ზეწოლას ვერ ვგრძნობო.

და „ლივერპული“ რას გეგმავს? ინგლისის, ტიტულების მიხედვით, ახლა უკვე მეორე გუნდი აპირებს „ბლექპულს“ 8 მილიონი ფუნტი შესთავაზოს და მას ორი ფეხბურთელი მიაყოლოს, ოღონდ თუკი 22 წლის მარჯვენა მცველ **სტივენ დერბის** საჩუქრად იმეტებს, 19 წლის **ჯონჯო შილვის** მხოლოდ მიაქირავებს.

ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია თავად ფეხბურთელს რა უნდა. რამდენადაც ცნობილია, ადამს სწორედაც მერსისაიდზე გადასვლა სურს, სადაც „ლივერპულს“ მისი ლეგენდარული თანამემამულე **კენი დალგლიში** უდგას სათავეში. დალგლიშისთვის კი ადამის შეძენა მეორე სატრანსფერო გამარჯვება იქნება — „ლივერპულმა“ „სანდერლენდისგან“ 20 მილიონ ფუნტად 21 წლის **ჯორდან ჰენდერსონი** უკვე იყიდა.

რაც შეეხება „რომას“ ბრაზილიელ მეკარე **დონის**, მან თქვა, რომ „ლივერპულში“ არ გადავა, რადგან მერსისაიდზე ხელფასის 60 პროცენტით შემცირება სთხოვეს. 31 წლის გოლკიპერი, რომელსაც სინამდვილეში **დონიბერ ალეშანდერ მარანგონი** ჰქვია, ან იტყუება, ან „ენფილდ როუდზე“ გაგიჟებულან...

● შოტლანდია

კენიელი ვიქტორი

„სელტიკის“ მიერ სამიზნეში ამოღებული 20 წლის კენიელი **ვიქტორ ვანიამა** ამბობს, რომ გლაზგოს კლუბში გადასვლასთან ძალიან ახლოს არის. ვანიამა, რომლის ფასი 1 მილიონი ფუნტი ანუ 1,1 მილიონი ევროა, ბელგიურ „ჟერმინალში“ თამაშობს. თუ ის „პარკჰედზე“ გადავა, ამ ზაფხილს **ნილ ლენონის** პირველი შენაძენი გახდება. აღსანიშნავია, რომ კენიელს „ჟერმინალში“ ყოფნის ერთი წელიწადიღა დარჩა, ასე რომ, ანტვერპენის გუნდისთვის მისი ახლავე გაყიდვა გახლავთ უპრიანი.

არ იფიქროთ, რომ ვიქტორ ვანიამა მხოლოდ „სელტიკმა“ შეამჩნია. მისი ყიდვა უნდოდათ „რეინჯერსს“, „ასტონ ვილას“, „გენკს“ და „სტანდარდსაც“, თუმცა ჩამშლელი ნახევარმცველი ამბობს, რომ მან „სელტიკთან“ პირადი საკითხები უკვე შეათანხმა.

ფეხბურთელი, რომელიც სტილით ძალიან ჰგავს „ჩელსის“ განელ ნახევარმცველ **მიკაელ ესიენს**, ამბობს: *„უკიდურესად გახარებული ვარ. „სელტიკი“ ლეგენდარული გუნდია და ერთი სული მაქვს, როდის ჩავიცვამ მის ფორმას. „ჟერმინალში“ დიდებული დრო გავატარე, მაგრამ, დროა ახალი ცხოვრება დავიწყო და ეს „პარკჰედზე“ მოხდება“.*

ვიქტორ ვანიამა „ინტერის“ 24 წლის მოთამაშის, **მაკდონალდ მარიგა ვანიამას** უმცროსი ძმა გახლავთ. მას კენიის ნაკრების მაისურა პირველად 15 წლისას ანდეს. ეს ნიგერიასთან ამხანაგურ შეხვედრაში მოხდა. ზემოთ ვახსენეთ, რომ „სელტიკის“ თავკაც ლენონს ამ ზაფხულს ჯერ ფეხბურთელი არ უყიდია, მაგრამ გუნდში ორი ახალი მოთამაშე მაინც ჰყავს. ეს როგორ მოხდა? „კარდიფ სიტის“ მარჯვენა მცველ **ადამ მეტიუზთან** და „ნოტინგემ ფორესტის“ უკანახაზელ **კევინ უილსონთან** მან ჯერ კიდევ იანვარში გააფორმა წინასწარი კონტრაქტები.

„სელტიკიდან“ მიდიან კიდეც, ოღონდ... თუ მოახერხეს. მოკლედ, „პარკჰედის“ დატოვება ჩრდილოირლანდიელ **ნილ მაკგინს** სურს. 23 წლის ფეხბურთელს ძალიან ეწყინა, როდესაც შეიტყო, რომ ლენონმა ავსტრალიაში, სეზონისწინა შეკრებაზე წასაყვანთა სიაში არ ჩაწერა. მაკგინმა „ტვიტერზე“ ჯერ დაწერა, რომ საშინლად გაბრაზებულია, შემდეგ კი დაამატა, მომავალში მეტი მუშაობა მომიწევსო. სწორადაც მოიქცევა, მისი შეძენით ხომ არავინ არის დაინტერესებული.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ვიქტორ ვანიამა

● სანდერლენდი

უიკჰემი და შავი კატები

კონორ უიკჰემი

„სანდერლენდმა“ „იფსვიჩს“ **კონორ უიკჰემში** 13 მილიონი ფუნტი უნდა გადაუხადოს, ოღონდ, თავიდან იფსვიჩელები 5 მილიონითაც დაკმაყოფილდებიან, დანარჩენი კი მერე იქნება. უიკჰემი 191 სანტიმეტრი სიმაღლის 18 წლის თავდამსხმელია. მას ინგლისის ერთ-ერთ ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ.

თუმცა ის, რომ „შავმა კატებმა“ ჩემპიონშიფის მე-13 გუნდთან თანხა შეათანხმეს, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვა კლუბები აღარ გამოიდებენ თავს. პირიქით, „არსენალის“, „ტოტენჰემის“ და „ლივერპულის“ გააქტიურებას სწორედ ახლა ელოდებიან.

უიკჰემი თავიდან „იფსვიჩის“ ბავშვთა აკადემიაში მიიღეს, შემდეგ კი დიდ გუნდშიც მოხვდა — ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი. 2009 წლის აპრილში ის „დონკასტერთან“ შეხვედრაში მეორე ტაიმში შეუშვეს მოედანზე. მაშინ კონორი 16 წლისა გახლდათ.

გასულ სეზონში უიკჰემმა 37 შეხვედრაში 9 გოლი გაიტანა და 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცის, **სტიუარტ პირსის** თვალსაზიერში მოხვდა. მან დანიაში ახლახან დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატშიც მიიღო მონაწილეობა. „იფსვიჩის“ მწვრთნელი **პოლ ჯიუელი** ამბობს, რომ მას ყმაწვილკაცის გაყიდვა მაინცდამაინც არ ეჩქარება:

„ჩვენ მოვლენების დაჩქარებას არ ვაპირებთ, რადგან „იფსვიჩისთვის“ უიკჰემის გაყიდვა ამ ეტაპზე მომგებიანი არ არის. მაგრამ, თუ მას წასვლა უნდა და მყიდველი კლუბი ფულსაც კარგად გადაიხდის, წინააღმდეგობას არ გავუწევთ. სხვათა შორის, კონორს ჩემთვის არასდროს უთქვამს, რომ სადმე აპირებს წასვლას. მოკლედ, კედელს მიბჯენილები ნამდვილად არ ვართ და მშვიდად ვაკონტროლებთ სიტუაციას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სკანდალი

ერთწლიანი პირობითი პიუჩეკს

...და 37 000 ევრო იმის გამო, რომ 2006 წელს თამაშის ყიდვაში მონაწილეობდა

პოლონელი მარჯვენა მცველი **ლუკაშ პიუჩეკი** ბუნდესლიგის გასული სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო – დორტმუნდის „ბორუსიას“ ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა, „კიკერისგან“ უმეტესად ძალიან კარგ შეფასებებს იმსახურებდა და საბოლოოდ გერმანიის ჩემპიონიც გახდა. ახლა კი, 26 წლის პიუჩეკის შესახებ სკანდალი გასკდა, რომლის შედეგიც სასამართლო და ის სასჯელია, რაც სათაურშიც აღვნიშნეთ.



ლუკაშ პიუჩეკი

ერთწლიანი პირობითი პატიმრობა მას არ ნიშნავს, რომ ლუკაში ციხეში უნდა ჩაჯდეს – ის თავისუფალი იქნება და ფეხბურთსაც უპრობლემოდ ითამაშებს. თუმცა დამნაშავედ სცნეს, უფრო სწორად, დანაშაული თვითონ აღიარა. პირობით პატიმრობასთან ერთად კი, 37 000 ევროს გადახდაც დააკისრეს. პიუჩეკი სასამართლოს წინაშე გუშინწინ, მშობლიურ ბრესლაუში წარსდგა და თუ რა დააშავა პოლონელმა ფეხბურთელმა, ამაზე ახლავე მოგითხრობთ.

როგორც ალბათ თვითონაც მიხვდით, საქმე მატჩის მანიპულირებას ეხება. ლუკაშ პიუჩეკმა თვითონ მიმართა პოლონეთის სამართალდამცავ ორგანოს და აღიარა, რომ 2005/2006 წლების სეზონში, როცა „ლუბინის“ ღირსებას იცავდა, თანაგუნდელებთან ერთად კრაკოველ ფეხბურთელებს 25 000 ევრო გადაუხადა იმისათვის, რომ პიუჩეკის გუნდთან დამარცხებულიყვნენ. „ლუბინს“ იმ შეხვედრის მოგება ძალიან სჭირდებოდა, რადგან სამი ქულის მოპოვების შემთხვევაში უეფას თასის საგზურს მოიპოვებდა.

პოლონეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ფრანციშეკ შმუდა** აცხადებს, ლუკაშზე უარის თქმას არ ვაპირებ, ხუთი წლის წინ რომ „გაერთო“, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკრებიდან უნდა მოვკვეთოო. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან პიუჩეკი დღესდღეობით ერთ-ერთი საუკეთესო პოლონელი ფეხბურთელია, რომელიც ეროვნულ ნაკრებს ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე ძალიან სჭირდება. პიუჩეკს ამის გამო არც დორტმუნდში შეექმნება პრობლემები – „ბორუსიას“ მენეჯერმა **მიხაელ ცორკმა** თქვა, რომ ეს თემა მისთვის მნიშვნელოვანი არ არის. გერმანიის ჩემპიონის მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** კი ამბობს, მიხარია, რომ ლუკაშმა დანაშაული თვითონვე აღიარაო. ერთადერთი ადამიანი, ვინც პიუჩეკის პოლონეთის ნაკრებიდან მოკვეთა მოითხოვა, ლეგენდარული მეკარე **იან ტომაჟევსკია**. 63 წლის ტომაჟევსკიმ ნაკრებიდან ლუკაშის მოკვეთა (მინიმუმ ორი წლით) მოითხოვა. მისი თქმით, მანიპულაციის ნებისმიერი სახე, მათ შორის მეტოქე გუნდისთვის ფულის გადახდა, სასტიკი დანაშაულია.

● ბაიერნი. ახალწვეულის პორტრეტი

ტაკაში უსამი ბაიერნში ჯერ არენდით ითამაშებს

ოსაკადან პირდაპირ მიუნხენში

რას წარმოადგენს ბაიერნის იაპონელი ახალწვეული?

მას მერე, რაც გადაწყდა, რომ ახალგაზრდა იაპონელი ფეხბურთელი ტაკაში უსამი კარიერას მიუნხენის „ბაიერნში“ გააგრძელებს (ეს კი სამიოდ დღის წინ მოხდა), მის შესახებ გერმანიაში ბევრი ითქვა და დაიწერა. მოგეხსენებათ, როგორ უყვართ გერმანელებს ფეხბურთელებისთვის განსაკუთრებული სტატუსების მინიჭება და ამ შემთხვევაში, გამონაკლისი არც ეს უსამია – ევროპაში აქამდე ყველასათვის უცნობი მოთამაშე, რომელმაც თვით რეკორდმაისტერში უნდა მოსინჯოს ძალები. იაპონიაში მასზე ამბობენ, ტოპ-ტალანტიაო. ამასთან, ის არის პირველი იაპონელი ფეხბურთელი, რომელიც „ბაიერნის“ ღირსებას დაიცავს და უსამი მიუნხენურ გრანდში გარკვეულწილად ექსპერიმენტიცაა. ექსპერტების საკმაოდ დიდი ნაწილი კი მას უკვე თომას მიულერს ადარებს და მეტიც – ამსგავსებს.

იაპონიაში სიამოვნებით ჰყვებიან ხოლმე ამბავს ერთ პატარა ბიჭზე, რომელიც ათი წლისაც არ იყო, მაგრამ უკვე ბევრი რამ გაეგებოდა და სრულყოფილების ძებნაში ახალ-ახალ გამონვევებს აწყდებოდა...

როგორც ჩანს, ტაკაში უსამისაც მობეზრდა თანამემამულე თანატოლებთან ბურთაობა, თუმცა მარტო მობეზრება საკმარისი რომ არ იქნებოდა, ესეც ცხადია – ალბათ ტყუილად არ ამბობენ, უსამი გამორჩეული ტალანტიაო, წინააღმდეგ შემთხვევაში „ბაიერნში“ ვერ აღმოჩნდებოდა. თუ ჩვენს იაპონელ კოლეგებს დავუჯერებთ, ხანდახან სამი-ოთხი თანატოლიც კი ვერ ართმევდა ბურთს.

ერთი სიტყვით, იმ პატარა, ათწლამდელი ბავშვისა არ იყოს, იაპონელი მიმომხილველები უსამიზეც ძალიან ბევრ რამეს ჰყვებიან. მათ შორის ამას: ერთხელ ტაკაშის თანაგუნდელებისთვის უთხოვია, აბა, მთელი გუნდი დამიდექით და თქვენს მოტყუებას ვეცდებიო...

მომდევნო ნაბიჯი

...უსამიმ ბურთი მიიღო და დრიბლინგი ნამოიწყო. ამბობენ, ცხრა მოწინააღმდეგეს უპრობლემოდ გასცდა და მხოლოდ მეათეს მოტყუება გაუჭირდა, თუმცა ბოლოს ისიც სიცარიელეში მიაწვინაო. ამას იაპონელები ამბობენ და იქვე ამატებენ, გასაკვირი სულაც არაა, რომ ეს ვუნდერკინდი ახლა „ბაიერნმა“ ინათხოვრაო.

17 წლის იყო, როცა აზიის ჩემპიონთა ლიგაში თამაშის ნება დართეს, 18 წლის იყო, როცა „ჯეი ლიგის“ საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს, ახლა კი 19 წლისაა და კარიერული წინსვლისკენ მომდევნო ნაბიჯი გადადგა – „გამბა ოსაკადან“ „ბაიერნში“ გადავიდა.

ბაიერნს ტაკაში ზამთარშიც უნდოდა

რეკორდმაისტერმა უსამი ჯერ მხოლოდ ნახევარი წლით ინათხოვრა და ამბობენ, მიუნხენელებმა ამ არენდისთვის 300 000 ევრო გადაიხადესო. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ისიც გამოარკვიეს, რომ თუ უსამი ბავარიული გრანდის მწვრთნელსა და ბოსებს თავს მოაწონებს, ზამთარში „ბაიერნი“ „ოსაკას“ მილიონნახევარ ევროს გადაუხდის და ტაკაშიც სრულფასოვანი ბაიერნელი გახდება. მანამდე კი, პატარა იაპონელი „ზეგენერშტრასეზე“ ჯერ მხოლოდ სტუმარია.

აღსანიშნავია, რომ რეკორდმაისტერს მისი გადაბირება ზამთარშიც უნდოდა და მიუნხენელებმა იაპონური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხილი უსამი მიუნხენში სინჯებზეც დაპატიჟეს, მაგრამ „ოსაკასთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი ახალი გაფორმებული ჰქონდა და მიუნხენში სინჯებზე ჩასვლა ამიტომაც იუარა.

ქება ჰაინკესისგან

ახლა კი „ბაიერნს“ სერიოზული კონკურენტები ჰყავდა, რადგან ამ ნახევარ წელიწადში ტაკაში უსამის ამბავი ევროპაში ყველა წამყვანი კლუბის შეფობისთვის ცნობილი გახდა. ეპატიუებოდნენ „შალკესა“ და „ლევერკუზენში“, „პალერმოსა“ და „ჩეზენაში“, ინგლისში, ესპანეთში, რუსეთში, სადაც ძალიან მაგარ პირობებს სთავაზობდნენ, პორტუგალიაში (ლისაბონის „ბენფიკა“) და ა.შ.

უსამიმ კი უპირატესობა „ბაიერნს“ მიანიჭა – მიუხედავად იმისა, რომ მიუნხენურ გრანდში უკვე აღარ მუშაობს მწვრთნელი, რომელმაც მას თავის დროზე თვალი დაადგა. **ლუის ვან გაალს** ვგულისხმობთ, რომელიც **იუპ ჰაინკესმა** შეცვალა. „ბაიერნის“ ჰოლანდიელი ექსდამრიგებელი ამბობდა, ტაკაში

გომესის სრულყოფილი პარტნიორი?

ჰაინკესს ამ ფეხბურთელში ყველაზე მეტად მისი მრავალმხრივობა მოსწონს. უსამის შეტევაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში – გარდა ტიპური ცენტრფორვარდისა. მაგალითად, 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში შეუძლია იყოს როგორც მარჯვენა გარემარში, ისე გამთამაშებელი და მარცხენა გარემარში და რაც მთავარია, სამივე პოზიციაზე ერთნაირად კარგად თამაშობს.

იმ ექსპერტების აზრით, ვისაც უსამის თამაში ცოცხლად აქვს ნანახი, უსამისთვის იდეალური ის იქნება, რომ „ბაიერნმა“ ორი თავდამსხმელით იასპარეზოს, მას კი მეორე, მოძრავი ფორვარდის როლი ჰქონდეს, რომელსაც **მარიო გომესის** პასებით მომმარაგება დაევალებაო. ამას იაპონელი საფეხბურთო ჟურნალისტი **ტოშიკი სუძუკი** ამბობს.

შედარება მიულერთან

გარდა იმისა, რომ ბურთს ორივე ფეხით თავისუფლად ფლობს, უსამის მთავარი პლუსი ნერვაუტოკებლობაა. კართან ყოველთვის ცივსისხლიანია და საგოლე მომენტებს უპრობლემოდ იყენებსო, ამბობს სუძუკი. შესაბამისად, გერმანელი ჟურნალისტები პარალელს **თომას მიულერთან** ავლებენ და სხვათა შორის, არა მარტო ამიტომ...

ისევე, როგორც მიულერი, თამაშს უსამიც გრძნობს და საჯარიმოს მისადგომებთან თუ საჯარიმოში, ყოველთვის ძალიან ჭკვიანურად მოძრაობს. სხვა მხრივ, უსამი მიულერზე გაცილებით სხარტია. კითხვაზე, თავისი სტილით **ლიონელ მესის** უფრო ჰგავს, თუ **კრიშტიანო რონალდოს**, სუძუკი პასუხობს, მესიო...

პარალელები შინჯი კაგავასთან

სამაგიეროდ, უსამის სტაბილურობა აკლია და არც ფიზიკურადაა მაინცდამაინც კარგად მომზადებული. თვითონ განსაჯეთ, „ჯეი ლიგაში“ თითქმის ყოველთვის სადღაც მე-60, 70-ე წუთისთვის ცვლიდნენ. სტატისტიკა კი ნორმალური აქვს: შარშანდელ სეზონში, როცა ის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს, 26 მატჩში 7 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასი მიითვალა. წელს კი 11 მატჩში, მის ანგარიშზე 2 გოლი და 3 პასია.

„დორტმუნდელ შინჯი კაგავასთან პარალელების გავლება ძალიან ძნელია, რადგან უსამის ჯერ არ დაუმტკიცებია, რომ უნიჭიერესი ფეხბურთელია. კაგავას იაპონიაშივე ჰქონდა დამტკიცებული, რომ გამორჩეული ტალანტია, რადგან „ჩერეცო ოსაკაში“ ყველაფერი ის იყო, ყველა შეტევას ის იწყებდა და აგრძელებდა. „გამბა ოსაკაში“ კი ტაკაში უსამი ასეთი გამოკვეთილი ლიდერი არ ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ „გამბას“ ნახევარდაცვასა და შეტევაში გაცილებით დიდი კონკურენციაა და ხანდახან სკამს ამიტომაც ახეხინებდნენ. ასე რომ, მას ჯერ არ უგრძვნია ის ყოველკვირეული წნეხი, რასაც კაგავა თავის დროზე იაპონიაშივე გრძნობდა. შინჯის დორტმუნდში თავის გატანა სწორედ ამიტომ არ გაუჭირდა,“ - ამბობს იაპონური ფეხბურთის გერმანელი ექსპერტი **კარსტენ ნაიტცელი**.

ასე რომ, რაც არ უნდა ნიჭიერი იყოს უსამი, „ბაიერნისთვის“ ის ჯერ მაინც ექსპერიმენტია, რომელიც ან გაამართლებს, ან არა. მან არც გერმანული იცის და არც ინგლისური, „ჯეი ლიგიდან“ პირდაპირ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ლიგაში გადასვლა კი ხუმრობა არ არის. თუმცა საკმარისად თავდაჯერებული ჩანს, რამაც, შეიძლება, ადაპტაცია იოლად გადაატანინოს. სუძუკი ამბობს, იაპონიაში მასზე ამბობენ, რომ ძალიან აროგანტი და ამაყიაო. ყოველ შემთხვევაში, იაპონური საზომით ნაღდად ასეა.

შანსი აუცილებლად მიეცემა

„ბაიერნში“ ფლანგებიდან **არიენ რობენი** და **ფრანკ რიბერი** უტევენ ხოლმე, რომლებსაც უსამი ძირითადი შემადგენლობიდან ნაღდად ვერ ამოაგდებს. თუმცა ფრანგიცა და ჰოლანდიელიც, საკმაოდ ხშირად იღებენ ტრავმებს, რაც იაპონელის შანსი იქნება. **ჰამით ალთინთოფის** „რეალში“ გადასვლის შემდეგ, რიბერის ან რობენის შეცვლა დღეს რეკორდმაისტერში მხოლოდ მიულერს, **ტონი კროოსს** და **დანიელ პრანიჩს** შეუძლიათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უსამი უშანსოდ არ არის. თუმცა თავად მას რომ ჰკითხოთ, იაპონელი ასი პროცენტით დარწმუნებულია, რომ თავის გამოჩენის შანსი აუცილებლად მიეცემა და თანაც, არაერთხელ.

„ეს არის შანსი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენო. ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში ჩამოვედი და ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებ. მინდა, გერმანულ პუბლიკას ჩემი დრიბლინგები ვაჩვენო და „ბაიერნის“ ქომაგები ძალიან გავახარო. ჩემი მიზანი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდების მოპოვებაა, „ბაიერნი“ კი ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო შანსს მაძლევს,“ - აი, ასეთი ამბიციურია ტაკაში უსამი.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● სკანდალი

მაგათი ჩემპიონობაზე ალაპარაკდა

დიეგო ჯერ არავის უნდა, მგლებს კი ახალი მცველი სჭირდებათ

„ვოლფსბურგის“ ნერვიულობით გატანჯულმა გულშემატკივრებმა უკვე იციან, რისთვის იბრძოლებს მათი საყვარელი კლუბი ახალ სეზონში. მოგეხსენებათ, გუნდი, რომელიც 2009 წელს გერმანიის ჩემპიონი გახდა, გასულ სეზონში გადარჩენისთვის იბრძოდა და კინაღამ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა. სეზონის ბოლოს კი „მგლებში“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე სნორედ ის **ფელიქს მაგათი** დაბრუნდა, რომელმაც ორი წლის წინ „ქვემო საქსონიელებს“ სენსაციური ჩემპიონობა მოაპოვებინა და აქედან გამომდინარე, „ვოლფსბურგის“ ფანები იმედიანად არიან განწყობილები. „ვოლფები“ ახლა ფლენსბურგში, ოვერზეზე იმყოფებიან, სადაც ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ შეკრებას გადიან.

„წარმატების მისაღწევად ძალიან დიდი შრომაა საჭირო. ამიტომაც ვშრომობთ. ჩვენი მიზანი ისაა, რომ „ვოლფსბურგი“ დაბრუნდეს იქ, სადაც ამ გუნდის ადგილია. თუ ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც საჭიროა, ეს გუნდი მომავალ სეზონში გადარჩენისთვის კი არა, გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოლებს,“ - აცხადებს „მგლების“ 57 წლის დამრიგებელი.

მოთამაშეებს სულაც არ გაჰკვირვებიათ, რომ მაგათმა შეკრების დაწყებისთანავე დააძრო თავისი სპეციალური სამედიცინო ბურთები (თითო 3-4 კილოს იწონის) და მას მერე შეგირდებს ყოველდღე სასტიკად აწვალებს. ეს ფელიქსის სტილია, რომლითაც მან 2005 და 2006 წლებში „ბაიერნი“ ზედიზედ ორჯერ გახადა გერმანიის ჩემპიონი, 2009 წელს კი „ვოლფსბურგის“ ისეთი გუნდი გააჩემპიონა, მანამდე მთელი არსებობის ისტორიაში სერიოზული რომ არაფერი ღირსებია.

შეკრებაზეა ბრაზილიელი გამთამაშებელი **დიეგოც**. მიუხედავად იმისა, რომ 26 წლის შემტევ ნახევარმცველს „ვოლფსბურგში“ მომავალი აღარ აქვს (მაგათმა რამდენიმე დღის წინ თქვა, რომ დიეგო მის გუნდში აღარასოდეს ითამაშებს), ის მაინც ვარჯიშობს და თანაც, საკმაოდ დიდი მონდომებით იტანჯება. მაგათი ამბობს, რასაც სხვები აკეთებენ, დიეგოც იმავეს აკეთებს და აღარ წუწუნებსო. ბრაზილიელის ფასი 10 მილიონი ევროა, მაგრამ ჯერ არ გამოჩენილა კლუბი, რომელიც „ვოლფსბურგს“ ამ თანხას გადაუხდის. ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ დიეგოს გადაბირება ბრაზილიურ კლუბებს, „სანტოსსა“ და „ბოტაფოგოს“ უნდათ, მაგრამ ამ კლუბების ხელმძღვანელები მაგათს ჯერ არ შეხმიანებიან. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, დიეგოზე „ლივერპულშიც“ ფიქრობენ. მაგრამ ჯერ მხოლოდ ფიქრობენ...

გაირკვა, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე „ვოლფსბურგი“ აუცილებლად იყიდის ახალ ცენტრალურ მცველს. მაგათი ადასტურებს, რაკი **არნე ფრიდრიხი** ტრავმირებულია, დაცვის ხაზში მინიმუმ ერთი კარგი ახალწვეული გვჭირდებაო. „ბილდის“ ინფორმაციით, ფელიქსი მეორე ბუნდესლიგაში გავარდნილი ფრანკფურტის „აინტრახტის“ 25 წლის უკანახაზელ **მარკო რუსს** უმიზნებს.

პასი ამერიკიდან

დღეიდან, ოთხშაბათობით ახალ რუბრიკას შემოგთავაზებთ, რომლის მიზანიც ამერიკის კონტინენტზე მომხდარი საფეხბურთო ამბების თქვენამდე მოტანაა. ძალიან საინტერესოა ევროპული ფეხბურთი, აქაური საფეხბურთო ლიგები, რომელთაც „ლელო“ დღენიადაგ აშუქებს, მაგრამ ფეხბურთი მხოლოდ ევროპის რომ არ არის ამას რა მტკიცება უნდა - ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი, პარაგვაში, შტატები, მექსიკა, სხვებიც ამას მუნდიალებზე ბრწყინვალედ ამტკიცებენ. ამერიკელებს ჯამში 9-ჯერ აქვთ მუნდიალი მოგებული (ბრაზილია - 5, არგენტინა და ურუგვაი 2-2). ამერიკული ფეხბურთის თემა მით უფრო აქტუალურია, რომ 1 ივლისიდან არგენტინაში მორიგი კოპა ამერიკა იწყება, ანუ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი.

C.S.F.

მცირე ექსკურსი

ამერიკულ ფეხბურთს ორი საერთაშორისო ორგანიზაცია განაგებს: კონმებოლი და კონკაკაფი. პირველის აბრევიატურა ასე იშიფრება: სამხრეთამერიკული ფეხბურთის კონფედერაცია, მეორე კი ასე: ჩრდილო, ცენტრალური ამერიკისა და კარიბეთის ფეხბურთის კონფედერაცია. კონმებოლი 1916 წელს დაარსდა და 10 წევრი ქვეყნისგან შედგება, კონმებოლის ოფიციალური ენა ესპანური და პორტუგალიურია. აი, წევრი ქვეყნებიც: არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, ჩილე, კოლუმბია, ეკვადორი, პარაგვაი, პერუ, ურუგვაი და ვენესუელა.

სხვათა შორის, კონმებოლი არის ყველაზე ძველი კონტინენტური ორგანიზაცია. მისი შტაბ-ბინა პარაგვაიში, ქალაქ ლუკეშია. მისი დღევანდელი პრეზიდენტი 82 წლის პარაგვაელი **ნიკოლას ლეოსია**. კონმებოლის მთავარი ტურნირი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატია, იგივე კოპა ამერიკა, რომელიც 1916 წლიდან იმართება. კონმებოლი ატარებს ახალგაზრდულ ჩემპიონატებს, ქალთა და ფუტსალის საერთაშორისო შეჯიბრებებს. საკლუბო დონეზე კონმებოლის მთავარი ტურნირი კოპა ლიბერტადორესია, რომელსაც 1966 წლამდე სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასი ეწოდებოდა. 2002 წლიდან ამას დაემატა კოპა სუდამერიკანა, იყო მესამე საკლუბო ტურნირი - კოპა კონმებოლი, რომელიც 1999 წელს გაუქმდა. თავიდან კონმებოლი ოთხ წევრს აერთიანებდა: არგენტინას, ბრაზილიას, ურუგვაისა და ჩილეს. სულ ბოლოს ორგანიზაციის წევრი ვენესუელა გახდა (1952 წ.).

აღსანიშნავია, რომ ფიფა-ს რეიტინგში მხოლოდ ერთი კონმებოლელი არაა ასეულში - ბოლივია (102-ე პოზიციაზეა). ათეულში სამი წევრია, ბრაზილია, არგენტინა და ურუგვაი, ათეულის სიახლოვესაა ჩილეც. შედარებისთვის, საქართველოს ნაკრები რეიტინგში სამხრეთამერიკული გუნდებიდან სამს უსწრებს: ეკვადორს, ვენესუელასა და ბოლივიას. ცნობილი კლუბებიდან ჩამოვთვლით ლდუ კიტოს (ეკვადორი), „ინტერნასიონალს“, „კრუზეიროს“, „სან პაულუს“, „სანტოსს“ (ბრაზილია), „ესტუდიანტესს“, „ბოკა ხუნიორსს“, „ველეს სარსფილდს“ (არგენტინა), „ლიბერტადს“ და „სერო პორტენოს“ (პარგვაი).

კონკაკაფი შედარებით ახალი შექმნილია - ის 1961 წელს დაარსდა. სხვათა შორის, ის ჩრდილო და ცენტრალური ამერიკის ქვეყნების გარდა 3 სამხრეთამერიკულსაც აერთიანებს: გაიანას, სურინამსა და გვიანას. სულ კი კონკაკაფში 40 წევრი ქვეყანაა. რა თქმა უნდა მათ შორის მთავარი ორია: აშშ და მექსიკა. ჰონდურასელი **ალფრედო ჰევიტი** ამ ორგანიზაციის პრეზიდენტობის დროებითი შემსრულებელია.

კონფედერაციის მთავარი ტურნირი კონკაკაფის „ოქროს თასია“, რომელიც, სხვათა შორის, ახლახან მექსიკის ნაკრების ტრიუმფით დასრულდა. საკლუბო დონეზე იმართება კონკაკაფის ჩემპიონთა ლიგა.

CONCACAF

● ბრაზილია. სერია A. VI ტურის მიმოხილვა

ლიდერის დანგრევა

ტურის გმირი ლიედსონი

შესავლის მაგიერ

სანამ უშუალოდ ბრაზილიის ჩემპიონატის VI ტურის პერიპეტიებზე ვიტყვით, მანამდე ამ ჩემპიონატზე ზოგადად შევჩერდებით. კამპეონატო ბრაზილეირო დე კლუბეს სერია A ასე ეწოდება ოფიციალურად ტურნირს, თუმცა ხალხში მას ბრაზილერაოს ეძახიან. ჩემპიონატი 1959 წლიდან იმართება, ბრაზილიურ სერია A-ში 20 კლუბია. სეზონი მაისში იწყება და დეკემბერში სრულდება. სხვათა შორის, ტურნირი არც ახლა შეწყდება, კოპა ამერიკას დროს. ასეთი ფორმატით ჩემპიონატი 1971 წლიდან ტარდება, არადა, აქამდე ქვეყნის დიდი ტერიტორიის გამო, კლუბების მისვლა-მოსვლა ჭირდა. იმ დროს კი სამხედრო რეჟიმმა შიდა ავიასივრცეში რეფორმები გაატარა და ერთიანი ჩემპიონატის ჩატარებაც შესაძლებელი გახდა. მანამდე ქვეყანაში სხვადასხვა შტატის ჩემპიონატები იყო პოპულარული სან-პაულუში პაულისტა, ხოლო რიო დე ჟანეიროში - კარიოკა.

მოქმედი ჩემპიონი „ფლუმინენსეა“, რომელმაც 2010 წელს იმარჯვა. სხვათა შორის, მხოლოდ 2003 წლიდან ტარდება ჩემპიონატი ორ წრედ. ტურნირის 4 უარესი გუნდი სერია B-ში ვარდება. 4 საუკეთესო გუნდი ლიბერტადორესის თასზე ასპარეზობს, შემდეგი 8 კოპა სუდამერიკანაზე. სერია A-ში ყველაზე მეტი თამაში ჩატარებული აქვს მეკარე **როჟერიო სენის**, რომელსაც „სან პაულუს“ გარდა არც ერთ კლუბში არ უასპარაზია. მან სერია A-ში 422 მატჩი ითამაშა და... 47 გოლიც გაიტანა! როჟერიო სენი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონია. ყველაზე მეტი გოლი ვასკუ და გამელ **რობერტო დინამიტეს** აქვს გატანილი - 198, შემდეგ მოდიან **რომარიო** (154) და **ედმუნდო** (153).

წლევანდელი 20 გუნდიდან სამი სან პაულუდანაა: „სან პაულუ“, „კორინთიანსი“ და „პალმეირასი“, რიოს გუნდებია: „ბოტაფოგო“, „ფლამენგო“, „ფლუმინენსე“ და „ვასკუ და გამა“, 3 წარმომადგენელი ჰყავს ბელუ ორიზონტეს: „კრუზეირო“, „ატლეტიკო მინეირო“ და „ამერიკა“, პორტუ ალეგრეს გუნდებია „გრემიო“ და „ინტერნასიონალი“, ხოლო კურიტიბასი: „კორიტიბა“ და „ატლეტიკო პარანაენსე“, ფლორიანოპოლისს „ავაი“ და „ფიგუეირენსე“ წარადგენენ, 4 ქალაქს თითო წარმომადგენელი ჰყავს ელიტაში: გოიანიას (ატლეტიკო გოიანენსე), სალვადორს (ბაია), ფორტალეზას (სეარა), სანტოსს (სანტოსი). შეგახსენებთ, რომ „სანტოსმა“ ახლახან კოპა ლიბერტადორესი მოიგო. „კორიტიბაში“ თამაშობს ჩვენთვის კარგად ნაცნობი **ანდერსონ აკინო**, რომელსაც ჩემპიონატში 3 გოლი აქვს გატანილი.

ფლამენგო-ატლეტიკო მ. 4:1

გოლები: 0:1 დუდუ (51), 1:1 რონალდინიო (66), 2:1 ტიაგო ნევესი (76), 3:1 დეივიდი (86), 4:1 დეივიდი (90)

ატლეტიკო პ.-ბაია 0:2

გოლები: 0:1 მარკონე (65), 0:2 ლულინია (86)

კრუზეირო-კორიტიბა 2:1

გოლები: 1:0 მონტილიო (52-პენ), 1:1 მარკოს აურელიო (79), 2:1 მონტილიო (84)

შენიშვნა: *აკინოს არ უთამაშია.*

კორინთიანსი-სან პაულუ 5:0

გოლები: 1:0 დანილო (47), 2:0 ლიედსონი (54), 3:0 ლიედსონი (61), 4:0 ლიედსონი (78), 5:0 ჟორჟე ენრიკე (82)

გაძევება: კარლინიოსი (40. სან პაულუ)

ბოტაფოგო-გრემიო 2:1

გოლები: 1:0 მარსელო (70), 2:0 ელკესონი (81), 2:1 რაფაელ მარკესი (88)

გაძევება: ფერნანდო (68. გრემიო)

ავაი-ფლუმინენსე 0:1

გოლი: 0:1 კონკა (36)

გაძევება: რაფაელ მოურა (38. ფლუმინენსე)

სეარა-პალმეირასი 2:0

გოლები: 1:0 ვაშინგტონი (7), 2:0 ტიაგო უმბერტო (45)

ინტერნასიონ.-ფიგუეირენსე 4:1

გოლები: 1:0 ბოლივარი (17), 2:0 ოსკარი (20), 3:0 ლეანდრო დამიაო (58), 4:0 რიკარდო (80), 4:1 ვილინგტონ ნემი (88)

ატლეტიკო გ.-ვასკუ და გამა 0:1

გოლი: 0:1 ფელიპე (1)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სან პაულუ	6	5	0	1	9-6	15
2. კორინთიანსი	5	4	1	0	12-3	13
3. პალმეირასი	6	3	2	1	10-5	11
4. ბოტაფოგო	6	3	2	1	8-5	11
5. ვასკუ და გამა	6	3	2	1	10-8	11
6. ფლამენგო	6	2	4	0	13-6	10
7. ფიგუეირენსე	6	3	1	2	7-6	10
8. ინტერნასიონ.	6	2	3	1	12-8	9
9. ფლუმინენსე	6	3	0	3	4-6	9
10. ატლეტიკო მ.	6	2	2	2	10-9	8
11. ბაია	6	2	2	2	8-8	8
12. ატლეტიკო გ.	6	2	1	3	7-7	7
13. გრემიო	6	2	1	3	7-8	7
14. სეარა	6	2	1	3	7-11	7
15. კრუზეირო	6	1	3	2	6-7	6
16. სანტოსი	4	1	2	1	5-4	5
17. ამერიკა	5	1	2	2	7-11	5
18. კორიტიბა	6	1	1	4	9-10	4
19. ატლეტიკო ბ.	6	0	1	5	1-10	1
20. ავაი	6	0	1	5	4-18	1

ბომბარდირები: 4 - ლიედსონი (კორინთიანსი), ლუანი (პალმეირასი), ბერნარდო (ვასკუ და გამა).

ამაზე კარგი რა დაპირისპირება უნდა ყოფილიყო - მე-6 ტურში სან პაულუს დერბი ვიხილეთ - „კორინთიანსი“, რომელსაც აქამდე მხოლოდ ერთი ფრე ჰქონდა, დანარჩენი კი მოგება, სრულიად უდანაკარგო „სან პაულუს“ მასპინძლობდა. ვერავინ წარმოიდგენდა, რაც ამ თამაშის მეორე ტაიმში მოხდა - მასპინძლებმა უბრალოდ მიწასთან გაასწორეს ჩემპიონატის ლიდერი, 5 უპასუხო გოლი გაუტანეს! ხუთიდან სამი კი ჩვენთვის კარგად ნაცნობი **ლიედსონის** ანგარიშზეა (მას პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობაში საქართველოს წინააღმდეგ უთამაშია). თამაშის სცენარი მთლიანად შეცვალა პირველი ტაიმის მიწურულს სტუმართა ნახევარმცველ **კარლინიოსის** გაძევებამ, რომელმაც მე-40 წუთისთვის მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. ახლა „კორინთიანსი“ ჩემპიონატის პოტენციური ლიდერია, რადგან „სან პაულუზე“ თამაშით ნაკლები აქვს გამართული.

ამ ტურში გოლით გამოიჩინა თავი ფლამენგოელმა **რონალდინიომ**.

ტურის გმირი ლიედსონი

● ბრაზილიური ამბები



ჟულიანო ბელეტი

ბელეტი წავიდა

ბრაზილიელმა მცველმა **ჟულიანო ბელეტიმ** კარიერა დაასრულა. *„ტრავმებმა გასაქანი არ მომცა. კარიერას ვასრულებ“*, - განაცხადა 35 წლის ფეხბურთელმა. ბელეტის სამშობლოში „კრუზეიროში“, „სან პაულუში“, „ატლეტიკო მინეიროსა“ და „ფლუმინენსეში“ უთამაშია, ხოლო ევროპაში - „ვილიარეალში“, „ბარსელონასა“ და „ჩელსიში“. მსოფლიოს, ესპანეთის, ინგლისის და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა კარიერა „სეარაში“ დაასრულა.

ნეიმარს 45 მილიონად გავყიდით

„სანტოსის“ პრეზიდენტი **ლუის ალვარო დე ოლივეირა რიბეირო**, როგორც ჩანს, შეეგუა, რომ ნეიმარს დაკარგავს. მან განაცხადა, რომ ევროპაში ხუთი კლუბია, რომელსაც ნეიმარის სანაცვლოდ 45 მილიონი ევროს გადახდა შეუძლია. „სანტოსის“ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ კლუბებს ჯერჯერობით არ დაასახელებს, თუმცა ყველა ევროპული გრანდია.

ნეიმარი

● არგენტინული ამბები

მათიას მხსნელი

პრიმერადივიზიონიდან გავარდნილი „რივერ პლეიტი“ **მათიას ალმეიდამ** ჩაიბარა. არგენტინული ფეხბურთის გრანდს ძნელბედობის ჟამს უნდა დაეხმაროს ამ გუნდის ბოლო წლების ნაღდი ლიდერი. ჯერჯერობით უცნობია, გააგრძელებს თუ არა 38 წლის ალმეიდა ფეხბურთელის კარიერასაც. „რივერ პლეიტის“ დირექტორთა საბჭომ პრეზიდენტის თანამდებობაზე დატოვა **დანიელ პასარელა**. შეგახსენებთ, რომ 110-წლოვან ისტორიაში პირველად, არგენტინის 33-გზის ჩემპიონმა ელიტა დატოვა, მას შემდეგ, რაც „ზონა პრომოსიონის“ მატჩებში „ბელგრანომ“ აჯობა (2:0, 1:1). ამ მარცხის შემდეგ ბუენოს აირესის ქუჩებში არეულობების გამო 90 ადამიანი დაიჭრა და 50 დაიჭირეს.

მათიას ალმეიდა

● კოპა ამერიკა 2011

COPA AMERICA ARGENTINA 2011

არგენტინა: შემადგენლობა დამტკიცდა

არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სერხიო ბატისტამ** შემადგენლობა დაასახელა. 23 ფეხბურთელიდან მხოლოდ ერთია, რომელიც არგენტინის ჩემპიონატში თამაშობს, „რივერ პლეიტის“ მეკარე **კარისო**, დანარჩენები ლეგიონერები არიან.

მეკარეები: რომერო (ალკმაარი, ჰოლანდია), ანდუხარი (კატანია, იტალია), კარისო (რივერ პლეიტი).

მცველები: ძანეტი (ინტერი, იტალია), საბალეტა (სიტი, ინგლისი), ბურდისო (რომა, იტალია), როხო, პარეხა (ორივე სპარტაკი, რუსეთი), გ. მილიტო (ბარსელონა, ესპანეთი), გარაი (რეალი, ესპანეთი).

ნახევარმცველები: მასკერანო (ბარსელონა, ესპანეთი), კამბიასო (ინტერი, იტალია), პასტორე (პალერმო, იტალია), გაგო, დი მარია (ორივე რეალი, ესპანეთი), ბილია (ანდერლეხტი, ბელგია), ბანეგა (ვალენსია, ესპანეთი).

თავდამსხმელები: მესი (ბარსელონა, ესპანეთი), იგუაინი (რეალი, ესპანეთი), აგუერო (ატლეტიკო, ესპანეთი), ლავეცი (ნაპოლი, იტალია), ტევესი (სიტი, ინგლისი), დ. მილიტო (ინტერი, იტალია).

● აშშ. MLS

DC იუნაიტედი-ჰიუსტონ დინამო	2:2
სან ხოსე-ლოს ანჯელეს გალაქსი	0:0
ფილადელფია-ჩივასი	3:2
სპორტინგი-უაიოკეპსი	2:1
დალასი-პორტლენდი	4:0
რეალ სოლტ ლეიკი-ტორონტო	3:1
ჩიკაგო ფაიე-ნიუ იორკი	1:1
სიეტლი-ნიუ ინგლენდი	2:1
კოლანბუს ძრუ-კოლორადო	4:1

ლიდერები

აღმოსავლეთი: ფილადელფია - 26, ნიუ იორკი - 24, კოლამბუსი - 24.

დასავლეთი: გალაქსი - 35, სიეტლი - 31, დალასი - 31.

ბომბარდირები: 8 - ჩარლი დევისი (DC), ლენდონ დონოვანი (გალაქსი), ტიერი ანრი (ნიუ იორკი).

რუბრიკა მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● რომა

ალეშანდრე დონი

დონიმ ნამდვილი მიზეზი გააცხადა

ვუჩინიჩმა მოლაპარაკებები უარყო

იყო დრო, **ალეშანდრე დონი** "რომას" ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი იყო, თუმცა ამჟამად აშკარად უკლო თამაშს და ადგილი თანამემამულე **ჟულიო სერჟიოს** დაუთმო. მართალია, **ვინჩენცო მონტელამ** კვლავ დონი დააბრუნა სასტარტოში, მაგრამ 31 წლის კიპერმა აშკარად ვერ გაამართლა მოლოდინი და უამრავი შეცდომა დაუშვა. შედეგად, დასრულდა თუ არა სეზონი, დაირხა ხმები იმის შესახებ, რომ ალეშანდრეს გუნდის დატოვება მოუწევდა – სულ მალე, კიპერს ძალიან საინტერესო ვარიანტი გამოუჩნდა, რადგან მისით თვით "ლივერპული" დაინტერესდა. კლუბებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და თითქოს ტრანსფერს წინ არაფერი ედგა, მაგრამ თავად მეკარემ ინგლისში გადაბარგება არ ისურვა. მაშინ ბევრმა გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ალეშანდრე დონის **პეპ რეინას** კონკურენციის შეეშინდა, მაგრამ რეალობა სხვაგვარი ყოფილა – მოვუსმინოთ დონის:

"როდესაც შევიტყვე, რომ ჩემით "ლივერპული" იყო დაინტერესებული, ძალიან მესიამოვნა – პრემიერლიგას აქტიურად ვადევნებ თვალს და ინგლისში ძალების მოსინჯვაზე ნამდვილად არ ვიტყოდი უარს. მით უმეტეს, როდესაც შენით ევროპული ფეხბურთის გრანდია დაინტერესებული. თუმცა, მერსისაიდული კლუბის მესვეურებთან გამართულმა მოლაპარაკებებმა იმედები გამიცრუა, რადგან სრულიად მიუღებელი პირობები შემომთავაზეს. არც "რომაში" ვიღებ კოლოსალურ გასამრჯელოს, "ლივერპულში" გადასვლის შემთხვევაში კი ხელფასის ოდენობა 60%-ით მიმცირდებოდა. დამწყები მოთამაშე ნამდვილად არ ვარ და ჩემთვის ფინანსური მხარე უმნიშვნელოვანესია".

არ წყდება სპეკულაციები **მირკო ვუჩინიჩის** შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით და როგორც ჩანს, თავად ფეხბურთელს ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდა. 27 წლის ჩერნოგორიელი ფორვარდი "კორიერე დელო სპორტს" გაესაუბრა და შემდეგი განაცხადა: *"ბოლო დღეებში ძალიან ბევრ უსაფუძვლო ჭორს გავეცანი ჩემს მომავალთან დაკავშირებით და მინდა, რომ ყველაფერს წერტილი დავუსვა. ჯერჯერობით, არც ერთ გუნდთან მოლაპარაკებას არ ვაწარმოებ და შესაბამისად, ახლოსაც არ ვარ იმასთან, რომ "რომადან" ავიბარგო. დღეს მხოლოდ კარგად დასვენებაზე ვფიქრობ, დავბრუნდები იტალიაში და დანარჩენს შემდეგ გავარკვევ. პირველ რიგში, ლუის ენრიკეს დაველაპარაკები და გავიგებ, რამდენად ვჯდები მის გეგმებში - აი შემდეგ კი უკვე ბევრი რამის თქმა შემეძლება. ბევრს ჰგონია, რომ "ჯალოროსიდან" აბარგების სურვილი მაქვს, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის – იტალიის დედაქალაქში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და არსებულ კონტრაქტსაც სიამოვნებით გავახანგრძლივებდი".*

● ინტერი

მაიკონმა რეალი დაიჩემა

საინტერესო ბარტერის მოლოდინში

დუგლას მაიკონის "რეალში" გადასვლას არა და არ დაადგა საშველი, არადა, ფეხბურთელს უკვე დიდი ხანია მადრიდში გადაბარგება სურს და ამისთვის ძალღონეს არ იშურებს. ერთი ხანობა, 29 წლის მცველს თითქოს გული მიუბრუნდა მილანური გრანდისკენ, თუმცა მას შემდეგ, რაც გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი **ლეონარდომ** დატოვა, კვლავ ესპანეთისკენ მიაპყრო მზერა. ამაზე მისი აგენტის **ანტონიო კალიენდოს** სიტყვები მეტყველებს:

"დღეს ძნელია იმაზე გადაჭრით ლაპარაკი, სად გააგრძელებს კარიერას ჩემი კლიენტი. "ინტერში" თავს კომფორტულად გრძნობს, მაგრამ არც ისაა დასამალი, რომ კარიერის "რეალში" გაგრძელების სურვილი აქვს. ჯერჯერობით, მოლაპარაკების პროცესი არ დაწყებულა, თუმცა ჩემი ინფორმაციით, მადრიდელები აუცილებლად შეეხმიანებიან "ინტერის" მესვეურებს. ჩენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას".

"ინტერთან" დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია ვრცელდება, რომლის მიხედვითაც დიდია შანსი, **გორან პანდევი** "ჯენოაში" გადავიდეს, **როდრიგო პალასიომ** კი შავ-ლურჯი ამუნიცია მოირგოს. მას შემდეგ, რაც **ჯანპიერო გასპერინი** მილანური გრანდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, "ინტერსა" და "ჯენოას" შორის ურთიერთობები ინტენსიურ ფაზაში გადავიდა – როგორც უკვე მიხვდით, ლაპარაკია ბარტერზე, რომლის ინიციატორი სწორედ გასპერინი ყოფილა.

"გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, პალასიო თანახმაა, "ინტერში" გააგრძელოს კარიერა, არც "ჯენოაა" ამის წინააღმდეგი, მაგრამ ჯერჯერობით გორან პანდევის პოზიციაა უცნობი. ნამდვილად არ იქნება გასაკვირი, თუ მაკედონიელი შემტევი გენუურ გუნდში გადასვლაზე უარს იტყვის და მოლაპარაკებებს ჩიხში შეიყვანს – ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

დუგლას მაიკონი

● სავარაუდო ტრანსფერი

ჰამშიკი მილანზე ალაპარაკდა

*დიდი ხანია საუბრობენ იმის შესახებ, რომ 'მილანი' "ნაპოლის" შემტევი ნახევარმცველით, **მარეკ ჰამშიკით** არის დაინტერესებული. ეს ამბავი "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტმა, **ადრიანო გალიანიმაც** დაადასტურა, როდესაც განაცხადა, რომ სლოვაკის გადაბირება ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს სურდა. თავად ფეხბურთელი აქამდე სულ იმას გაიძახოდა, რომ ნეაპოლიდან აბარგებას არ აპირებს, გუშინ კი სხვაგვარად ალაპარაკდა:*

"ნეაპოლში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, ეს ადრეც არაერთხელ მითქვამს და თუ საჭირო გახდა, კიდევ ათასჯერ ვიტყვი. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ თუნდაც ამ ზაფხულს გუნდის გამოცვლამ მომიწიოს. მართალია, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და ყველაფერი წინ მაქვს, მაგრამ უკვე ტიტულების მოგება მსურს და თუ საინტერესო წინადადებას მივიღებ, აუცილებლად განვიხილავ. "მილანი"? – ადრიანო გალიანის სიტყვებმა ძალიან გამახარა, რადგან ჩემი ინფორმაციით, ის ბრწყინვალედ ერკვევა ფეხბურთში. "როსონერი" მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდია და ბუნებრივია, რომ იქ გადასვლაზე არ ვიტყოდი უარს. "მილანში" კარიერის გაგრძელება ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, მაგრამ ეს საკითხი ჯერჯერობით არც კი განიხილება. მართალია, გალიანიმ შემაქო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ "მილანის" მესვეურები ჩემს გადაბირებაზე მუშაობის დაწყებას აპირებენ. დღეს ასეა და ხვალ თუ რამე შეიცვალა, არც ეგ დაიმალება დიდხანს".

ჰამშიკის "მილანში" შესაძლო გადაბარგებაზე კომენტარი გააკეთა **ჩეზარე მალდინიმ** და განაცხადა, რომ სლოვაკთან ერთად, "როსონერი" ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის იბრძოლებს: *"ჰამშიკს დიდი ხანია ვაკვირდები და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დიდი ფეხბურთელია. დიახ, არ ვაჭარბებ, კოჭებში ეტყობა, რომ რაც უფრო მაღალ დონეზე მისცემ თავის გამოჩენის საშუალებას, მით უფრო გაიხსნება და მით უფრო მეტად წარმოაჩენს თავს. ამიტომ, დიდი სურვილი მაქვს, რომ ჰამშიკის ტრანსფერი შედგეს და ის შავ-ნითელი მაისურით ვიხილო. ამასთან, მარეკს გამთამაშებლადაც შეუძლია თამაში, ამ პოზიციაზე კი სხვა მოთამაშე არც გვყავს. მართალია, რობინიოს შეუძლია თავდამსხმელებს უკან ასპარეზობა, მაგრამ ჩემი პირადი აზრით, ის მაინც გამოკვეთილი ფორვარდია".*

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაური

მარეკ ჰამშიკი



● აიაქსის ისტორიიდან

აიაქსი-ბენფიკა: ბრილოგია

"აიაქსის" მიერ 30-ე საჩემპიონო ტიტულის მოპოვების შემდეგ ამ გუნდის ფანებმა გულწრფელად გაიხარეს. მათი განსაკუთრებული აღფრთოვანება ალბათ "ტვენტესთან" 34-ე ტურის მატჩმა გამოიწვია, როცა "ამსტერდამ არენაზე" ფრანკ დე ბურის გუნდმა ვიცე-ჩემპიონს მოუგო და სანატრელი მესამე ვარსკვლავი დაიმსახურა. მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ გულშემატკივრებს "აიაქსის" ისტორიაში ყველაზე დიდი მატჩები გაახსენა. ასეთები კი ამსტერდამელებს არა ერთი და ორი ჰქონდათ. წინა ნაწილების მსგავსად ამჯერადაც მეხსიერების სკივრს თავი ჰენი შუმანმა მოხადა, კლუბის ოფიციალურმა არქივარიუსმა. მან გულშემატკივარს 1968/69 წლების ამბები გაახსენა. ამ წელს "თეთრწითლები" "ბენფიკას" სამჯერ შეხვდნენ.

აიაქსი-ბენფიკას პარიზული შეხვედრის ბილეთი

მასმედიის საშუალებებმა, უმეტესად სატელევიზიო არხებმა, გადაწყვიტეს, რომ ლისაბონიდან მატჩის პირდაპირი ტრანსლაციის მოწყობა არ ღირდა, რადგან ისინი იმედგაცრუებულნი დარჩნენ შინ 1:3 წაგებით. ჰენი ლისაბონში მაინც გაემგზავრა: *"ჩემი ღრმა რწმენით, ეს თამაში გახდა საუკეთესო "აიაქსის" ისტორიაში. მაშინაც ასე ვფიქრობდი და დღესაც ასე მგონია. დიდებული ფეხბურთი და ვარსკვლავური გუნდი. თამაში არნახულად ლამაზი იყო – მომხიბლავი იყო გათამაშებული კომბინაციებიც და მატჩის რიტმიც. დღემდე გული მწყდება, რომ ასეთი თამაში ტელევიზიით არ გადაიცა".*

"აიაქსს" 12 წუთი ეყო, რომ შინ ორბურთიანი წაგების შემდეგ სხვაობა აღმოეფხვრა. **ინგე დანიელსონმა** და **იოჰან კრუიფმა** თითო გოლი გაიტანეს – 2:0. კრუიფმა კიდევ ერთი გაიტანა პორტუგალიელთა კარში, რასაც მასპინძელთაგან **ჟოზე ტორესმა** უპასუხა. მატჩი ამ ანგარიშითვე დასრულდა. ყველაფერი მესამე მატჩს უნდა გაერკვია, ოღონდ ამჯერად თამაში პარიზში უნდა გამართულიყო.

"ფანები პარიზში კეს გროტის წყალობით წავედით. ავტობუსით მგზავრობას ორგანიზება მან გაუწია," – იხსენებს შუმანი. „სტად დე კოლომბის" 63-ათასიანი ტრიბუნები ჰოლანდიელმა და პორტუგალიელმა ფანებმა შეავსეს. "აიაქსმა" დებიუტშივე შეძლო დაწინაურება – კრუიფი 1:0. მეორე და მესამე გოლები დანიელსონმა გაიტანა. პორტუგალიელები განადგურდნენ. ამის შემდეგ "აიაქსმა" ტრნავის "სპარტაკიც" დაამარცხა და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა, სადაც მას "მილანი" ელოდა. შუმანი იხსენებს: *"ამსტერდამელები ფინალში თამაშობდნენ და მათთვის ეს უკვე ნამდვილი მოვლენა იყო. არა მარტო ფეხბურთელების, ჩვენთვის, ფანებისთვისაც, რადგან ჰოლანდიური კლუბი ევროთასის ფინალში პირველად თამაშობდა".*

ლევან ბიბილაშვილი

● ქიდაობა

წარმატება მიულოცეს

21-26 ივნისს, სერბეთის ქალაქ ზრენჯანინში გამართულ ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ჯამში 10 მედალი (2 ოქრო, 3 ვერცხლი და 5 ბრინჯაო) მოიპოვა. სერბეთიდან დაბრუნებულ მოჭიდავეებს გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი - **ვლადიმერ ვარძელაშვილი** შეხვდა და წარმატება მიულოცა. შეხვედრას ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი -**კახა გეწაძე** და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **გიორგი გალდავა** ესწრებოდნენ.

ევროპის ჩემპიონები თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55 კგ) და **დავით მარსაგიშვილი** (84 კგ) გახდნენ, **ბექა პეტრიაშვილი** (74 კგ) ვერცხლის მედალს დაეუფლა, ხოლო **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60 კგ), **თედორე ებანოიძე** (96 კგ) და **გენო პეტრიაშვილი** (120 კგ) ბრინჯაოებს დასჯერდნენ.

საქართველოს ნაკრებმა, რომელსაც სათავეში **ნუგზარ სხირელი** უდგას, გუნდურ ჩათვლაში, 63 ქულით პირველი ადგილი გაიყო რუსეთთან.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა 4 მედალი მოიპოვეს. **ნიკა ცეცხლაძე** (50 კგ) და **საჩინო დავითაია** (60 კგ) ვერცხლის პრიზიორები გახდნენ, **ზურაბ დათუნაშვილმა** (74 კგ) და **სანდრო დიხამინჯიამ** (96 კგ) კი ევროპის ჩემპიონატი მესამე ადგილით ჩაამთავრეს.

ტურნირის დასრულების შემდეგ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ევროპირველობის საუკეთესო მოჭიდავედ **დავით მარსაგიშვილი** დაასახელა. 26-31 ივლისს ჩვენი ახალგაზრდა მოჭიდავეები მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებენ ბუქარესტში.

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

● ამბები

ვიცე-ჩემპიონების ერ

ჰოლანდიის ვიცე-ჩემპიონმა "ტვენტემ" **მიშელ პრუიდომის** საუდის არაბეთის "ალ შაბაბში" წასვლის შემდეგ მთავარი მწვრთნელის ძებნას დიდი ენერგია დაახარჯა და შედეგსაც მიაღწია. ენსხედელებს მომავალ სეზონში **კო ადრიაანსე** გაუძღვება, - ეს ინფორმაცია კლუბის ოფიციალურმა საიტმა დაადასტურა. 63 წლის სპეციალისტთან ხელშეკრულება ერთი წლით გაფორმდა.

შეგახსენებთ, რომ ადრიაანსეს ძირითადი წარმატებები სწორედ პროვინციულ კლუბებზე, ("დენ ჰააგი", "ვილემ II", "ალკმაარი", "რედ ბული") მოდის. მან ორჯერ სცადა სახელოვან კლუბებში მუშაობა ("აიაქსი" და "პორტუ"), თუმცა იქ მხოლოდ სახელი შეირცხვინა.

ონიეკუ სპორტინგში

"მილანის" ამერიკელმა ცენტრალურმა მცველმა **ოგუჩი ონიეკუმ** კარიერა შესაძლოა ლისაბონის "სპორტინგში" გააგრძელოს, - გვამცნობს "ა ბოლა". 29 წლის გიგანტის (196 სმ) გადაბირების იდეა პირადად ახალ მთავარ მწვრთნელ **დომინგუშ პასიენსიას** ეკუთვნის. კლუბის პრეზიდენტმა **ლუიშ გოდინიო ლოპეშმა** პირობა დადო, რომ სატრანსფერო თანხა პრობლემა არ გახდება.

აიაქსის ვარსკვლავთერებული

მას შემდეგ, რაც კლუბში **იოჰან კრუიფი** მივიდა, ამსტერდამის "აიაქსი" საკლუბო სტრუქტურებში თანამდებობებს მხოლოდ ყოფილ აიაქსელებს ანდობს. გუნდის მთავარი მწვრთნელი **ფრანკ დე ბურია**, მის პირველ ასისტენტად ორიოდე კვირის წინ **დენის ბერგკამპი** დაინიშნა, ახლა კი მათ შტაბში შეყვანას ლეგენდარულ **იააპ სტამსაც** სთავაზობენ. თუკი სტამი ამას არ დათანხმდება, მაშინ ვეტერანის გამოცდილებას კლუბი სხვა ფრონტზე გამოიყენებს.

იააპს პასუხი ჯერჯერობით არ გაუცია, რადგან მას "ცვოლესთან" მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს. *"ამ წუთას ჩვენ მხოლოდ კონსულტაციებს გავდივართ სტამის სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებით,* - განუცხადა "დე ტელეგრააფს" ფრანკ დე ბურმა. *– შეიძლება მას ახალგაზრდულ გუნდებთან მუშაობა ჩავაბაროთ ან ძირითად გუნდში დავასაქმოთ".*

დენის ბერგკამპმა სწორედ ეს გზა გაიარა, მან მუშაობა "აიაქსის" აკადემიიდან დაიწყო და რის შემდეგაც მას დე ბურის ასისტენტის თანამდებობა ჩააბარეს.

ლევან ბიბილაშვილი

ფრანკ დე ბური და იააპ სტამი შეიძლება ისევ მხარდამხარ დადგნენ

ტიაგო ალკანტარა

ალკანტარა ოპერაციას იკეთებს

„ბარსელონას" 20 წლის ნახევარმცველი **ტიაგო ალკანტარა** ცხვირის ოპერაციას იკეთებს. ტიაგოს რესპირატორული პრობლემები თამაშში ხელს უშლიდა, ამიტომაც მან გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ მოიშოროს ეს პრობლემა. ცხვირის ოპერაციის შემდეგ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული 10 დღეს დაისვენებს. მართალია, დანიაში საოცარი გოლის ავტორს „ბარსაში" დარჩენა სურს, მაგრამ ყველაფერი **სესკ ფაბრეგასის** ტრანსფერზეა დამოკიდებული - თუკი სესკი კატალონიაში დაბრუნდება, ალკანტარას სათამაშო პრაქტიკა არ ექნება.

ალექსის სანჩესი: ან ბარსა, ან არაფერი

„უდინეზეს" ჩილელმა ლეგიონერმა **ალექსის სანჩესმა** ხმამაღალი განცხადება გააკეთა: „ელ მუნდო დეპორტივოსთან" ინტერვიუში მან თქვა, რომ ან „ბარსელონაში" გადავა, ან, თუ ეს ტრანსფერი არ შედგება, „უდინეზეში" დარჩება. სხვა გუნდების წინადადებები კი მას უბრალოდ არ აინტერესებს. 22 წლის ფეხბურთელმა თავისებური ულტიმატუმიც კი წაუყენა იტალიურ კლუბს, რადგან, რა დასამალია და, უდინეელებს მისი სარფიანად გაყიდვა ერჩივნათ. „ბარსელონა" იტალიურ კლუბს სანჩესის სანაცვლოდ 39 მილიონ ევროს სთავაზობს, ხოლო ინგლისური „მანჩესტერ სიტი" - 5-6 მილიონით მეტს. შეგახსენებთ, რომ სანჩესი „უდინეზეს" კონტრაქტით 2014 წლამდე ეკუთვნის.

ბეტისი ძლიერდება

პრიმერადივიზიონში აღზევებულმა „რეალ ბეტისმა" გუნდის გაძლიერება განაგრძო. ერთი კვირის წინ ანდალუსიელებმა **ფაბრისიო აგოსტო** დაიმატეს, ახლა კიდევ „ვილიარეალს" ორი ახალგაზრდა ნახევარმცველი ნაჰგვარეს: **ჯეფერსონ მონტერო** და **ხავიერ მატილია**. მონტერო 21 წლის ეკვადორელი გარემარბია, ის „ბეტისში" იჯარით ითამაშებს. 22 წლის მატილია „ვილიარეალის" მთავარ გუნდში ბოლო სეზონის წინ გადაიყვანეს, თუმცა სათამაშო პრაქტიკა აკლდა, ის სევილიურ კლუბში სამ სეზონს ითამაშებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● სპორტი ყველასთვის

მინისტრი ბომბარდირებში ლიდერობს

გრძელდება „მინისტერიალის თასი 2011"-ის გათამაშება, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია სახელმწიფოს ხელმძღვანელ სტრუქტურებში. სპორტის ცალკეულ სახეობებში ასპარეზობებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მინი-ფეხბურთსა და კალათბურთში გამართული ტურნირები. მინი-ფეხბურთში გამორჩეულად წარმატებით ასპარეზობს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, რომლის შემადგენლობაში თვით მინისტრი **ლადო ვარძელაშვილია** წამყვანი მოთამაშე. მინისტრი ჯერჯერობით ბომბარდირთა სიასაც ლიდერობს - მეტოქის კარში მას 10 ბურთი აქვს გატანილი და მეორე ადგილზე მყოფ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელს **ცოტნე ყავლაშვილს** 5 ბურთით უსწრებს. გუნინწინ სპორტის სამინისტრომ 14:2 სძლია ენერგეტიკის სამინისტროს. 7 გოლი ლ. ვარძელაშვილმა ამ მატჩში გაიტანა.

გუნდებმა ჯერ ორ-ორი შეხვედრა ჩაატარეს. ქვეჯგუფებში სპორტის, განათლების, თავდაცვის და ფინანსთა სამინისტროების გუნდები ლიდერობენ.

ამ კომპლექსური ღონისძიების ორგანიზატორი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროა.

„ლელოს" კორ



მარცხნივ - ლადო ვარძელაშვილი

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

● კრივი

კარგია, როცა შედეგი მოლოდინს აჭარბებს

თურქეთის დედაქალაქში მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატზე სამმა ქართველმა სპორტსმენმა (**ზაალ კვაჭატაძე, ჯაბა ხოსიტაშვილი, მიხეილ ბახტიძე**) ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ანკარაში გამართულ ორთაბრძოლებზე გვესაუბრება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **რამაზ ფალიანი.**

- ევროპული ბატალიებისთვის მზადება იანვარში დავიწყეთ ბაკურიანის სანვრთნელი შეკრებით. მას შემდეგ მასპინძლებთან ერთობლივი ვარჯიშები გავმართეთ ბულგარეთში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ყაზახეთში. ამავე ქვეყნებში საერთაშორისო ტურნირებზეც მოვსინჯეთ ძალები და არც ერთი შეჯიბრებიდან უმეძლოდ არ დავბრუნებულვართ. თურქეთში გამგზავრების წინ დასკვნითი შეკრება დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე და თბილისში გვქონდა. ხუთთვიანმა მომზადებამ და საერთაშორისო რინგზე მიღებულმა გამოცდილებამ დადებითად განგვაწყო. წარმატების თავიდანვე გვჯეროდა, თუმცა, მართალი გითხრათ, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. შესაძლოა, ათივე მოკრივემ ბოლომდე ვერ გამოავლინა თავიანთი შესაძლებლობები, მაგრამ, როგორც უფროსი მწვრთნელი, მათი გამოსვლით უკმაყოფილო მაინც არ ვარ. სპორტის სამინისტროს და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის არნახული თანადგომისა და დახმარების შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე ცუდად ასპარეზობის უფლება არც გვქონდა.

49 კილოში **ალექსანდრე ჭუბაბრია** თურქ მოკრივეს შეხვდა. ფერჰათ ფეხლივანს დიდი ხანია, ვიცნობ, საერთაშორისო სარბიელზე ყველასთვის ანგარიშგასაწევი მეტოქეა. ყოველივეს მიუხედავად, მაინც ვფიქრობდით, რომ სანდრო პირველ ბარეიერს გადალახავდა. მაგრამ, ეტყობა, ახალ წონაში შესაგუებლად დრო არ ეყო - იგი ზედა კატეგორიიდან გადმოვიყვანეთ. რამდენიმე კილოს დაკლებამ, ალბათ, უარყოფითად იმოქმედა მის ფიზიკურ კონდიციებზე. ყოველივეს მიუხედავად, ჭუბაბრიამ ტოლი არ დაუდო გამოცდილ მოწინააღმდეგეს და მხოლოდ ორიოდე ქულით დათმო ორთაბრძოლა.

52 კილოში **გიორგი კილანავა** გამოდიოდა. ალბათ, იცით, რომ ეს სპორტსმენი პროფესიულ რინგზე ცდიდა ძალებს და ნაკრებს მხოლოდ ბოლო ეტაპზე შემოუერთდა თბილისში. მანამდე საფრანგეთში ემზადებოდა. მართალია, ფიზიკური ძალა არ აკლდა, მაგრამ მისი ძლიერი და სუსტი მხარეები ნაკრების ხელმძღვანელობამ ბოლომდე მაინც ვერ გაარკვია. ფრანგ ელი კონკისთან ისიც ორი ქულით დამარცხდა. უკმაყოფილო მაინც არ დავრჩენილვარ, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გიორგის თავისი უპირატესობის დამტკიცება მოუწევს, რადგან ამ წონაში პერსპექტიული ბიჭები გვყავს და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებისას სპარინგებს მოვაწყობთ. მწვრთნელებისთვის ერთგვარად უხერხული კი არის არჩევანის გაკეთება, მაგრამ ნაკრებისა და ქართული სპორტისთვის ნამდვილად კარგია, როცა თითოეულ წონაში ჯანსაღი კონკურენციაა.

56 კილოში **ნიკოლოზ იზორიამ** იასპარეზა. ფოთელმა მოკრივემ ისეთი ტრავმა გადაიტანა, რომ რინგზე მის დაბრუნებას ცოტა ვინმე თუ ფიქრობდა. წლეულს ჩვენთან ერთად გაიარა ყველა შეკრება, ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე ფინალშიც გავიდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ წონაში მას საქართველოში კონკურენტი არ ჰყავს. უწინდელ კონდიციებს ბოლომდე თუ აღიდგენს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ლონდონის ოლიმპიადის საგზურსაც გამოკრავს ხელს ბაქოში. არ არის გამორიცხული კვარცხლბეკზე ასვლაც მოახერხოს. იზორიამ ანკარაში გზიდან ჩამოიცილა საკმაოდ ძლიერი შოტლანდიელი იოზეფ ჰემი, მეორეში კი ირლანდიელ ჯონ ჯო ნევინთან ხუთი ქულით დამარცხდა. დარწმუნებული ვარ, ბაქოში ისინი კვლავ გადაეყრებიან ერთმანეთს, წარმატება ჩვენებურის მხარეს იქნება. როგორც გითხარით, მსოფლიოზე მისგან შედეგს ველოდებით.

60 კილოში წინა მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანმა **კობა ფხაკაძემ** იასპარეზა. კილანავას მსგავსად, ისიც ბოლო დროს შემოუერთდა ნაკრებს, რადგან პროფესიულ რინგზე გამოდიოდა ბაქოში. გვეგონა, ამჯერადაც ავიდოდა კვარცხლბეკზე, მაგრამ ობიექტური მიზეზებით ვერ შეძლო საუკეთესო თვისებების გამოვლენა. ჯოშ ტეილორთან შეხვედრა ფრედ - 12:12 დაამთავრა, მაგრამ არბიტრებმა უპირატესობა შოტლანდიელს მიანიჭეს.

მარცხნიდან: **რამაზ ფალიანი** და **ოუზ ილდრმი**

64 კილოში **ბაკურ გოგოჭური** პირველსავე წრეში ინგლისელ თომას სთელკერთან პაექრობისა რინგზე ყოჩაღად ვერ გამოიყურებოდა, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე, მეორე რაუნდის შემდეგ შეჯიბრებიდან მომეხსნა.

69 კილოში იყოჩაღა **ზაალ კვაჭატაძემ**. პირველი ბრძოლა ბელგიელ მოჰამედ სდერის ნოკაუტით მოიგო, მერე უკრაინელთა იმედს – დენის ლაზარევს აჯობა. მესამე რაუნდში მეტოქე ორჯერ ნოკდაუნშიც გაგზავნა. ამგვარმა შედეგმა უკრაინელები გააკვირვა. მესამე წრეში ქართველი მწვრთნელის - **ზურაბ ანთიას** ირლანდიელი შეგირდი უილიამ მაკლოჰლინი დაჯაბნა. სხვათა შორის, ამ ირლანდიელთან კახა ჟვანიამ მილანში მსოფლიოს ჩემპიონატზე წააგო. ზაალმა რევანში აიღო. სანახაობრივად ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო პაექრობა იყო. ნახევარფინალში უელსელ ფრედ ევანსთან თანაბარ ბრძოლაში დათმო შეხვედრა. კვაჭატაძეს მსოფლიოს ჩემპიონატზეც მედლის ერთ-ერთ კანდიდატად მივიჩნევ.

- ამ წონაში კახა ჟვანიას ფავორიტობას გამორიცხავთ?

- კახა ძლიერი მოკრივეა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, რაც მან ტრავმა მიიღო, არ მინახავს, არც ერთ შეკრებაზე არ ჩამოსულა. კი შემეხმიანა ტელეფონით, ვვარჯიშობო, მაგრამ როგორ სპორტულ ფორმაშია, არ ვიცი. ამიტომ ამ წონაში ფავორიტად კვაჭატაძე რჩება. თუკი ჟვანია ისურვებს ნაკრებში ადგილის დაბევებას, ჩვენ ხელს არ შევუშლით. ოღონდ კვაჭატაძესთან პაექრობაში უნდა დამტკიცოს თავისი უპირატესობა.

საქართველოს ნაკრებს მეორე ბრინჯაოს მედალი **ჯაბა ხოსიტაშვილმა** (75 კგ) მოუტანა. პირველ წრეში ინგლისელ ოგოგოს, ოჰ-ოჰ-ოჰ, რომ იცოდეთ, რა კარგად მოუგო. არადა, ძალიან გვეშინდა, რადგან ეს ბრიტანელი ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე ჩემპიონი გახდა. მეორე წრეში უნგრელ ზოლტან ჰარკსას უნდა შეხვედროდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ხელი მოიტეხა და ჯაბა უბრძოლველად გავიდა მეოთხედფინალში. იქ კი ევროპის პრიზიორ სომეხს – არტურ ხაჩატრიანს სძლია. ნახევარფინალში მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორს თურქ ადემ ქლიჩს გადაეყარა. მშობლიურმა კედლებმა მაინც თავისი ქნა და მასპინძელი ფინალში გავიდა, ხოსიტაშვილი კი ბრინჯაოს დასჯერდა.

81 კილოში **იაგო კიზირიამ** რვა ქულით წააგო ბრძოლა იტალიელ სიმონე ფიორისთან, 91-ში **ლევან გულედანი** ირლანდიელ გონორ შეეჰენს შეხვდა. ქართველი მოკრივე 83 კილოა, მეტოქე კი 7-8 კილოთი მძიმე იყო. ამის მიუხედავად, ჩვენებური არაფერს უთმობდა, მაგრამ მე-3 რაუნდის დასაწყისში გულედანმა ხელი გაიბზარა და ბრძოლა ვეღარ განაგრძო, თუმცა საშში არაფერია - ორ-სამ დღეში თაბაშირს მოიხსნის და ვარჯიშს განაახლებს. გულედანი რინგიდან რომ ჩამოდიოდა, ანთიამ ირლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს გადაულაპარაკა, გადავრჩითო.

მძიმე წონაში **მიხეილ ბახტიძემ** გვასახელა. წლეულს მან აზერბაიჯანისა და ყაზახეთის საერთაშორისო ტურნირებში მედლები მოიპოვა და თურქეთიდანაც ბრინჯაოს ნადავლით დაბრუნდა. ჯერ პოლონელ მარჩინ რეკოვსკის სძლია 14 ქულით, მერე სლოვენიელი როკ ურბანსი დაამარცხა. ნახევარფინალში რუს მაგომედოვს შეხვდა. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი აშკარად ძლიერი მოკრივეა. რომ შევატყვე, უპირატესობა მის მხარეს იყო, ბრძოლის გაგრძელება უაზრობად მივიჩნიე, ამიტომ მეორე რაუნდის დასაწყისშივე ბახტიძე რინგიდან მოვხსენი. ბრინჯაოს მედლის მოპოვება მისთვის მართლაც დიდი გამარჯვება იყო.

ანკარაში მიღწეულ წარმატებაში სპორტსმენებთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს კრივის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **შალვა გოგოლაძეს,** გენერალურ მდივან **ვლადიმერ ახალკაცს,** AIBA-ს არბიტრ **ზურაბ ტიბუას,** ნაკრების მწვრთნელ **თემურ ოჩიგავას,** რომლებიც უდიდეს დახმარებას უწევდნენ ჩვენს ბიჭებს. ბატონი შალვა მოკრივეებს რინგზე სპარინგპარტნიორობასაც კი უწევდა. ახალკაცი ჩემპიონატის ტექნიკური დელეგატის მოადგილე გახლდათ და ტიბუასთან ერთად ყველა ღონე იხმარა, არბიტრებს არ დავეჩაგრეთ. ანკარაში მსაჯობა რომ ობიექტური იყო, ეს ბატონ ვოვას დიდი დამსახურებაა, გარკვეულწილად - **ოთარ რაგიმოვისაც,** რომელიც წლების განმავლობაში საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, დღეს კი ისრაელის მოქალაქეა.

ერთი საინტერესო ფაქტიც მინდა აღვნიშნო: მთელი ჩემპიონატის განმავლობაში გვერდიდან არ მოგვშორებია ჩვენებური **ოუზ ილდრმი-პატარიძე**. იგი ანკარაში ცხოვრობს, მამამისი კი საქართველოში ბიზნესმენობს. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ოუზმა ჩვენი გუნდის წევრები დაასაჩუქრა და ბრინჯაოს მედლების აღსანიშნავად რესტორანში დაგვპატიჟა.

- 16 სექტემბერს ბაქოში მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატი დაიწყება. იქამდე კი არც ისე დიდი დროა...

- დასვენებას არ ვაპირებთ. ორიოდე დღეში სვანეთს გავემგზავრებით და იქ ფიზმომზადებას გავივლით. შემდეგ ერთობლივი შეკრების მოწყობა გვინდა უკრაინელებთან და ყაზახებთან. ალმათიში შუაზიელებთან ერთობლივმა ვარჯიშებმა ჩვენს ბიჭებს დიდი გამოცდილება შესძინა. დასკვნით ეტაპს თბილისში მოვაწყობთ, აზერბაიჯანის დედაქალაქში კი ხუთი დღით ადრე ჩავალთ. ბაქოში პლანეტის უძლიერესი მოკრივეები მოიყრიან თავს. თითოეულ წონაში 8-8 საუკეთესო 2012 წლის ოლიმპიადის საგზურებს დაიმსახურებს. წინასწარ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ლონდონში რაც მეტი მოკრივე გვეყოლება, მით უკეთესი. საამისოდ არაფერს დავიშურებთ.

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო

● ჭადრაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისმა უმასპინძლა

დამთავრდა 1998-1999 წლებში დაბადებულ მოჭადრაკეთა საქართველოს სასკოლო გუნდური ჩემპიონატი, რომელიც განათლებისა და სპორტის სამინისტროების ერთობლივი პატრონატით გაიმართა. სასკოლო, რაიონული, საქალაქო და რეგიონული პირველობების შემდეგ გამოვლენილი სხვადასხვა კუთხის 12 საუკეთესო გუნდი მედლებისთვის დასკვნით ეტაპზე ქუთაისში დაუპირისპირდა ერთმანეთს. პირველი ადგილი მასპინძელთა 29-ე სკოლის მოჭადრაკეებმა დაიკავეს, რომლებმაც ფინალში გორის მე-2 სკოლის გუნდს აჯობეს. მე-3 ადგილზე ზუგდიდის მე-2 სკოლის წარმომადგენლები გავიდნენ.

ვაჟა დანელია

ლიდერობენ სამოსნები

გულგარულ ალბენაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე **ნაზი პაიკიძემ** მე-3 ტურში მოლდოველი **გალინა კრიგანი** დაამარცხა და 2 ქულას მოუყარა თავი. 18-მა მონაწილემ 3-3 ქულა მოაგროვა. მეწინავეთა შორის არიან ცნობილი დიდოსტატები - **ივან ჩეპარინოვი** (ბულგარეთი), **მაქსიმ როდშტეინი** (ისრაელი), **ავეტიკ გრიგორიანი** (სომხეთი), **ალექსანდრ დელჩევი** (ბულგარეთი), **კონსტანტინ ლუპულესკუ** (რუმინეთი) და სხვები.

მე-4 ტურში ნაზი პაიკიძე შავი ფიგურებით **პეტარ ლიანგოვს** (ბულგარეთი) დაუპირისპირდება.

ვაჟა დანელია

ორი ხელისუფალი

ესპანეთში მოჭადრაკეთა მე-19 საერთაშორისო ფესტივალზეც მე-3 ტურის პარტიები გათამაშდა. **ანა მათნაძე** მასპინძელ **ხესუს კარასკოს** დაუზავდა და 1,5 ქულით 33-ე ადგილზეა. 3-3 ქულით პერუელი **კრისტიან კრუსი** და ესპანელი **ხოზე ფერნანდო ხიმენესი** ლიდერობენ, რომლებმაც, შესაბამისად, **ომარ კვანტანა** ალმეიდა (კუბა) და მასპინძელი **ხოზე მარია ჰერნანდო როდრიგო** დაამარცხეს. მე-4 ტურში სწორედ კრისტიანი და ხოზე გაარკვევენ ურთიერთობას, ანა მათნაძე კი **ერიკ რამირეს მარტინესს** შეხვდება.

ვაჟა დანელია

● შეკითხვა ლელოს

შეკითხვა: ვარ ავტომოყვარული. ვიცი, რომ ახლახან თბილისში, ლილოს ახალაშენებულ ტერმინალზე საქართველოს საავტომობილო ფედერაციამ „2011 წლის სარბოლო სეზონის" ფარგლებში ჩაატარა შეჯიბრება წყვილთა შორის რბოლაში. სამწუხაროდ, არ ვიცი შედეგები. გთხოვთ, თუ ეს შესაძლებელია, გაგვაცნოთ გამორჩეული რბოლები.

ნუკრი ცხადაძე
ქუთაისი

პასუხი: მოკლედ გიპასუხებთ. ადგილები განაწილდა ასე: **1. ოთარ თავართქილაძე, 2. დათა ქაჯაია, 3. ვასილ ჭონიშვილი.**

ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე" ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.

საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" და თბილისის ჭიდაობის ფედერაცია, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა 60-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე, სპორტის ოსტატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

აჩიკო გაგუნია

და თანაუგრძნობს დიდ მწუხარებაში განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 30 ივნისს 14 სთ-ზე; მისამართი: თბილისი, გლდანის მე-4 მ\რ, კორპ. 103.

მარკიზ ჰეინესი: ქალას დაცვაშიც ვიყენებ და შეტევაშიც

შემონდ უილიამსი, ტაირონ ელისი, მელვინ სენდერსი, ტორინ გრინი, ქუინტონ ჰოსლი... ეს იმ კალათბურთელთა ჩამონათვალია, რომლებიც 2004 წლის შემდეგ ჩვენი ეროვნული ნაკრებისთვის გააქართველეს. მათ გუშინ **მარკიზ ჰეინესი** დაემატა. მართალია, მას ჯერ ოფიციალურად არ მიუღია საქართველოს მოქალაქის პასპორტი, მაგრამ ფაქტია, რომ ეროვნული გუნდის შეკრებაზე ტორინ გრინის გვერდით ივარჯიშებს და მწვრთნელი, **იგორ კოკოშკოვი** შეკრების ბოლოს გადაწყვეტს, ევრობასკეტზე გრინი ითამაშებს, თუ ჰეინესი. თუმცა, არ არის გამორიცხული, ლიტვაში ორივე ნატურალიზებული წაიყვანოს და კონკრეტული მატჩის განაცხადში ის შეიყვანოს, ვინც დასჭირდება.

მარკიზ ჰეინესი

დაიბადა: 19 დეკემბერი, 1986
სიმაღლე: 190 სმ
წონა: 84 კგ
პოზიცია: გამთამაშებელი/მსროლელი
კლუბი: გრან კანარია (ესპანეთი)

კარიერა

2005-2006 ბოსტონის კოლეჯი (NCAA) 32 თამაში: 2.5 ქულა, 1.0 პასი
2006-2007 ბოსტონის კოლეჯი (NCAA) 33 თამაში: 3.8 ქულა, 1,7 პასი
2008-2009 ტეხას არლინგტონი (NCAA, სასტარტო ხუთეული) 30 თამაში 16.5 ქულა, 5.1 მოხსნა, 3.4 პასი, 1.2 ჩაჭრა. ორქულიანების პროცენტულობა: 47.4 %, სამქულიანები: 34.6 %
2009-2010 ტეხას არლინგტონი (NCAA, სასტარტო ხუთეული) 30 თამაში 22.6 ქულა, 4.3 მოხსნა, 3.7 პასი, 1.5 ჩაჭრა. ორქულიანების პროცენტულობა: 48.3 %, სამქულიანები: 40.9 %
2010-2011 შალონი (საფრანგეთი) 33 თამაში: 14.3 ქულა, 2.2 მოხსნა, 3.9 პასი, 1.5 ჩაჭრა. ორქულიანების პროცენტულობა: 50.3 %, სამქულიანები: 38.3 %

მიღწეულები

სამხრეთ კონფერენციის (NCAA) მეორე სიმბოლური ხუთეული 2009
სამხრეთ კონფერენციის (NCAA) პირველი სიმბოლური ხუთეული 2010
სამხრეთ კონფერენციის (NCAA) საუკეთესო მოთამაშე 2010
საფრანგეთის ლიგის თასის ფინალისტი 2011



საქართველოს კალათბურთის ფედერაცია მარკეს ჰეინესამდე ისრაელის „მაქაბის“ ლიდერ **ჯერემი პარგოს** ელაპარაკებოდა, მაგრამ ბოლოს ამერიკელისგან უარი მიიღო. პარგო ევროპაში მოთამაშე ამერიკელთაგან ერთ-ერთი საუკეთესოა და საქართველოს ნაკრებში მისი ხილვა ნებისმიერ ჩვენგანს გაახარებდა, მაგრამ როგორც გვითხრეს, მან კონტრაქტი ისევ „მაქაბისთან“ გააფორმა და საქართველოს პასპორტი აღარ დასჭირდა. თუ პარგოს ჩვენს ნაკრებში თამაში მხოლოდ ევროპული მოქალაქეობის მისაღებად უნდოდა, კარგია, პასპორტი რომ ვერ მიიღო.

...საინტერესოა, რომ მარკეს ჰეინესსაც სჭირდებოდა ჩვენი ქვეყნის პასპორტი. ამას ესპანურ გამოცემა „ლა პროვინციაში“ გამოქვეყნებული სტატიაც მოწმობს, რომლის სათაურია: „ჰეინესი ევრობასკეტის მონაწილე ქვეყნის პასპორტს ელის“. საქმე ისაა, რომ საფრანგეთში გატარებული შედეგიანი სეზონის შემდეგ მისი გადაბირება „გრან კანარიამ“ გადაწყვიტა, მაგრამ სიტუაციას ართულებდა ესპანეთის ჩემპიონატში არსებული ლიმიტი ამერიკელებზე. ჰოდა, როცა გაირკვა, რომ მარკეზი საქართველოს ნაკრებში ითამაშებდა, კანარელებმაც ულაპარაკოდ აიყვანეს. იგი ესპანეთის ჩემპიონატში ევროპელის სტატუსით ითამაშებს.

ასე რომ, ჰეინესს გაქართველება კარიერული წინსვლისთვის სურდა. საინტერესოა, რა სარგებელს მოუტანს იგი ჩვენს ნაკრებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს ნაადრევია. გვაქვს არაერთი მაგალითი: ევროპის ტოპ-კლუბ „ბარსელონაში“ მოთამაშე შემონდ უილიამსიც სასარგებლო იყო და რიგითი „კახასოლის“ წარმომადგენელი ტაირონ ელისიც, თუმცა ვიდრე ტაირონი საქართველოს ნაკრებში პირველ თამაშს ჩაატარებდა, მაინც უილიამსს ვამჯობინებდით.

არც ჰეინესი ჯობია პარგოს, მაგრამ მარკესის პროგრესის (სტატისტიკას ყოველწლიურად აუმჯობესებს) შემყურეთ უკვე გვაქვს იმედი, რომ ნაკრებისთვის უფრო სასარგებლო იქნება, ვიდრე ტორინ გრინი. მით უმეტეს, რომ ტორინმა გასულ სეზონში საქართველოს ნაკრების წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა. გავიხსენოთ თუნდაც ბულგარეთში მოგებული შეხვედრა და უკრაინასთან ჩაგდებული გამარჯვების სამქულიანი.

ნაკრების მეორე მწვრთნელ **დავით უსტიაშვილთან** საუბრისას აღვნიშნე - მეგონა, გრინზე უკეთესს ამერიკელს ჩამოიყვანდნენ-მეთქი. მწვრთნელი არ დამეთანხმა:

- ვერ ვიტყვი, რომ ჰეინესი გრინზე ნაკლებია. მას აქვს თავისი პლუსები: თანაბრად კარგად შეუძლია როგორც მსროლელის, ასევე გამთამაშებლის პოზიციაზე თამაში. საქართველოს ნაკრების მწვრთნელს არჩევანის საშუალება ექნება - თუ დასჭირდება, ჰეინესს პირველ ნომრად ათამაშებს, თუ დასჭირდება - მეორე ნომრის პოზიციაზე.

კანარებზე ჩასულმა ჰეინესმა საკლუბო კარიერაზეც ილაპარაკა და საკუთარ პლუს-მინუსებზეც:

- მოხარული ვარ, „გრან კანარიას“ დონის გუნდში თამაშის საშუალება რომ მომეცემა. ეს ჩემთვის დიდი გამოწვევაა და ვეცდები დაკისრებულ მოვალეობას თავი კარგად გავართვა. ჩემი სათამაშო სტილი მარტივია: შემიძლია გამთამაშებლობაცა და მსროლელობაც. ჩემთვის მნიშვნელოვანია რეალიზების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, ვიდრე ბევრი ტყორცნა. ასევე ვმუშაობ იმ კომპონენტების დახვეწაზე, რაც გუნდური თამაშისთვისაა საჭირო. მიყვარს საკუთარი ფიზიკური ძალის გამოყენება როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში.

მარკეზის მთავარი ღირსება მისი შრომისმოყვარეობა ყოფილა, რაზეც ამერიკის კოლეჯების ლიგაში ასპარეზობისას მისი თანაგუნდელის მონათხრობი მიგვითითებს:

- ვარჯიშისგან თავისუფალ დღეს გუნდელები ხშირად ერთად ვიკრიბებოდით. თუ სხვები შინიდან მოდიოდნენ, მარკიზი სატრენაჟორო დარბაზიდან უნდა გამოგვეყვანა...

ჰეინესი ფრანგულ „შალონში“ მერვე ნომრით თამაშობდა. საქართველოს ნაკრებში ამ ნომრის მაისურა **გიორგი ცინცაძეს** ეკუთვნის, ამიტომ, შესაძლოა, ახალ ამერიკელს ძველი ნომრის დაბრუნებამ მოუწიოს - კოლეჯებში ზურგზე 0 ეწერა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მარცხნიდან: მერაბ რატიშვილი, ბესიკ ლიპარტელიანი, დავით უსტიაშვილი, ირაკლი პერტაია

კოკოშკოვის სია: 18

პრემიალური: ექვსნიშნა რიცხვზე მეტი?

მოთამაშე	პოზიცია	დაბ. თარ.	სიმ.	გუნდი
გიორგი ცინცაძე	უკანახაზელი	07.02.1986	192	როკი, ესტონეთი*
ტორინ გრინი	უკანახაზელი	28.11.1985	183	გრან კანარია, ესპანეთი
ლაშა გაგყრელიძე	უკანახაზელი	04.02.986	183	გისენი, გერმანია
კოტე ტულუში	უკანახაზელი	03.06.1984	190	არმია
ლაშა ფარლალავა	უკანახაზელი	07.02.1987	192	სოხუმი
მარკიზ ჰეინესი	უკანახაზელი	19.12.1986	190	გრან კანარია, ესპანეთი
ანატოლი გოისა	უკანახაზელი	09.09.1983	192	არმია
მანუჩარ მარკოიშვილი	უკანახაზელი	17.11.1986	196	კანტუ, იტალია
ლევან ფაცაცია	ფორვარდი	24.09.1988	198	სოხუმი
ვიქტორ სანიკიძე	ფორვარდი	01.04.1986	203	ვირტუსი, იტალია
თორნიკე შენგელია	ფორვარდი	05.10.1991	207	პეპინსტერი, ბელგია
მიხეილ გერიშვილი	ფორვარდი	12.04.1987	203	სოხუმი
ვლადიმერ გოისა	ფორვარდი	04.07.1981	209	ოლიმპია, სლოვენია
ნიკა ცაქიტიშვილი	ფორვარდი	14.04.1983	212	ლაგუნ არო, ესპანეთი
ნიკა მეტრეველი	ფორვარდი	14.01.1991	211	რიმინი, იტალია
ზაზა ფაჩულია	ცენტრი	10.02.1984	210	ატლანტა, აშშ
გიორგი შერმადინი	ცენტრი	02.04.1989	216	ოლიმპია, სლოვენია
გიორგი შარაბიძე	ცენტრი	27.04.1990	210	არმია

** - მითითებულია გუნდი, რომელშიც კალათბურთელი გასულ სეზონში თამაშობდა.*

სპორტის სამინისტროს დარბაზში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც ჩამოგვითვალეს **იგორ კოკოშკოვის** მიერ საქართველოს ნაკრებში გამოძახებული 18 კალათბურთელის გვარი. ეს შემადგენლობა ავსტრიის ქალაქ შტაინბურნში 24 ივლისს შეიკრიბება და ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგება.

- ევრობასკეტისთვის შემადგენლობა შეიკვეცება, მაგრამ ჯერ უცნობია, 14 კალათბურთელი დარჩება თუ 12, - გვითხრა საქართველოს ნაკრების მენეჯერმა **მერაბ რატიშვილმა,** *- საქმე ისაა, რომ ფიბა-ევროპას ჯერ არ გაურკვევია, ევრობასკეტზე გუნდებს 12 კაცის წაყვანის უფლება ექნებათ, თუ - 14-ის. გაზაფხულზე ფიბა-ევროპას დადგენილებით ეს რიცხვი 14 უნდა ყოფილიყო... ამჟამად მიმდინარე ქალთა ევრობასკეტზეც გუნდებმა 14-14 კალათბურთელი იახლეს, მაგრამ ჩემპიონატის დაწყების წინა დღეს ფიბამ ამოქექა დოკუმენტი, რომლის თანახმად გუნდებს ამა თუ იმ შეჯიბრებაზე 12-ზე მეტი სპორტსმენის წაყვანის უფლება არ აქვთ. ამიტომ, ვიდრე ამ საკითხს ფიბასა და ფიბა-ევროპის იურიდიული კომიტეტები ერთმანეთში გაარკვევდნენ, ქალთა ევრობასკეტზე 12-12 კალათბურთელია. იმედია, 31 აგვისტომდე ეს საკითხი გაირკვევა და ლიტვაში 14 მოთამაშის წაყვანის უფლება გვექნება.*

ნაკრების შემადგენლობასა და შერჩევის პრინციპებს უახლოეს მომავალში კიდევ დავუბრუნდებით, აქ კი ნატურალიზებული კალათბურთელის საკითხზე შევჩერდებით. ფედერაციის პრეზიდენტმა, **ბესიკ ლიპარტელიანმა** განაცხადა:

- რადგან ტორინ გრინს თითი ჰქონდა მოტეხილი, ჯერ ზუსტად არ ვიცით, როგორ წარიმართება მისი რეაბილიტაციის პროცესი. ამიტომ, გადავწყვიტეთ ნაკრებისთვის სხვა ამერიკელი მოგვენახა, რათა წვრთნელს საშუალება მისცემოდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებისთვის, როგორიც ევრობასკეტია, გრინსა და ახალ ამერიკელს შორის საუკეთესო აერჩია. ვანარმოებდით მოლაპარაკებას ისრაელის „მაქაბის“ უკანახაზელ ჯერემი პარგოსთან, მაგრამ ბოლო მომენტში მისგან უარი მივიღეთ. საბოლოოდ შევუთანხმდით მარკეზ ჰეინესს, რომელიც გუნდისთვის მეტად სასარგებლო მოთამაშე უნდა იყოს.

პრესკონფერენციას ესწრებოდა სპორტის მინისტრის მოადგილე **დავით ნამგალაური,** რომელმაც აღნიშნა, რომ ლიტვაში საქართველო მხოლოდ საკალათბურთო კუთხით არ იქნება წარმოდგენილი:

- კლაიპედაში ქართულ კულტურასაც წარმოვაჩენთ. იქ იქნებიან ეროვნული ბალეტი „სუხიშვილები“ და მომღერალთა ანსამბლი „რუსთავი“, რაც ლიტვაში ჩასული ჩვენი თანამემამულეებისთვისაც საინტერესო იქნება და უცხოელებისთვისაც.

მინისტრის მოადგილეს წარმატების შემთხვევაში საქართველოს ნაკრების პრემიების შესახებაც ჰკითხეს. პასუხი შთამბეჭდავი იყო - ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში შესაძლოა პრემიალურმა თანხამ ექვსნიშნა რიცხვს გადააჭარბოსო.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

● საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები

მეორეც უკრაინ 100

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა კიევში მეორე მატჩი გამართა უკრაინელ თანატოლებთან და 72:100 დამარცხდა. უკრაინის კალათბურთის ფედერაციის ვებ-გვერდის ცნობით, მიუხედავად ანგარიშში დაფიქსირებული სოლიდური სხვაობისა, მასპინძლებისთვის გამარჯვება იოლად არ მოსულა.

საქართველოს ნაკრებმა პირველი მეოთხედი 14 ქულით დათმო, თუმცა მეორეში ეს ჩამორჩენა მთლიანად აღმოფხვრა. შემდეგ ბარძაყის ტრავმა მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა ქართველების ერთ-ერთმა ლიდერმა **ირაკლი მიქელაძემ,** რის შემდეგ ინიციატივა უკრაინელთა მხარეზე გადავიდა. დიდ შესვენებაზე მასპინძლები 13-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ. დარჩენილ დროში მასპინძლებს სტუმართათვის დაწევის უფლება არ მიუციათ.

უკრაინა-საქართველო 100:72

28:14, 21:22, 25:16, 26:20

უკრაინა: გერუნი (25ქ, 12მ), ფურსი (20ქ), არტამონოვი (16ქ, 10ბ), შუნდელი (12ქ)

საქართველო: კვანტალიანი (20ქ, 5მ), ნადირაძე (16ქ), მიქელაძე (10ქ, 7ბ), ლობჟანიძე (6ქ)



უკრაინა-საქართველო 100:72

● საქართველოს ჩემპიონატი

ამჯერად ურთიერთობას მეზობლები გაარკვევენ

დღეს და ხვალ საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო, მეშვიდე ტურის ორი გადატანილი შეხვედრა გაიმართება. თბილისში „ვისოლის“ სარაგბო სტადიონზე ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი „ლოკომოტივი“ თბილისის „არმაზს“ დაუპირისპირდება. ხოლო მალთაყვაში, წლევანდელი გათამაშების ლიდერი, ჯერაც დაუმარცხებელი ქუთაისის „აია“ უახლოეს მდევარს და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „არმიას“ უმასპინძლებს.

რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, „ლოკომოტივი“, რომელიც მუდამ მაღალი მიზნებისთვის იბრძოდა, ახლა სატურნირო ცხრილში, აქამდე მუდმივ აუტსაიდერ „არმაზის“ მეზობელია. რკინიგზელებმა ექვსი თამაშიდან მხოლოდ სამი მოიგეს და ექვსი ქულით მე-5 ადგილზე არიან. არმაზელები მათ ერთი ქულით ჩამორჩებიან.

წინა, მე-6 ტურში „ლოკომოტივმა“ ვერაფერი გააწყო ბოლო ხანს შესანიშნავად მოასპარეზე „აკადემიასთან“ - 10:24. „არმაზს“ კი ამბიციური „არმია“ ბოლო წუთებზე დაუძვრა ხელიდან. არმაზელებმა მატჩი სამი ქულის სხვაობით დამთავრა - 25:28.

ყოველივე აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ გუნდების დაპირისპირება უკომპრომისო, ძალზედ საინტერესო ბრძოლაში წარიმართება და გამორიცხული არ არის კიდევ ერთი სენსაცია.

ტურის ცენტრალური და, შესაძლოა, პირველი წრის მთავარი შეხვედრა მალთაყვაში გაიმართება. ქუთაისის „აიასთვის“, რომელიც ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტია, მშობლიურ ქალაქში სათამაშო მოედანი ვერ გამოინახა და საშინაო მატჩებს მალთაყვაში ატარებს. ქუთათურები წლეულს შესანიშნავად ასპარეზობენ, ექვსი თამაშიდან ექვსივე მოიგეს და, რაც მთავარია, მაღალი დონის რაგბის აჩვენებენ.

წინა, მე-6 ტურში „აიამ“ სტუმრად მოუგო აუტსაიდერ „ყოჩებს“ - 23:10. შეხვედრაში ქუთაისურ გუნდს სამი წამყვანი მოთამაშე აკლდა. **ბესიკ ხამაშურიძე, ირაკლი ჩხიკვაძე** და **ირაკლი გიორგაძე** ბუქარესტში IRB-ს ერთა თასზე საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ირჯებოდნენ. ამჟამად ისინი გუნდთან ერთად არიან და „არმიას“ საკმაოდ ძლიერი გუნდის დასამარცხებლად ემზადებიან.

„აიას“ ერთი დანაკლისი მიანც აქვს. შერკინების პირველხაზელმა **ზურაბ ჟვანიამ** ახლახან ფრანგული რაგბის ერთ-ერთ გრანდთან, პარიზულ „სტად ფრანსესთან“ გააფორმა ხელშეკრულება.

რაც შეეხება არმიას, როგორც უკვე ვთქვით, მე-6 ტურში მას „არმაზის“ ძლევა ძალიან გაუჭირდა. იმ დროისთვის არმიელებს „ბორჯღალოსანთა“ რიგებში მივლინებული ცხრა ნომერი **ბიძინა სამხარაძე** და შერკინების კვაჭი **ჯაბა ბრეგვაძე** აკლდა, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ამ გუნდის წარმატებულ თამაშს. ამასთან „არმია“ დატოვა შერკინების კიდევ ერთმა კვაჭმა **ირაკლი ნატრიაშვილმა,** ის საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ბრივში“ ჩაირიცხა.

VII ტური

არმაზი-ლოკომოტივი
აია-არმია

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1.აია	6	6	0	0	+95	12
2.არმია	6	4	1	1	+21	9
3.აკადემია	7	3	2	2	+8	8
4.ლელო	7	4	0	3	+36	8
5.ლოკომოტივი	6	3	0	3	+18	6
6.არმაზი	6	2	1	3	-27	5
7.ხარები	6	1	0	5	-66	2
8.ყოჩები	6	0	0	6	-85	0

● ევროპული ბიბლიოთეკა

● მსოფლიოს თასი

კევინ ტკაჩუკი

ქროულის ტკაჩუკი დააკლდა

კანადის ნაკრების მწვრთნელმა **კირან ქროულიმ** მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებლად 50 მორაგბის მიწვევა გადაწყვიტა. გაფართოებულ შემადგენლობაში მხოლოდ რვა პროფესიონალი მორაგბე მოხვდა, მათ შორის ყველაზე სახელგანთქმულები „კლერმონის“ მეორეხაზელი **ჯიმი კუდმორი** და გარემარბი **დი თი ეიჩ ფან დერ მერვე** არიან. თუმცა, როგორც ქროული ამტკიცებს, ის, რომ მორაგბეები უცხოეთში თამაშობენ, ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს თასზე მოხვედრის გარანტიას არ იძლევა.

„როცა კანადის ნაკრების მწვრთნელი გავხდი, იმ პერიოდში, რატომღაც ყველას ეგონა, რომ უცხოეთში მოთამაშე მორაგბეებს ნაკრებში თამაში დაბეჭებული აქვთ. მაშინაც და ახლაც არაერთხელ დავამტკიცე, რომ ეს ასე არ არის. კანადაში მოთამაშე მორაგბეების დონე საგრძნობლად გაიზარდა, ამან კი გუნდში კონკურენციის გაზრდა გამოიწვია, რაც, ცხადია, ძალიან გვახარებს. თითოეულ მოთამაშეს, მიუხედავად იმისა, სად და რომელი ქვეყნის კლუბში ასპარეზობს, მუხლჩაუხრელი შრომა მოუწევს, რომ ნაკრებში ადგილი დაიმკვიდროს, იოლ ცხოვრებას ნურავინ ელის.“ - თქვა კირან ქროულიმ.

„ნეკერჩხლის ფოთლების“ თავკაცმა დაადასტურა, რომ გუნდს ისევ შერკინების კვაჭი **პიტ რიორდანი** უკაპიტნებს, ვისაც აქამდე ეროვნულ გუნდში 37 კეპი მოუხვეჭია.

„რიორდანი კანადის ნაკრების კაპიტანი მას მერე გახდა, რაც ამ გუნდის მეაჭეობა ჩავიბარე. მის ხასიათში ზუსტად ის ფასეულობებია, რომელსაც მოთამაშეებში ვეძებ. პიტი თავდაუზოგავად შრომობს, მან იცის თამაში და გუნდში დადებით აურას ქმნის.

სამწუხაროდ, ტრავმის გამო ვერ დაგვეხმარება ერთ-ერთი ლიდერი, შერკინების ბურჯი კევინ ტკაჩუკი. მან კანადურ რაგბის დიდი სამსახური გაუწია. ეროვნულ ნაკრებში 50 მატჩი გამართა. ტკაჩუკის მხარდამხარ არაერთი კარგი მორაგბე გაიზარდა. ჩვენ ყველამ სათანადოდ უნდა დავაფასოთ მისი წვლილი კანადის რაგბის განვითარების საქმეში“ - დასძინა ქროულიმ

კანადის ნაკრები

შერკნება: ტაილერ ალდრონი, ბრეტ ბუკებუმი, ჰუბერტ ბუდენსი, აარონ კარპენტერი, ჯიმი კუდმორი, ნანიაკ დელა, ტომ დოლეზი, ბრაიან ერიკსენი, სკოტ ფრანკლინი, ადამ ქლიბურგერი, მიტჩ ჯაჯოენი, რაიან ჰემილთონი, ტაილერ ჰოტსონი, ჯერემი კინი, ჯეისონ მარშალი, სტენ მაკკინი, შონ მიქაელ-სტივენი, ჯონ მუნლითი, ჩონსი ოტული, კევინ პერფრეი, ჯონ ფელანი, მაიკ პლეტჩი, პეტ რიორდანი, ჯობ სინკლერი, ლუკ ტაიტი, ენდრიუ ტიდმანი, ფრენკ ველში, დაგ ვულდრიჯი.

უკანა ხაზი: კაილ არმსტრონგი, ნიკ ბლეევინსი, კონორ ბრაიდი, შონ დუკი, მეთ ევანსი, ედ ფაირჰორსტი, ჯეფ ჰესლერი, ლირან ჰერნი, ნათან ჰირაიამა, ჯიმი მაკენზი, ფილ მაკენზი, ჯასტინ მენშ-კოკერი, დი თი ეიჩ ფან დერ მერვე, ანდერ მონრო, ტეილორ პერისი, ჯეიმზ პიტჩარი, მაიკ შოლცი, რაიან სმითი, კონორ ტრეინორი, შონ ვაითი, ერიკ ვილსონი, ტაილერ ვიში.

● შვიდკაცა რაგბი. ევროპის გრან-პრი

მეხუთე ორი ეტაპის შემდეგ

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა ევროპის გრან-პრის სერიაში ორი ეტაპზე იასპარეზა. პირველ ეტაპზე, ლიონში წარუმატებელი თამაშის შემდეგ, გასულ უქმეებზე ჩვენმა მორაგბეებმა მოსკოვურ ეტაპზე ოთხეულში გააღწიეს. შედეგად „შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა“ საერთო ჩათვლაში 22 ქულა დააგროვეს და მე-5 ადგილზე არიან.

საქართველო-უკრაინა

მორიგი, მესამე ეტაპი 9-10 ივლისს ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში გაიმართება. უკვე ცნობილია იმ გუნდების ვინაობა, ვინც საქართველოს ნაკრებს ჯგუფურ ტურნირში დაუპირისპირდება. ჩვენი მორაგბეები A ჯგუფში ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, რუმინეთისა და ჰოლანდიის ნაკრებებთან მოხვდნენ.

ინგლისელები ჯგუფის უდავო ფავორიტები არიან. „პომები“ საერთო ჩათვლაში 36 ქულით ლიდერობენ. რაც შეეხება საფრანგეთის ნაკრებს, მას 27 ქულა აქვს და მე-4 ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრებმა ორი ეტაპის ჯამში უკან მოიტოვა რუსეთის, უელსის და იტალიის ძლიერი გუნდები.

III ეტაპი

A ჯგუფი

საქართველო, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, რუმინეთი, ჰოლანდია.

B ჯგუფი

პორტუგალია, ესპანეთი, უელსი, რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა.

II ეტაპის შემდეგ

1. ინგლისი - 36 ქულა, 2. ესპანეთი - 31, 3. პორტუგალია - 30, 4. საფრანგეთი - 27, 5. საქართველო - 22, 6. რუსეთი - 20, 7. უელსი - 20, 8. იტალია - 10, 9. ჰოლანდია - 7, 10. რუმინეთი - 6, 11. უკრაინა - 6, 12. მოლდოვა - 3.

● ლეგიონერები

სტად ფრანსე გადარჩა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ქუთაისის „აიას“ შერკინების ბურჯმა **ზურაბ ჟვანიამ** ახლახან კონტრაქტი ფრანგული რაგბის ერთ-ერთ ყველაზე ძველ და ტიტულოვან გუნდთან, პარიზის „სტად ფრანსესთან“ გააფორმა. პარიზულ გუნდს ბოლო ორი წელინადია ფინანსური პრობლემები მოეძალა. ამჟამადაც კლუბის მდგომარეობა იმდენად კრიტიკული იყო, რომ „სტად ფრანსეს“ ფედერალ 1 დივიზიონში დაქვეითება ემუქრებოდა.

პარიზული გუნდის ქომაგების გასახარად მხსნელად კლუბს „ობერტურ ტექნოლოგის“ დამფუძნებლის შვილი **ტომას სავარე** მოევლინა, რომელმაც რაგბიში ინვესტიციის გაღება გადაწყვიტა და „სტად ფრანსეს“ პრეზიდენტის პოსტი დაიკავა.

ეს ინფორმაცია, გუშინ პარიზელთა აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა **მაქს გუაზინიმ** გაავრცელა. ის „სტად ფრანსეს“ სათავეში 19 წლის წინ ჩაუდგა, როცა გუნდი უკიდურესად რთულ მდგომარეობაში იყო და ნელ-ნელა ძველი დიდება დაუბრუნა. ახლა კი ისე გამოვიდა, რომ კლუბის კიდევ ერთხელ გადასარჩენად, იქიდან წასვლამ მოუწია.

ახალმა პრეზიდენტმა გუაზინის კლუბის საპატიო პრეზიდენტობა შესთავაზა. თვითონ კი, კიდევ ორი ახალი ინვესტორი **მიშელ გლიზი** და **ჟაკ ბეირა** მოიზიდა, რომლებთან ერთადაც კლუბის ხაზინაში ათ მილიონ ევროს ჩარიცხავს.

„ჩვენი მიზანია, „სტად ფრანსე“ უკვე მომავალ სეზონში კონკურენტუნარიანი გახდეს. მერე კი ის ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი უნდა გახდეს“ - განაცხადა ტომას სავარემ.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

● ერთა თასი

ორი შინ, სამი გარეთ

ესპანეთის ქალაქ გრან კანარიაში FIRA AER-ის გენერალური ასამბლეა გაიმართა, სადაც 2012 წლის ევროპის ერთა თასის გათამაშების კალენდარი დამტკიცდა. საქართველოს ნაკრები ხუთი თამაშიდან ორს შინ გამართავს პორტუგალიისა და რუსეთის ნაკრებებთან. უკრაინის, ესპანეთისა და რუმინეთის ეროვნულ გუნდებს კი სტუმრად დაუპირისპირდება.

ვინაიდან ერთა თასის მომავალი წლის გათამაშება მსოფლიოს თასის შემდგომი სეზონია, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ამ ტურნირს ექსპერიმენტებისა და ახალი გუნდის ჩამოყალიბებისთვის გამოიყენებს. რადგან მომდევნო, 2013-14 წლების სეზონი, უკვე 2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევი ტურნირი იქნება.

ერთა თასი

4 თებერვალი

უკრაინა-საქართველო

11 თებერვალი

ესპანეთი-საქართველო

25 თებერვალი

საქართველო-პორტუგალია

10 მარტი

რუმინეთი-საქართველო

17 მარტი

საქართველო-რუსეთი

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრივი

დიდი ბრძოლის მონაწილეები

ბოლო კინკლაობა დიდ ბრძოლამდე

ერთ კვირაზე ნაკლები დარჩა „ნლის ბრძოლად“ აღიარებულ შეხვედრამდე, რომელსაც თითქმის ორი ნელი ამაოდ ელოდა გულშემატკივარი. ორ ივლისს, ჰამბურგის „იმტეხ არენაზე“ მოწყობილ რინგზე ერთმანეთს დაუპირისპირდებიან სუპერმძიმე წონაში WBO-ის, IBF-ის, IBO-ისა და IBC-ის ჩემპიონი, უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** და WBA-ის ვერსიით საუკეთესო, ბრიტანელი **დევიდ ჰეი**. მოკრივეებმა ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლის წინ ბოლო პრეს-კონფერენცია გამართეს.

„ბევრს მიაჩნდა, რომ ამ სტადიამდე ვერ მივაღწევდი, - პირველმა სიტყვა ჰეიმ აიღო. - *ფიქრობდნენ ტრავმის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო უარს ვიტყოდი ბრძოლაზე. მაგრამ მე აქ ვარ და შესანიშნავ ფორმაში ვიმყოფები. მზად ვარ გავაკეთო ის, რასაც გულშემატკივრებს დავპირდი. ამ ბრძოლაში თქვენ შეგიძლიათ იხილოთ კრივის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ეკ ზეკუცია.*

მე მას უბრალოდ გავანადგურებ. კლიჩკოს მწვრთნელის ემანუელ სტიუარდის თქმით, ვლადიმერი ბრწყინვალე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ფორმაში იმყოფება, რომ ის შესანიშნავად არის მომზადებული, შეისწავლა ჩემი ბრძოლების ჩანაწერები... მაგრამ მე მას სრულიად ახალი რამ მოვუმზადე. სასიამოვნო სანახავი იქნება, როგორ გამოვა მწყობრიდან რობოტი კლიჩკო.

სავსებით ჯანმრთელი ვარ. არანორმალური სისწრაფე და დარტყმის ძალა მაქვს. ბედნიერი ვარ, რომ ეს ბრძოლა სწორედ ახლა იმართება და არა ორი წლის წინ. დღეს გაცილებით უკეთესი მებრძოლი ვარ. ბევრჯერ მინახავს კლიჩკოს ბრძოლები. ვფიქრობდი იმაზე, როგორ მოდიოდა ჩემს კენ მისი ჯები ან მარჯვენა პირდაპირი დარტყმა, როგორ ვიცილებ თავიდან მის მარცხენა ჰუკსა და მარჯვენა აპერკოტს. ეს ყველაფერი ათასჯერ მაქვს ნანახი და უბრალოდ ვერ ვითმენ, როდის გავალ რინგზე და გავაკეთებ იმას, რაც დიდი ხნის წინ უნდა გამეკეთებინა. ჩემს მწვრთნელთან ადამ ბუტთან ერთად ბრძოლისთვის იდეალური გეგმა შევადგინე. საქმე ისაა, რომ კლიჩკო იოლად პროგნოზირებადი მოკრივეა. ის ჯერ კიდევ მოყვარულებიდან მოყოლებული ასეთია. თითქოს უფრო დიდი, ძლიერი და სტაბილური ხდება, მაგრამ მაინც არ იცვლება - ყოველთვის ერთნაირია. ეს არის მისი მთავარი ნაკლი. მას არ შეუძლია მოერგოს სიტუაციას ისე, როგორც მე ვაკეთებ ამას. ვფიქრობ, სწორედ ეს განსხვავება ითამაშებს გადამწყვეტ როლს ჩვენს ბრძოლაში.

კომპიუტერულ თამაშში - „დევიდ ჰეის ნოკაუტები“, რომელიც ამ ბრძოლისთვის გამოვუშვით, სრულად არის წარმოდგენილი სტრატეგია, რომლის დახმარებითაც ვაპირებ ამ ბიჭის ნოკაუტში გაგზავნას. ასე რომ, შეიძინეთ ეს თამაში და გაერთეთ. იმას, რასაც იმ თამაშში იხილავთ, შაბათს წარმოგიდგენთ „ცოცხლად“. როგორც არასდროს, ისე ვარ დარწმუნებული საკუთარ თავში. ორი ივლისი დიდ ზეიმად იქცევა, ყველა შესანიშნავად გაატარებს დროს, ყველა ბრიტანელი ბედნიერი იქნება. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვი კლიჩკოს გუნდსა და გულშემატკივრებზე.

მან ბოლო ნლებში ძალიან ბევრი ბრძოლა მოიგო, ასე რომ, დროა იგემოს ნოკაუტით მარცხი“.

შემდეგ ტრიბუნასთან კლიჩკო მივიდა. მანამდე უკრაინელმა მისასალმებლად ხელი გაუწოდა ბრიტანელს, მაგრამ უარი მიიღო.

„რატომ არ გინდა ხელის ჩამორთმევა? ყველამ მიიღო ჩემი ჟესტი - უკრაინისა და ამერიკის პრეზიდენტებმა, ბრაზილიელებმა, გერმანელებმა, მოჰამედ ალიმ, მაქს შმელინგმა, ჯორჯ ფორმენმა, ჯო ფრეზერმა, ლარი ჰოლმსმა, მაიკ ტაისონმა, ლენოქს ლუისმა. და კიდევ, დალაი ლამამ! მათ ხელი ჩამომართვეს, შენ კი არ გინდა ამის გაკეთება. რატომ?“ - მიმართა კლიჩკომ ჰეის.

„ხელს ჩამოგართმევ მაშინ, როცა შენს სანახავად მოვალ საავადმყოფოში“, - უპასუხა ბრიტანელმა.

„ვხედავ, რომ შესანიშნავ ფორმაში იმყოფები, საკუთარ თავში დარწმუნებული ხარ და კარგად მოემზადე 2 ივლისის ბრძოლისთვის, - გააგრძელა თავისი სიტყვა კლიჩკომ. - *მეც შენსავით მოხარული ვარ, რადგან მაქვს გამოწვევა რინგზე, რასაც ყოველთვის ვეძებ. კრივი ხომ ის არის, რაც ყველაზე კარგად ვიცი ცხოვრებაში. სად არის შენი მაისურა, დევიდ? ეს რაღაც ახალია? რა ნერია აქ? „დევიდის ნოკაუტი ტვიტერზეც ხელმისანვდომია“. ახლა „ტვიტერზეც“ იმუქრები, რომ თავს მომაძრობ? გასაგებია...*

სხვათა შორის, მაისურის შესახებ - გაიძულებ ის შეჭამო.

სინამდვილეში, ჰეი არ არის ცუდი ადამიანი, როგორც მასზე ამბობენ. დიახ, მან დღეს აქ ნახევარი საათი დაგვიანა. ჩვენ ყველანი გელოდებოდით, პრინცესა (მიმართა ჰეის)! ისე იქცევი, თითქოს ჩემპიონი იყო. როგორც მებრძოლს, პატივს გცემ. მჯერა, რომ არც ისე ცუდი ბიჭი ხარ. თუმცა ძალიან თავხედურად იქცევი - მთელი ეს მაისურები და სხვა სისულელეები... ასეთი სტილი მას შემდეგ აირჩიე, რაც ჩემპიონი გახდი. მაგრამ ასეთი საქციელი კარგს არაფერს მოგიტანს როგორც რინგზე, ასევე ცხოვრებაში.

2 ივლისს კარგ გაკვეთილს მიიღებ. მინდა მხოლოდ ის გითხრა, რომ მე მქვია ვლადიმერ კლიჩკო, დოქტორი კლიჩკო. შაბათს მე შენი თერაპევტი გავხდები. გადავწყვიტე შენს მკურნალობას მივხედო. დარტყმებით დაგაბრუნებ სიზმრების ქვეყნიდან რეალურ სამყაროში. ეს სასარგებლო იქნება შენი მომავალი ცხოვრებისთვის. უფრო კარგი ადამიანი გახდები, უკეთ მოიქცევი და დაგვიანებას გადაეჩვევი.

წარმატებას გისურვებ ბრძოლაში. 2 ივლისს რინგზე გელოდები. არ დაგვიანო“.

ფორმულა 1. ევროპის გრანპრის შემდეგ

დაველოდოთ სილვერსტოუნს

სებასტიან ფეტელის ტრიუმფალური სვლა გრძელდება. გერმანელის ანგარიშზე რვა შესაძლებლიდან ექვსი მოგებაა და ჯერჯერობით გაურკვეველია, რამ უნდა შეუშალოს ხელი „რედ ბულის“ პილოტს ზედიზედ მეორედ გაჩემპიონებაში. მსოფლიოს ჩემპიონის კონკურენტები „რედ ბულის“ პილოტის შეცდომების იმედად თუ იქნებიან, თუმცა თავიდან უნდა გავიგოთ, როგორ შეიცვლება სიტუაცია დიფუზორებთან დაკავშირებული ახალი წესის შემდეგ, რომელიც მომდევნო რბოლაში შევა ძალაში.

ჯერჯერობით კი ძალთა თანაფარდობა არ იცვლება: ფეტელი რბოლას რბოლაზე იგებს და თუ ამას ვერ ახერხებს, მეორე ადგილს იკავებს. „მაკლარენი“ ყველანაირად ცდილობს ბრძოლა მოახვიოს თავს „რედ ბულს“, მაგრამ რეალურად „ფერარის“ ებრძვის მეორე ადგილისთვის.

გთავაზობთ ევროპის გრანპრის მიმოხილვას.

მთავარი გმირი

მთავარ გმირად ბევრს **ფერნანდო ალონსო** მიაჩნია. ესპანელმა კვალიფიკაციაში მეოთხე ადგილი დაიკავა, თუმცა მეტის იმედი ჰქონდა. სამაგიეროდ, მან სტარტზე ისარგებლა **მასასა** და **ჰემილტონის** ბრძოლით და მესამე პოზიციაზე გადასვლა შეძლო. იმ მომენტიდან „ფერარის“ პილოტის მეტოქე **მარკ უებერი** გახდა. ალონსო ყველანაირად ცდილობდა შორს არ გაეშვა ავსტრალიელი. შეტევის შანსი მან პირველი პიტსტოპის სერიის შემდეგ მიიღო - ორივე „რედ ბულზე“ უკანა საბურავები უფრო მალე ცვდებოდა და ეს მომენტი ნანდომ კარგად გამოიყენა - ადგილობრივი გულშემატკივრების გასახარად, 21-ე წრეზე გაუსწრო უებერს. მართალია, მეორე პიტსტოპის შემდეგ მარკმა დაიბრუნა მეორე ადგილი, მაგრამ მესამე გაჩერებამ ყველაფერი თავის ადგილას დააბრუნა. ფერნანდო „რედ ბულის“ პილოტებს შორის აღმოჩნდა და ავსტრიულ საჯინიბოს დუბლის შესრულება საშუალება არ მისცა. ესპანელის ეს მიღწევა სავსებით დამსახურებული იყო.

ანტიგმირი

ევროპის გრანპრი ჩააგდო ბოლო დროს რეკლამირებულმა **ვიტალი პეტროვმა**. რუსი ჯერ კვალიფიკაციის მესამე სეგმენტში ვერ გავიდა. რბოლის დროს კი „ლოტუს რენოს“ პილოტმა არასწორი არჩევანი გააკეთა - „მედიუმის“ საბურავი დააყენა იმ დროს, როცა სხვებმა სტარტი „სოფტით“ აიღეს. ამის გამო პეტროვმა დასაწყისში ბევრი პოზიცია დაკარგა, უშუალო კონკურენტებზე ნელა მოძრაობდა და ბოლოს, როცა დაკარგული პოზიციების დაბრუნების შანსი გაუჩნდა, ტრეფიკში მოხვდა და იქიდან ვერ გამოვიდა. საბოლოოდ, მე-15 ადგილი და არც ერთი ქულა.

ტაქტიკა

გუნდების უმრავლესობამ ვალენსიაში სამი პიტსტოპის ტაქტიკა აირჩია და „მედიუმის“ საბურავები რბოლის ბოლო ნაწილისთვის მოიტოვა. **ალგერსუარი, კობაიასი, ტრული, გლოკი** და **დ'ამბროზიო** ბოქსებში ორჯერ გაჩერდნენ, თუმცა ამით მხოლოდ ალგერსუარომ იხეირა, რომელმაც რბოლა მე-18 პოზიციიდან დაიწყო და მერვეზე დაასრულა.

პეტროვის გარდა რბოლა „მედიუმით“ **სერხიო პერესმა** და **პასტორ მალდონადომ** დაიწყეს. ვენესუელელს ამან ბევრი ვერაფერი მოუტანა, სამაგიეროდ, გაგვაკვირვა მექსიკელმა, რომელსაც ერთი ნაბიჯი დააკლდა ქულათა ზონამდე. კიდევ უფრო გასაკვირი ის არის, რომ პერესმა ერთი პიტსტოპი შეასრულა - ბოქსებში 25-ე წრეზე შევიდა და დარჩენილი 32 წრე „სოფტით“ გაიარა. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ „ზაუბერში“ საბურავებს სიფრთხილით ეპყრობიან.

გასწრება

ვალენსიაში უკანა მართვადი ანტიფრთის (DRS) გამოყენების ორი ზონა არსებობდა. ზოგიერთ პილოტს ამან გარკვეული უპირატესობა მისცა - წარმატებული მანევრების წყალობით სასურველი ჰანდიკაპი შექმნეს. თუმცა ამჯერად, გასწრებების რაოდენობა ბევრი არ ყოფილა. შესაძლოა, ავტოსპორტის ფედერაციამ უნდა გადახედოს DRS-ის ორი ზონის პრინციპს და მეორე ზონაში თავის გამოჩენის შესაძლებლობა უნდა მისცეს იმას, ვისაც პირველში გაასწრეს. ასე რბოლა უფრო სანახაობრივი გახდება, უბრალოდ, ტექნიკურად ამ სქემაზე კონტროლი არც ისე მარტივია, ამიტომაც ფედერაცია არ ჩქარობს რაიმეს შეცვლას - უბრალოდ, ჯერ მიღებულ ინფორმაციას აანალიზებს.

თუმცა ერთი წარმატებული და ლამაზი მანევრი ვალენსიაში მაინც ვიხილეთ (DRS-ის გარეშე). მისი ავტორი გახდა **ჯენსონ ბატონი**, რომელმაც მეექვსე წრეზე გაუსწრო „მერსედესის“ პილოტ **ნიკო როსბერგს**, ვისთანაც სტარტი წააგო.

პერსპექტივა

მომდევნო რბოლა ორი კვირის შემდეგ სილვერსტოუნში გაიმართება. ამ დროის განმავლობაში ავტოსპორტის პრესა განიხილავს სერიოზულ ცვლილებებს დიფუზორების მუშაობაში. მთავარი საკითხია: ვინ წააგებს და ვინ მოიგებს ახალი წესით? ამაზე პასუხს წრეზე დრო მოგვცემს, თუმცა დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ლიდერებს შორის ძალთა თანაფარდობა დიდად არ შეიცვლება. შესაძლოა, „რედ ბულის“ უპირატესობა აღარ იყოს ძალიან სერიოზული, არ არის გამორიცხული, რომ მკვეთრად ქვემოთ დაეშვას „მაკლარენი“. თუ გახსოვთ, ბრიტანული საჯინიბოს მანქანები წინასასეზონო ტესტებზე ძალიან სუსტად გამოიყურებოდნენ. იქამდე, სანამ გუნდმა ზუსტად არ გადაიღო „რედ ბულის“ დიფუზორი, რომელიც საკუთარი აეროდინამიკური კონცეფციით გაამყარა. რა თქმა უნდა, ლუის ჰემილტონსა და ჯენსონ ბატონს ამაზე ფიქრი ჯერ არ სურთ, თანაც „მაკლარენის“ ინჟინრები საკმარისად ჭკვიანები არიან, რათა არ დაუშვან ყველაზე უარესი სცენარი.

მოკლედ, კითხვა ბევრია. კიდევ უფრო მეტი იქნება ვარაუდი და ჭორი, თუმცა დავიცადოთ და ვნახოთ, როგორ ჩაივლის სილვერსტოუნის განახლებულ ტრასაზე ბრიტანეთის გრანპრი.

პოდიუმი ვალენსიაში

ამბები

პოკერი

ლიდერი პინგვინები ბრუნდებიან

„პიტსბურგ პინგვინზის“ მთავარმა მწვრთნელმა **დენ ბილსმამ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გუნდის ორი ლიდერის - **სიდნი კროსბისა** და **ევგენი მალკინის** გამოჯანმრთელების პროცესი კარგად მიმდინარეობს.

კროსბი, რომელიც ტვინის შერყევის გამო დაზარლდა, ამჟამად დღეში ორჯერ ვარჯიშობს, მალკინის მუხლის აღდგენითი პროცესი კი იმაზე სწრაფად მიდის, ვიდრე ამას ექიმები ვარაუდობდნენ.

კლუბის ხელმძღვანელობის ვარაუდით, მალკინი აუცილებლად დაბრუნდება სანვრთნელი ბანაკის გახსნისთვის, სიდნისთან დაკავშირებით კი პროგნოზს ვერ იძლევიან, რადგან ტვინის შერყევა ძალიან მძიმე იყო.

ექვსის ნაცვლად ოთხი დივიზიონი

სულ მალე ჰოკეის ეროვნულ ლიგაში, შესაძლოა, დივიზიონების ფორმატი შეიცვალოს. როგორც ცნობილია, მომავალ სეზონში სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში „ატლანტას“ ადგილს „ვინიპეგი“ დაიკავებს, რომელიც 2012-13 წლების სეზონიდან დასავლეთში გადაბარგდება. საპირისპირო მიმართულებით გადასვლა სურთ „დეტროიტს“, „კოლამბუსსა“ და „ნეშვილს“, მაგრამ აღმოსავლეთ კონფერენციაში ამდენი ადგილი არ არის.

ამიტომაც იტყობინებიან, რომ 2012-13 წლების სეზონიდან ლიგა, შესაძლოა, სერიოზულად შეიცვალოს - ექვსი დივიზიონის ნაცვლად დარჩება ოთხი.

ორ დივიზიონში რვა-რვა გუნდი იქნება, კიდევ ორში - შვიდ-შვიდი. სავარაუდოდ, ამ გადაწყვეტილებას დეკემბერში NHL-ის მმართველთა საბჭოზე მიიღებენ.

ბეისბოლი

18-გზის ჩემპიონი ბანკროტია

გუშინ, ამერიკის ბეისბოლის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი - „ლოს ანჯელეს დოჯერსი“ ბანკროტად გამოაცხადეს.

გავრცელებულ პრესრელიზში ნერია, რომ ამის მიზეზი გახდა MLB-ის ლიგის კომისრის **ბად სალიგის** გადაწყვეტილება - მან კლუბსა და მედია-ჰოლდინგ Fox Sports-ს შორის გარიგებაზე უარი განაცხადა. კერძოდ, „დოჯერსის“ ნარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კლუბი ერთი ნლის განმავლობაში ცდილობდა კონტრაქტის გაფორმებას, მაგრამ ლიგამ ამის ნება არ დართო. არადა, გარიგება ერთ-ერთი უმსხვილესი იქნებოდა ამერიკული ბეისბოლის ისტორიაში.

„ლოს ანჯელეს დოჯერსი“ MLB-ის 18-გზის ჩემპიონია.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჩოგბურთი. უიმბლდონის 10 დიადი მატჩი

ერთი ნაბიჯი უკვდავებამდე



ნადალმა თასი ჩაიბარა

დღეს გთავაზობთ ბოლო სტატიას ციკლიდან - „უიმბლდონის 10 დიადი მატჩი". 2008 წლის ფინალი უიმბლდონის კორტებზე ჩატარებული მატჩებიდან საუკეთესოდ არის აღიარებული. მაშ ასე, **როჯერ ფედერერი რაფაელ ნადალის** წინააღმდეგ.

2008 წლის 29 ივნისს ესპანეთის საფეხბურთო ნაკრებმა ტრიუმფალურად მოიგო ევროპის ჩემპიონატი. ესპანეთის ქალაქებში კარნავალი რამდენიმე დღე გრძელდებოდა, მაგრამ გულშემატკივრებმა თანდათან გააცნობიერეს, რომ ისინი ახლოს იყვნენ ორმაგ საზაფხულო ტრიუმფთან - იმდენად ბრწყინვალე იყო მათი თანამემამულე პარალელურად მიმდინარე უიმბლდონზე.

იმ წელს მსოფლიოს პირველი ჩოგანი როჯერ ფედერერი საბოლოოდ უნდა შესულიყო ლეგენდებში. მან უკვე გაიმეორა **ბიორნ ბორგის** სახელობის „ღია ერის" რეკორდი (ზედიზედ ხუთი მოგება) და ახლა **უილიამ რენშოუს** „სამუდამო" რეკორდის გამეორებას უმიზნებდა - ზედიზედ ექვსი ტიტული. ფინალამდე გამართულ ექვს მატჩში მან ერთი სეტიც არ დაუთმო **სიოდერლინგს, ჰიუიტს, საფინსა** და სხვებს. წინ ერთი მატჩი რჩებოდა, რომელსაც შვეიცარიელისთვის უკვდავება უნდა მოეტანა.

არადა, არაოფიციალურად აღიარებულ ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელს ნადალთან კატასტროფული პირადი სტატისტიკა ჰქონდა. თუმცა ესპანელთან წაგებების ძირითადი ნილი გრუნტის საფარზე მოდიოდა, ბალახზე კი როჯერს ორიდან ორი თამაში ჰქონდა მოგებული რაფასთვის. მართალია, ფედერერმა ერთი თვით ადრე როლან გაროსის მორიგი ფინალი წააგო, თანაც სამ სეტში, მაგრამ იქვე განაცხადა, რომ „ნადალის კომპლექსი" წარსულს ჩაბარდა.

რაფაელი ლონდონში ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობდა. მან კორტებთან ახლოს იქირავა სახლი და ფეხით დადიოდა მატჩებზე. სეირნობდა ქალაქში, ესალმებოდა გამვლელებს, გულშემატკივრობდა ესპანეთის საფეხბურთო ნაკრებს, რომელმაც არ დააღალატა. მოსინჯა ძალები ჟურნალისტიკაში - საკუთარი ბლოგი ჰქონდა The Times of London-ში, კითხულობდა **მარიო პიუზოს**...

პარალელურად, ნადალი თავის ცხოვრებაში საუკეთესო ჩოგბურთს თამაშობდა. ერთადერთი პარტია ფინალამდე ლატვიელ **ერნესტ გულბისთან** წააგო. მეოთხედფინალში მთელს ბრიტანეთს **ენდი მიურეის** იმედი ჰქონდა, რომელიც უსასტიკესად დაამარცხა ესპანელმა. შესაძლოა, მატჩი ცხრა პარტიისგან რომ შემდგარიყო, ბრიტანელს მართლაც გაემარჯვა - ყოველ სეტში ენდი ერთით მეტ გეიმს იღებდა - 2:6, 3:6, 4:6. ნახევარფინალში გერმანელ **რაინერ შუტლერზე** გამარჯვებამ ყველას მოაგონა ევრო 2008-ის ფინალი, რომელშიც ესპანეთის ნაკრებმა გერმანია დაამარცხა. რაფამ სამი სეტი აიღო და ფინალში გავიდა.

■ ■ ■

არ ღირს ამ მატჩის დეტალების დაწვრილებით აღწერა. ის სულ რაღაც სამი წლის წინ ჩატარდა და ყველას ნანახი ექნება. ვისაც არ უნახავს, სჯობს ჩაუჯდეს, რადგან ერთხელ ნანახი სჯობს მოყოლილს.

ბუნება სუპერმატჩის სრულფასოვანი მონაწილე გახდა. ფინალის დაწყება წვიმის გამო ნახევარი საათით გადაიდო. შეხვედრის სტარტი ნადალის ზეწოლით მიმდინარეობდა - პირველი ორი სეტი მან ერთნაირი ანგარიშით - 6:4 მოიგო. თავიდან ფედერერმა უკვე მესამე გეიმში დაკარგა მოწოდება, შემდეგ კი ბრეიკ-პოინტის რეალიზება ვერ შეძლო. მეორე პარტიაში, როგორც იქნა, ამუშავდა როჯერის ფორჰენდი. ამან თავისი შედეგი გამოიღო - 1:0-ზე ფედერერმა ბრეიკი გააკეთა. ის მეშვიდე გეიმამდე ლიდერობდა, მაგრამ 30:40-ზე ნადალის მოჭრილმა დარტყმამ იმუშავა - ბადესთან გასულმა შვეიცარიელმა მას ვერაფერი მოუხერხა და ბურთი აუტში გაუშვა. ყველაფერი თავიდან დაიწყო.

საინტერესო მომენტი მოხდა მერვე გეიმში - „თანაბარზე" ნადალის მოწოდებისას შვეიცარიელი ბადესთან გავიდა, მაგრამ ჰაერიდან დარტყმისას შეცდა. მანამდე წამით ადრე ტრიბუნაზე ვიღაცამ ვერ მოითმინა და ხმამაღლა დაიყვირა. ყოველთვის თავშეკავებული და კორექტული როჯერი იმ მომენტში განრისხებულ ღიმს ჰგავდა. ასეა თუ ისე, ესპანელმა გადაარჩინა გეიმი და მოიგო მეორე სეტი. თუმცა ფედერერის განრისხების შემდეგ ნერვიულობის საბაბი ნადალსაც მიეცა - ბოლო გეიმში 30:30-ზე ფრანგმა მსაჯმა ესპანელს მოწოდებისას დროის გაყვანისთვის გაფრთხილება მისცა. ეს იყო უნიკალური შემთხვევა უიმბლდონის ფინალების ისტორიაში. თუმცა შვეიცარიელი ამაზე ნაკლებად ფიქრობდა - გავიდა საათნახევარი, ის კი უიმედოდ აგებდა მატჩს, რომელიც მისი ტრიუმფის უმაღლესი წერტილი უნდა გამხდარიყო.

მომდევნო პარტიის მესამე გეიმში სველ კორტზე რაფას ფეხი დაუცდა და კინაღამ დაიზიანა ისედაც ტრავმირებული მარჯვენა მუხლი. შესაძლოა, ამან იმოქმედა ფედერერზე დადებითად, ან კიდევ იმან, რომ შვეიცარიელმა, როგორც იქნა, გაიხსენა ვინ იყო სინამდვილეში. ასეა თუ ისე, ესპანელმა უფრო ფრთხილად დაიწყო თამაში. და უცნობია, რა იქნებოდა შემდეგ, ბუნებას ნადალისთვის ბოდიშის მოხდა რომ არ გადაეწყვიტა - ისევ გაწვიმდა და 5:4-ზე ფედერერის სასარგებლოდ მეტოქეები იძულებულ შესვენებაზე გავიდნენ.

ეს პაუზა ზუსტად 100 წუთი გაგრძელდა. ფედერერი კიდევ უფრო ძლიერად ათამაშდა, მაგრამ რაფამ მაინც მიიყვანა საქმე ტაი-ბრეიკამდე. თუმცა იქ უკვე როჯერმა გამოავლინა გადამწყვეტ გათამაშებებში მისთვის დამახასიათებელი დიადი ხელოვნება. 6:5-ზე მან ეისი ჩააწოდა და სეტი მოიგო.

იმ მომენტისთვის მეტოქეები პრაქტიკულად გრუნტზე თამაშობდნენ - წვიმით გაფუჭებული და გათელილი ბალახი როლან გაროსის საუკეთესო ტრადიციებით მოქმედებდა. მეოთხე სეტის მეათე გეიმში როჯერი 0:30-ს აგებდა, მაგრამ გადაარჩინა თამაში. და მაყურებელს კვლავ ტაი-ბრეიკის ხილვამ მოუწია.

იქ ფედერერმა ისევ წარმოაჩინა თავისი სიდიადე. მინი-პარტია 2:5-დან გადაარჩინა, როცა ბრწყინვალე სტილში მოიგერია ესპანელის ორი მატჩბოლი, შემდეგ კი მეორე მოწოდებიდან აიძულა რაფას მიღებისას კორტისთვის აეცილებინა ბურთი. 10:8 და სტატუს-კვო აღდგა. თამაშის დაწყებიდან სამ საათზე მეტი იყო გასული.

უკვე ყველა ხვდებოდა, რომ ლეგენდის დაბადებას ესწრებოდა. და ისევ ჩაერია საქმეში ინგლისური ამინდი. ფედერერის მოწოდებისას 2:2-ზე და „თანაბარზე" მეტოქეები მეორედ გავიდნენ გასახდელში. შესვენება ნახევარი საათი გაგრძელდა და როცა ჩოგბურთელებმა მატჩი განაახლეს, ადგილობრივი დროით უკვე ცხრის ნახევარი იყო. ჩამოწოლილ ბინდთან ერთად ჩოგბურთელებს დაღლილობა შეეპარათ. პირველ რიგში, ეს შვეიცარიელზე ითქმის. მე-11 და მე-13 გეიმებში ის ნადალს ბრეიკ-პოინტებს აძლევდა, მაგრამ საკუთარი ოსტატობისა და იღბალის წყალობით ახერხებდა მატჩის გადარჩენას. მაგრამ სულ ასე ვერ გაგრძელდებოდა. 7:7-ზე ფედერერის მოწოდებისას ესპანელმა ორი ბრეიკ-პოინტი მიიღო, როჯერმა ორივე საფრთხე მოიგერია, შემდეგ მესამეც, მაგრამ მეოთხეზე ძალა აღარ ეყო - მოედნის ცენტრიდან შვეიცარიელმა ფორჰენდით ბურთი უკანა ხაზს გადააცილა.

გადამწყვეტი გეიმი ნადალმა თითქმის იდეალურად ითამაშა. პირველი ქულის წაგების შემდეგ, ორ მომდევნო გათამაშებაში მოწოდების ხარჯზე კორტს მიღმა უშვებდა ფედერერს და ჰაერიდან იღებდა ქულას. საინტერესოა, რომ სწორედ ამ მომენტში გამოიყენა რაფამ ქულის მოსაგებად serve-and-volley-ის სტილი. ფედერერმა 40:40-მდე მიიყვანა ანგარიში - მოიგერია რიგით მესამე მატჩბოლი. მაგრამ საკმარისი იყო მისი გამომეტყველებისთვის შეგეხედათ, მაშინვე მიხვდებოდით, რომ ის მხოლოდ ინსტინქტებით მუშაობდა და არ სჯეროდა საკუთარი გამარჯვების. ესპანელმა იდეალურად შეასრულა პირველი მოწოდება - როჯერი მიწვდა ბურთს, მაგრამ სადღაც შორს გაუშვა. ესპანელმა მეოთხე მატჩბოლი მიიღო და მოკლე გათამაშების შემდეგ ფედერერმა ბურთი ბადეს მოარტყა. ჩამავალი მზის სხივების ფონზე ექსტაზში მყოფი რაფა ბალახზე ეცემა. უიმბლდონის ისტორიაში ერთ-ერთი უდიადესი მატჩი დასრულდა!

ერთი თვის შემდეგ ნადალმა ბოლო მოუღო ფედერერის სარეკორდო, 237-თვიან ბატონობას მსოფლიოს რეიტინგში. მატჩი, რომელიც ბევრი ექსპერტის მიერ ჩოგბურთის ისტორიაში საუკეთესოდ არის აღიარებული, ერთგვარად გარდამტეხი მომენტი იყო ორივესთვის - როჯერმა ვერ მიაღწია აბსოლუტურ სიდიადეს, რაფამ კი მორიგი ნაბიჯი გადადგა იქითკენ, რომ მომავალში დაენიოს ან გაუსწროს თავის ყველაზე პრინციპულ მეტოქეს. შესაძლოა, რამდენიმე წლის შემდეგ ისტორია განმეორდეს და ნადალს დაუდგეს ანალოგიური მომენტი - უკვდავებამდე ერთი ნაბიჯი ღა იყოს დარჩენილი. ეს სავსებით შესაძლებელია.

TV პროგრამა

29 ივნისი. ოთხშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 კოპა ამერიკა 2007. არგენტინა-კოლუმბია.
12:00 კოპა ამერიკა 2007. ჩილე-ბრაზილია.
14:00 ჩემპიონის გზა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა.
16:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი". უიმბლდონი. კაცები. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
21:00 ჩემპიონის გზა. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ფრაიბურგი.
22:30 გადაცემა - სპორტის ვარსკვლავები.
23:00 კოპა ამერიკა 2007. არგენტინა-პერუ.
01:30 სეზონის შეჯამება. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სეარა-სან პაულო.
12:00 კალათბურთი. ევროლიგა. პანათინაიკოსი-ბარსელონა.
13:30 რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-საფრანგეთი.
15:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი". უიმბლდონი. კაცები. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
23:30 რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-საფრანგეთი.

HTB-პლუსი (ონლაინი)

15:55 ჩოგბურთი. უიმბლდონი. კაცები. 1/4 ფინალი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

15:55 უიმბლდონი. კაცები. 1/4 ფინალი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

19:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. ლატვია-რუსეთი. პოლონეთი (LIVE).
22:25 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. ჩეხეთი-ხორვატია. პოლონეთი (LIVE).

SPORT+

19:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. ლატვია-რუსეთი. პოლონეთი (LIVE).

EUROSPORT

17:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-ეკვატორული გვინეა. გერმანია (LIVE).
20:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ავსტრალია გერმანია (LIVE).

EUROSPORT-2

00:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/8 ფინალი. მექსიკა (LIVE).

ცხელი ჩაზი

ფეხბურთი

მს. ჩემპიონაჟი

ქალები

კოლუმბია-შვედეთი	0:1
აშშ-ჩრ. კორეა	2:0

ჩემპიონთა ლიგა

III საკვ. ეტაპი. I მატჩი

სანტა კოლომა-დუდელანჟი	0:2
ტრე ფიორი-ვალეტა	0:3

ამხანაგური მატჩები

რანდერსი-ბრონდბიუ	3:1
ციურიხი-ბელინცონა	4:1
არმინია-სტ. პაული	1:1
დინამო (კ)-მანიშა	0:0
კაპფენბერგი-დნიპრო	0:3
ლინცერი-კოშიცე	3:1
რიდი-სპარტა	2:2
სტიაუა-ფორტუნა	1:1
ბილი-იანგ ბოიზი	0:3
სერკლი-სტ. ტრუიდენი	0:1
დუისბურგი-ლიტექსი	3:2
ლუცერნი-ვადუცი	1:0
რონსე-ანდერლეხტი	1:4
ბოჰემიანსი-დანდი იუნ	1:1

ირლანდია

ბრეი-დანდალკი	1:5

ირლანდია

ლიგის თასი

ლიმერიკი-მონეგანი	5:0

რუსეთი

II დივიზიონი

ჟემჩუჟინა-დინამო (ბრ)	2:4

ლიეგა

კლაიპედა-ჟალგირისი	0:1

ქრონიკა ბილიარდიდან

ქალთბურთი. ახალი ამბები

ნიქსი ცენტრს ეძებს

...

ბაზეთ „ნიუ იორკ პოსტის" ვერსიით, ამ ზაფხულს „ნიუ იორკ ნიქსი" ერთ მიზანზე იქნება კონცენტრირებული - ამოცანა ხარისხიანი ცენტრის გაფორმებაა. უკვე ნახსენები **სამუელ დალემბერის** გარდა, კლუბი კანდიდატებად განიხილავს **ტაისონ ჩენდლერს, მარკ გასოლს, დეანდრე ჯორდანს, კვამე ბრაუნს, კურტ ტომასს, ტონი ბეტის, აარონ გრეის, ტეო რეტლიფსა** და **გრეგ ოდენსაც** კი.

■ ■ ■

„საკრამენტო კინგზი" დაინტერესებულია „ფინიქსის" მცველ **აარონ ბრუქსით**, - წერს „ნიუ იორკ დეილი ნიუსი". ექსპერტებს უკვირთ „მეფეების" ეს ინტერესი, რადგან „კინგზში" უკანა ხაზი ძალიან კარგად არის დაკომპლექტებული - ოთხი კალათბურთელი ჰყავთ, რომლებიც „პირველი" ნომრის პოზიციას მოუვლიან და კიდევ ოთხს „მეორე" ნომრად შეუძლია თამაში.

■ ■ ■

როგორც უკვე ვწერდით, „ჰიუსტონს" სურს „გოლდენ სტეიტიდან" გადაიბიროს ლატვიელი ცენტრი **ანდრის ბიედრინში.** ცნობილი გახდა იმ ორი მოთამაშის ვინაობა, რომლებსაც „რაკეტები" ბიედრინშის სანაცვლოდ დათმობენ - **ჰაშმი ტაბიტი** და **ჯორდან ჰილი.** თუმცა ამერიკელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ „გოლდენ სტეიტი" ასეთ გარიგებაზე არ წავა, რადგან ეს არასრულფასოვანი ტრეიდი იქნება.

ამასობაში, „მაიამი ჰიტი" სანვრთნელ შეკრებაზე **ედი კარის** აკვირდება. მასთან ერთად ფლორიდულ კლუბში შეკრებას გადიან **გრეგ სმიტი, კარლტონ სკოტი, ჯულიან სტოუნი, ჯამინ პიტერსონი, მეტ ჰოვარდი** და **პაპა დია.** თუმცა კარისგან განსხვავებით, ამ კალათბურთელების გვარები ბევრს არაფერი გვეუბნება.

■ ■ ■

გამოცემა „ბოსტონი გლოუბი" კი იტყობინება, რომ „ბოსტონ სელტიქსის" მთავარი მწვრთნელის **დოკ რივერსის** ვაჟი საუნივერსიტეტო კარიერას იწყებს. თანაც სტარტი მეტად დამაიმედებელია მცველისთვის - ის სახელოვანი დიუკის უნივერსიტეტში ჩაირიცხა.

სავარაუდოდ, ამ ბიჭზე დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლა იქნება, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ეს სულაც არ ანაღვლებს. „ოსტინს სულაც არ აქვს 16-17 წლის ბიჭის მენტალიტეტი. დარწმუნებული ვარ, ის პირველი მოვა სავარჯიშო დარბაზში, სხვებზე მეტს იმუშავებს და ყველა ზე გვიან დატოვებს ვარჯიშს", - ამბობს **ოსტინ რივერსის** შესახებ დიუკის ყოფილი ვარსკვლავი **ჯეი უილიამსი,** რომელიც ამჟამად ESPN-ზე ანალიტიკოსად მუშაობს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ოსტინ რივერსი

ბოგბურთი

უიმბლდონი 2011. 1/4 ფინალი

ნოვაკი პატრიოტია

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** განაცხადა, რომ დაღლილობის მიუხედავად, 8-10 ივლისს დევისის თასის მეოთხედფინალში მონაწილეობას აპირებს. მოქმედი ჩემპიონი სერბეთის ნაკრები სტუმრად ჰალმსტადში ითამაშებს შვედეთის წინააღმდეგ, რომელსაც ამ მატჩში თავისი ლიდერი **რობინ სიოდერლინგი** დააკლდება. მსოფლიოს მეხუთე ჩოგანმა ერთი თვის წინ თქვა უარი სერბეთის წინააღმდეგ თამაშზე.

„მე გუნდში ვარ. დიახ, გავიგე, რომ სიოდერლინგი არ იქნება, მაგრამ მაინც გადავწყვიტე თამაში. არ აქვს მნიშვნელობა, რა შემადგენლობით იქნება მოწინააღმდეგე გუნდი. ნებისმიერ შემთხვევაში, უძლიერესი გუნდი გვყავს, რადგან შარშან სწორედ ჩვენ მოვიგეთ თასი.

მართალია, სახლიდან შორს გვიწევს გამგზავრება, მაგრამ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. ხომ შეიძლება სიოდერლინგმა მოულოდნელად გადაიფიქროს და თავის ნაკრებს დაეხმაროს. მან უკვე დაასრულა უიმბლდონზე გამოსვლა, ასე რომ, საკმარისი დრო აქვს დასვენებისა და ნაკრებში თამაშების მოსამზადებლად.

თუმცა ჩვენ არ ვიხედებით მათ შემადგენლობაში - ვცდილობთ საუკეთესოები ვიყოთ“, - განაცხადა ჯოკოვიჩმა.

ქრივი

მეივეზერს ისევ უჩივლეს

ფლოიდ მეივეზერი

ცნობილი ამერიკელი მოკრივე **ფლოიდ მეივეზერი** მორიგი სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა. სასამართლოში შეიტანეს სარჩელი, რომელშიც წერია, რომ გასულ წელს, ლას ვეგასის კაზინოს პარკინგზე მოკრივემ პირად მცველებს დააავალა ვინმე **ენტონი კლიფის** ცემა. დაზარალებულის განცხადებით, მოკრივე გაღიზიანებული იყო იმით, რომ კლიფი მის გადაღებასა და მომავალ ბრძოლაზე შეკითხვის დასმას ცდილობდა.

მეივეზერის მცველებმა კლიფს სახეში ჩაარტყეს და ასფალტზე დააგდეს, შემდეგ ზურგში წიხლები დაუშინეს. დაზარალებული კაზინოსაც უჩივის - მისი აზრით, მან ვერ შეძლო სათანადო უსაფრთხოების დაცვა.

მოკრივის წარმომადგენლები ჯერ-ჯერობით უარს ამბობენ კომენტარზე. შეგახსენებთ, რომ მეივეზერს პარალელურად ფილიპინელ მოკრივესთან **მენი პაკიაოსთან** აქვს სასამართლო გარჩევა. შარშან მათი ბრძოლა დოპინგ-კონტროლის პროცედურაზე უთანხმოების გამო ჩაიშალა. ამის შემდეგ ამერიკელის გუნდის წევრებმა გამოაცხადეს, რომ პაკიაო აკრძალულ პრეპარატებს იღებს, რასაც მოჰყვა კიდეც სასამართლოში სარჩელის შეტანა.

ვინ არის ფავორიტი?

გუშინ, უიმბლდონზე მამაკაცები ისვენებდნენ, ქალები კი ნახევარფინალისტებს არკვევდნენ.

ასეთი მოულოდნელი მეოთხედფინალური წყვილები „დიდი სლემის“ ქალთა ტურნირებზე არასოდეს გვინახავს. სატურნირო ბადეში დარჩენილი რვა მონაწილედან ხუთი აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენელი იყო. საერთოდ, ამ უიმბლდონზე უნიკალური სიტუაციის მოწმენი გავხდით. საქმე ისაა, რომ პირველად 1913 (!) წლის შემდეგ, რვავე მეოთხედფინალისტი ევროპიდან იყო.

სათამაშო დღე გერმანელმა **საბინ ლისიცკიმ** და ფრანგმა **მარიონ ბარტოლიმ** გახსნეს. ამ უკანასკნელმა წინა დღეს უმძიმეს მატჩში დაამარცხა მოქმედი ჩემპიონი **სერენა უილიამსი** და როგორც აღმოჩნდა, ამან ძალიან იმოქმედა ფრანგის ფიზიკურ მდგომარეობაზე. მარიონმა მატჩის შემდეგ აღიარა, რომ მის გონებას უნდოდა მოგება, მაგრამ სხეულს არ შეეძლო.

პირველ სეტში ლისიცკიმ ერთით მეტი ბრეიკი გააკეთა და ამის ხარჯზე 6:4 მოიგო. გერმანელი სრულად ფლობდა ინიციატივას და მეტოქეზე თითქმის ოთხჯერ მეტი „ვინერსი“ გააკეთა - 18 5-ის წინააღმდეგ.

მეორე სეტში მოვლენები გაცილებით დრამატულად განვითარდა. თავიდან ბრეიკით ბარტოლი დაწინაურდა - 3:1, მაგრამ ლისიცკიმ არა მარტო გაათანაბრა ანგარიში, არამედ წინ გასვლაც მოახერხა. 5:4-ზე ის მატჩზე აწვდიდა და სამი მატჩბოლიც მიიღო, მაგრამ ფრანგმა მორიგი სასნაული მოახდინა. ბარტოლიმ ჯერ გეიმი გადაარჩინა, შემდეგ კი ტაი-ბრეიკზე გაუღიმა ბედმა - 7:6(4).

სწორედ მესამე სეტში დაეტყო დაღლა ბარტოლის, რომელმაც თავიდანვე დათმო საკუთარი მოწოდება და მეტოქეს 3:0 დაწინაურების საშუალება მისცა. ფრანგმა ამ პარტიაში ერთადერთი გეიმი (მეოთხე) აიღო, რომელიც 15 წუთი გაგრძელდა, მაგრამ ეს მისი ბოლო წარმატება იყო მატჩში. მომდევნო სამი გეიმი ლისიცკის დარჩა და ასე გავიდა ძირითად ბადეში უაილდ-ქარდით მოხვედრილი ლისიცკი ნახევარფინალში.

საბინი პირველი გერმანელია 1999 წლის შემდეგ, ვინც უიმბლდონის ნახევარფინალში მოხვდა. ბოლოს ასეთი შედეგი ლეგენდარულ **შტეფი გრაფს** ჰქონდა.

ლისიცკის მეტოქე ნახევარფინალში რუსი **მარია შარაპოვა** გახდა, რომელმაც კიდევ ერთხელ დამაჯერებლად დაამტკიცა უპირველესი ფავორიტის სტატუსი. რუსმა მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო **დომინიკა ციბულკოვას**, რომელმაც წინა დღეს თვით **კაროლინ ვოზნიაცკი** გამოთიშა ბრძოლას.

პირველ სეტში პირველი ბრეიკი შარაპოვამ მესამე გეიმში აიღო, 2:1 დაწინაურდა და შემდეგ კიდევ ოთხი გეიმი დაუმატა, რაც საბოლოოდ ასეთ ანგარიშში გამოისახა - 6:1. მარიას ამ პარტიაში მხოლოდ ორი ბრეიკ-პოინტის მოგერიება მოუწია, ამასთან მეტოქის პირველ მოწოდებაზე ქულების 59 პროცენტი მოიგო, თავის პირველ მოწოდებაზე - 86 პროცენტი.

თუმცა ჯერ ნაადრევი იყო შარაპოვას გამარჯვებაზე ლაპარაკი, რადგან ვოზნიაცკისთან მატჩში ციბულკოვამ ასეთივე ანგარიშით წააგო პირველი სეტი, მაგრამ შემდეგ გარდატეხა შეიტანა თამაშში და მოიგო. მაგრამ რუსმა ასეთი გაუგებრობა არ დაუშვა და მეორე სეტიც იგივე ანგარიშით აიღო. თამაში მხოლოდ ერთ საათს გაგრძელდა და სხვათა შორის, ეს იყო შარაპოვას მე-400 გამარჯვება კარიერაში.

რაც შეეხება ლისიცკისთან მომავალ დაპირისპირებას, რუსი და გერმანელი ერთადერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს - წელს მაიამის სუპერტურნირზე შარაპოვამ იოლად მოიგო 6:2, 6:0.

საერთოდ, მეოთხედფინალმა ისე ჩაიარა, რომ წინა დღეს სახელოვანი ფავორიტების მძლეველმა ყველა ჩოგბურთელმა წააგო. იგივე დაემართა ბულგარელ **ცვეტანა პირონკოვას**, ვინც **ვენუს უილიამსს** მოუგო, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა ჩეხ **პეტრა კვიტოვას**.

ორივე ჩოგბურთელი ამ ეტაპამდე ძალიან დამაჯერებლად მივიდა - კვიტოვას 15 გეიმი ჰქონდა წაგებული, პირონკოვას - 18. თუმცა პირველ სეტში ჩეხის აშკარა უპირატესობა გამოიკვეთა - მან ორი ბრეიკი გააკეთა და 6:2 გაიმარჯვა.

მეორე სეტში მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს, რის შემდეგაც საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც კარგა ხანი თანაბარი თამაში იყო, მაგრამ 4:4-ზე კვიტოვამ ზედიზედ სამი უნებლიე შეცდომა დაუშვა და „შემოკლებული“ გეიმი 4:7 დათმო. სეტებს შორის ანგარიში გათანაბრდა.

მაგრამ მესამე სეტში ჩეხმა დაიბრუნა ჩვეული აგრესიული თამაში. კვიტოვა უიმბლდონზე მატჩებს, ძირითადად, საკუთარი აქტიურობის ხარჯზე იგებს - წინა წრეებში საშუალოდ 30 „ვინერსს“ აგროვებდა, აქ კი 54 ქულა აიღო საკუთარი დარტყმით და ამან განსაზღვრა არა მარტო მესამე სეტის, არამედ მთლიანად მატჩის ბედი.

შარაპოვასთან ერთად, კვიტოვა აუცილებლად უნდა მოინათლოს ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად. ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი ამ სტატუსს წლევანდელ სეზონში დიდი პროგრესითა და უიმბლდონზე ნაჩვენები თამაშით ამტკიცებს.

იგივე სტატუსი უნდა მივანიჭოთ კვიტოვას მორიგ მეტოქეს **ვიქტორია აზარენკას**, რომელმაც შარაპოვას მსგავსად ძალიან იოლად დაამარცხა თავისი მეტოქე - ავსტრიელი **ტამირა პაჩეკი**.

მოკლედ წინ ძალიან საინტერესო და არაპროგნოზირებადი ნახევარფინალები გველის.

ქალები

1/4 ფინალი

მარია შარაპოვა (რუს, 5)-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 24) 6:1, 6:1; **საბინ ლისიცკი (გერ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 9) 6:4, 6:7(4), 6:1; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 6:3, 6:1; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 8)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ, 32) 6:3, 6:7, 6:2.

1/2 ფინალი

შარაპოვა (5)-ლისიცკი; აზარენკა (4)-კვიტოვა (8).

საბინ ლისიცკი კმაყოფილია

ველოსპორტი

ლეგენდა პროფილს იცვლის

ყველაზე წარმატებული გერმანელი მოციგურავე **კლაუდია პეხშტაინი** ისევ აპირებს ოლიმპიადაზე გამოსვლას, ოღონდ ამჯერად არა ზამთრის, არამედ ზაფხულის თამაშებზე. მან ლონდონში ტრეკზე ველორბოლაში უნდა სცადოს ბედი.

„ჩემი მიზანი ლონდონის ოლიმპიური თამაშებია. იქ, როგორც ველომრბოლი, ისე გამოვალ, - განაცხადა პეხშტაინმა. - *6-10 ივლისს ბერლინში გერმანიის ჩემპიონატში მივიღებ მონაწილეობას. ჩემი ძირითადი დისციპლინაა - გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა. ასევე ვგეგმავ სპრინტში და 500 მეტრზე დროზე რბოლაში გამოსვლას. თავის დროზე, როგორც მოციგურავე, ველოსიპედით ბევრს ვვარჯიშობდი. დასაკარგი არაფერია. წარმოდგენა არ მაქვს, რა დონის კონკურენციის გადატანა მომიწევს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში საინტერესო იქნება. უკვე ველაპარაკე ჩემი სურვილის შესახებ ველოსპორტის ფედერაციის წარმომადგენლებს. მათ მითხრეს, რომ მოხარულები იქნებიან, თუ ჩემი სახელი სპორტის ამ საზეობის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს“.*

თუმცა ჯერჯერობით უცნობია, მიიღო თუ არა გერმანელმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან თამაშებზე გამოსვლის ნებართვა. როგორც იცით, პეხშტაინი დოპინგის მიღების გამოა დისკვალიფიცირებული, რის გამოც მას ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადაზე გამოსვლის ნება არ დართეს.

„ჩემი დისკვალიფიკაცია შეცდომა იყო. სისხლის მაჩვენებლების ცვლილება ჩემი ორგანიზმის განსაკუთრებული თვისების გამო მოხდა, რაც დამტკიცებულია მედიცინაში. ახლა მინდა ვანკუვერის მოპარული ოლიმპიადა დავიბრუნო. არც 2014 წელს სოჭის ზამთრის თამაშებში გამოსვლა გადამფიქრებია“, - ამბობს ციგურებით სირბილში ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

ნადალის ტრავმა არასერიოზულია

მსოფლიოს პირველი ჩოგანის **რაფაელ ნადალის** გულშემატკივართა საბედნიეროდ, უიმბლდონის მერვედფინალში **ხუან მარტინ დელ პოტროსთან** მატჩში მიღებული ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. ესპანელმა თავად აცნობა საკუთარ ფანებს, რომ სენერვიულო არაფერია და ის გააგრძელებს ლონდონის კორტებზე გამოსვლას.

„გუშინ, მატჩის შემდეგ ლონდონის ერთ-ერთ კლინიკას ვესტუმრე, სადაც გამოკვლევა გავიარე. მატჩის დროს ვფიქრობდი, რომ ტრავმა სერიოზული იყო, მაგრამ შეხვედრის მსვლელობისას ტკივილი ჩაცხრა, სამედიცინო შემონმებამ კი რაიმე მნიშვნელოვანი დაზიანება არ დააფიქსირა. ყველას დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის“, - Facebook-ის საკუთარ გვერდზე დაწერა „დიდი სლემის“ ტურნირების ათგზის ჩემპიონმა.

ნადალი დელ პოტროსთან მატჩში

შეგახსენებთ, რომ პირველი პარტიის მსვლელობისას რაფამ მარცხენა ფეხზე მწვავე ტკივილი იგრძნო და მაშინვე სამედიცინო ტაიმ-აუტი აიღო. მატჩის შემდეგ ნადალმა აღნიშნა, რომ ტკივილი ტერფის არეში ჰქონდა. იმ შემთხვევაში, თუ რაფა ვერ შეძლებდა ტურნირის გაგრძელებას, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ავტომატურად ხდებოდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი.

დღეს ნადალს მეოთხედფინალში ამერიკელ **მარდი ფიშთან** უწევს შეხვედრა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა